

# მეშენი

...ასე თეთრად,  
გულუბრყვილად ჰყვავის ჩვენში  
იბერიის ტყეების ხეზე  
გაზაფხული...

# შინაარსით!

ხომ შეიძლება გაზეთი შეიძინო და სახლში მისვლამდე დრო არ გქონდეს მის წასაკითხად?! და იმავდროულად ინტერესი გკლავდეს, თუ რისი წაკითხვა გელოდება?

- „მამული“ წყნარად წასაკითხი გაზეთია! მას „გაქცეულად“ ვერ წაკითხავ მეტროში, ან კიდევ საჭეს მართვისას. არადა, როცა იცი, მონატრებული ქართული სული გელოდება გაზეთის კაბადონებიდან, ძნელია მოთმენა!

გასოვთ, მასწავლებელი, საზეპიროს ნაცვლად შინაარსით რომ დაგავალდებდათ გაკვეთილის მომზადებას? როგორ გიხაროდით, არა?!

- „ამ დროს ავანტიურისტ ქალმა მაღამ დე პანპადურმა გააბრიყვა მეფე ლუდოვიკ მეთოთხმეტი...“ - ამის დაზუსტებას ნამდვილად სჯობდა ის დალოცვილი სიტყვა „შინაარსით“.

ხოდა, დღეიდან ამ ადგილას გაზეთის 24 გვერდს შინაარსით მოგახსენებთ, თუ დაგაინტერესებთ, დაუბრუნდით, თუ არადა, ნება თქვენია, სათოფეზე არ გაეკაროთ!

### ინო ხონელიძე:

ქართველი კაცი სუსტი. თვითონ ჰკონია, რომ ძლიერია. კაცი, რომელიც ცოლს ურტყამს, ის ძლიერი ვერ იქნება. მას არ ჰყოფნის შინაგანი ძალა, სხვაგვარად აუხსნას ქალს, რაც სურს...



## ბასალეთი მს ქართველი ქაბა

### მანუჩარ კაჭანიძე:

ეს უსათუოდ რუსული წყობის ოჯახებში აქვს ნანახი, არცთუ გაღიზიანებული ქმარი რომ მივარდება ცოლს და დალურჯებამდე გაიგლებს წიხლქვეშ.

### ინსულუნი იცხინიუ

ყყოფილიყყოფი, ყყყნის არც დაღუჭყყოფი!

### იღუარდ შვიარდნაძე:

არ ვიცი, რა უნდოდა მას აზერბაიჯანელის ოჯახში. კადრების საკითხი სხვანაირად წყდება. ის კაცი არ იყო იმხელა პიროვნება, ვისთვისაც ჟვანიას უნდა მიეკითხა.



„ქუთაისში ამბობდნენ, რომ გალაკტიონმა ლექსი „მერი“ მე მიძღვნა, მე კი მას არ ვიცნობდი...“ - სიცოცხლის ბოლომდე იმეორებდა მშვენიერი **მერი შარვაშიძე**, რომელსაც არასოდეს წაუკითხავს გალაკტიონ ტაბიძის ლექსები...



მოკლედ, ეღუარდმა ახელა ცას და შენიშნა, რომ წვიმს... მიმოიხედა, მე რომ შემიშნა, სგაცა ხელი ჩემს ქოლგას და მივარდა ისევ „პობუდას“. ცალი ფეხი გროგუარის ფილაქანზე ედგა, ცალიც - ვზამე. სასწრაფოდ გააღო მანქანის კარი და ქოლგა გადააფარა იქიდან გადმოსულ ძვირფას სტუმარს.

### ბოდბეძე რხალი:

მარცხენა ყურიდან გამოვწვი თითი და ეკრანიდან ძახილი გავიგონე: გოდერძი! გოდერძი, შვილო! ვაი! მიცნო! მე მეძახის! - გამიკვირდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახოდა.



ელაბუგაში გამგზავრების წინ მისი ჩემოდანი ბორის პასკერნაკს თოკით შეუკრავს, თან უხუმრია: თოკი ისეთი გამძლეა, თავის ჩამოსაკიდებლადაც გამოდგება. ამ წინასწარმეტყველურ ხუმრობას სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა პოეტი. თოკი მართლაც გამძლე გამოდგა... იატაკიდან არც ისე მაღლა ეკიდა მარინა ცვეტაევას უსიცოცხლო სხეული.



პანაშვიდზე შემოვიდოდნენ, ჯერ გაეცინებოდათ, მერე ცრემლი მოადგებოდათ, შეხედავდნენ, ისევ გაეცინებოდათ... ასე ღიმილიანი ცრემლით გააცილეს **იპოლიტა**.



სანდრომ ვერ მოახერხა ძიძიას შერთვა, რის გამოც ძიძია დასნეულდა და მალე გარდაიცვალა. სანდროს საყვარელი ქალი თავისი ხარჯით დაუსაფლავებია და საფლავზე ფიცი დაუდგია, „შენგან მეგს მე ქალს არ შევირთავო“ და აასრულა კიდევ.

## ლუბრში ფიროსმანის ბამოფენისას, ნახატ «აბტრისა მარბარიტასთან» ყოველდღე მიდიოდა ხანშიშესული ქალი... მს მოხუცი მარბარიტა დე სეპრი ბახლდათ!

## ყაზბეგს ძიძია უყვარდა!

## სახლი, როგორც სავსაა ფიქრით




### მრთს მკემრდს უკოცნის, უყვარს მემორე

ახლახან ლევანი ნამდვილზე ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. აბა, როგორ! ფილმში „შავი პრინცი“ მან ხომ ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის როლი ითამაშა და ამის წყალობით ანასტასია ვოლოჩკოვას გაშიშვლებული ტუბუები დაუკოცნა...

### გღვისთუბი გაძქს თუალოში და...

ამბობენ, ბევრმა სცადა მისი მშვენიერების ლექსებით შეგობა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო იმ უკვდავი სტრიქონების შეთხზვა, თითქმის ყველა შეყვარებულმა ქართველმა რომ იცის...



### მასზე წერდნენ...

### სარკის ნამსხვრავები მარად იქნება ჩემში

თათია ხაინდრავას შემთხვევაში, ბუნებამ მას ყველაფერი მისცა: სილამაზე, შესანიშნავი ხმა, ნიჭი და ერთში დაჩაგრვა - არ მისცა ბედი.



ტრაქტატის მიხედვით, ქარ-თლ-კახეთი შედიოდა რუსეთის მფარველობაში და არა მთლიანი საქართველო, როგორც მოხსენებაშია. ტრაქტატი რატიფიცირებული არ იყო და იგი არ შედგა, არ შესრულდა. არაფერი იცოდნენ იმის შესახებ: ლენინმა, ლიგაჩოვმა, რამილოვმა, კუნაევა, ალიევა, კაპიტონოვმა, უსტინოვმა, უსტინოვიჩმა და სხვებმა.

## მეშვენიეს კალენდარი

### იავნანა რა ჰქონდა?

- მეც ქართველი ვარ, მაგრამ ქართული ენა არ ვიცი, მხოლოდ იავნანა მასხოვს და შენც ამან გადაგარჩინა... ბაბუაჩემი რევოლუციის დროს გამოქცეულა საქართველოდან. იმედი ჰქონდა, მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ... მამამ და მამიდან იციან ქართული. მე კი ბავშვობაში ნასწავლი სულ დამავიწყდა, მხოლოდ იავნანას ვერ ვივიწყებ, რომელსაც ბებია თვალცრემლიანი გვიმღეროდა მე და ჩემს პატარა ძმას!.. მხოლოდ ეს იავნანა დარჩა ჩემში ქართული. ოცნებად მექცა იმ სამშობლოში დაბრუნება, საიდანაც სამი წლისა წამომიყვანეს!..


ვეებერთელა ცხოველი ზღვიდან ნაპირზე გამოვიდა და შლამზე თავისი ნაკვალევი დატოვა - უამრავი კატასტროფების, ერების, პერიოდების, ასეულობით მილიონი წლის შემდეგ რომ ეპოვა შემთხვევით, ტოტის ასაღებად დახრილ პეტრე ჭაბუკიანს...



ქართული  
სული

რედაქტორი  
**მანუჩარ კაჭანიძე**

P.O. Box 13121,  
Jersey City, NJ 07109  
Phone: 609-517-2278  
mamuli@comcast.net



**როცა  
ქართული  
ქალის  
ბაღანდვას  
ბაღანდვას  
დახედეთ ამ  
სურათს!**

„ასეთი სილამაზის შექმნა  
ქანდაკებაში შეუძლებელია,  
დასაბამიდან ასეთ სილამაზეს  
ქმნის არა მოქანდაკე, არამედ  
უფალი ღმერთი, რადგან  
სილამაზე შინაგანი  
არსისაგან იქმნება“.  
**ვალდო კოროსტილოვი**  
მელა ვაფარაძის შესახებ



**რადიკალიზაცია:**

**აქაკიმ  
სიმდირა  
ნიგნეზი  
დატოვა,  
თქვე  
უტვირობო!**

ეს მერამდენედ შეიპარნენ არაკაცები სხვიტორში - აკაკის სახლში, ეს მერამდენედ გადააქოთეს სულმნათი პოეტის მამა-პაპეული... ესენი ალბათ იმ „მამულიშვილთა“ მსგავსნი არ არიან, ილიას ბიუსტი რომ მოამტკრი- ეს უნივერსიტეტის ბაღიდან და ვერ მოასწრეს მისი გადადნობა. საჩხერეში კი ამჯერად მხოლოდ ხალიჩისა და ჭალის წაღება მოახერხეს! კი, მაგრამ, რატომ ჩქარობდით თქვე „ხელმადლიანებო“?! იქ ხომ კიდევ დარჩა რამდენიმე თევზი, ჭიქა, სკამი. ვერ მოხვიეთ ხელი და ვერ ჩაუშვით ტომარაში?! ალბათ მთლად არ გასწირეთ დიდი აკაკის ოჯახის რელიქვიები!.. აფერუმ, თქვენს კეთილშობილებას!

**ქართული  
ქალის  
სული  
იარაღის  
კონტრაბან-  
დისთვის  
დააკაკუნ**

**სამხუხარო ფაქტი**



საქართველოს ოთხი მოქალაქე ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური გამოძიების ბიუროს თანამშრომლებმა რუსული იარაღის კონტრაბანდის ბრალდებით დააკაკუნეს. მათთან ერთად დაკავებულია კიდევ 14 ადამიანი, მათ შორის - სომხეთის, რუსეთისა და სამხრეთ აფრიკის მოქალაქეები. კონტრაბანდისტების გამოვლენისა და დაპატიმრების ოპერაციაზე ფედერალური გამოძიების ბიურო ერთი წლის მანძილზე, საიდუმლო ინფორმატორის დახმარებით მუშაობდა.

იარაღის კონტრაბანდისტების საქმის გამოძიება FBI-მ 2004 წელს დაიწყო. უკვე 2004 წლის ივნისში შედგა პირველი საუბარი ბიუროს ინფორმატორსა და კონტრაბანდისტების ხელმძღვანელს, სომხეთის მოქალაქე არტურ სოლომონიანს შორის.

FBI-ის ინფორმატორი კონტრაბანდისტებს ტერორისტული აქტების მოსაწყობად იარაღის შექმნის მსურველად გაეცნო. მას შემდეგ, კონტრაბანდისტების ყველა სატელეფონო საუბარი ისმინებოდა, ფირზე იწერებოდა მათი საუბრები თითქოსდა ტერორისტების წარმომადგენელთან, რომელიც სინამდვილეში ამერიკის

სპეცსამსახურის ინფორმატორი იყო. სხვადასხვა დროს შეხვედრებისას, ბანდისტებმა მას იმ იარაღის ნუსხა გააცნეს, რომლის შეთავაზებაც შეეძლოთ. ამ იარაღებს შორის იყო ნაღმტყორცნები, პაერსაწინააღმდეგო რაკეტების კომპლექსი, პლასტიკური ბომბი და ქვეთსაწინააღმდეგო ნაღმები. ინფორმატორს იარაღის ფოტოსურათებიც აჩვენეს. მეტიც, სოლომონიანმა მას უთხრა, რომ შეუძლია გაძიებული ურანის შოვნა, რომლის გამოყენებაც ძალზე ეფექტური იქნებოდა ნიუ-იორკის მეტროში. სოლომონიანის თანამოსაქმემ, სამხრეთაფრიკელმა სპაიზმა კი მას რუსულ მაფიასთან კავშირზე მიანიშნა და აუწყა, რომ ისინი, თავის მხრივ, იარაღს რუსეთის უშიშროების ოფიცრებისგან ყიდულობდნენ. თავდაპირველად, ინფორმატორმა სპაიზს უთხრა, რომ 10-15 ნაღმტყორცნის შექმნა სურდა, თუმცა სპაიზმა უპასუხა, რომ მას მხოლოდ 2000-იანი პარტიის გაყიდვა აინტერესებს. თუმცა, მოგვიანებით შეთანხმდნენ. კონტრაბანდისტები კლიენტს მუდმივად საქმის კურსში აყენებდნენ, აუწყებდნენ, საიდან მოდიოდა იარაღი და ამერიკის რომელ პორტებში შემოდიოდა. კერძოდ, სოლომონიანი იარაღის მო-

ვლდების საწყის წერტილად ჯერ რუსეთს, მერე კი ჩეჩნეთს ასახელებდა. საუბარი იყო, ასევე, სომხეთიდან იარაღის კონტრაბანდაზე. აშშ-ს ფედერალური პროკურორის დევიდ კელის ინფორმაციით, გაშიფრულია დაკავებულთა სატელეფონო საუბრები, სადაც ეჭვმიტანილები თანამედროვე რუსული წარმოების იარაღების საქართველოსა და უკრაინაში შექმნაზე საუბრობენ.

2004 წლის სექტემბერში ინფორმატორმა იარაღის ნაწილ-მაწილ შესყიდვა დაიწყო. შეიძინა რამდენიმე ნაღმტყორცნი და ავტომატი. კონტრაბანდისტებმა კი მას აცნობეს, რომ დიდი პარტების შემოსატანად აშშ-ს საზღვრების დატოვება საჭირო, რაც მათ ძალეებს აღემატება, რადგანაც ამერიკაში არალეგალურად იმყოფებიან. ინფორმატორი მათ “მწვანე ბარათების” შოვნას დაჰპირდა. სწორედ ამ ბარათების მისაღებად მისულები ჩაუკარდნენ ბოროტმოქმედები ხელში FBI-ს.

სოლომონიანისა და სპაიზის დაკავების შემდეგ სპეცსამსახურები კონტრაბანდისტთა ჯგუფის სხვა წევრებზე გავიდნენ და დააკაკუნეს კიდევ. დაკავებულთა შორის ოთხი - საქართველოს მოქალაქეა. ესენი არიან: მანჭეტენზე

მცხოვრები, 52 წლის იოსებ ხარაბაძე და სამი, ნიუ-იორკში მცხოვრები ახალგაზრდა: 26 წლის ნიკოლოზ ნადირაშვილი, 28 წლის ლევან შველიძე და 26 წლის ვასო მაჩიტაძე. მათთვის წარდგენილი ბრალდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას განეკუთვნება და თითოეულ მათგანს 20-დან 30 წლამდე პატიმრობა ელის.

„ბრალდებულები იარაღის მიღებას აღმოსავლეთ ევროპის სამხედროების დახმარებით აპირებდნენ. ახლა ჩვენ ევროპელ კოლეგებთან ერთად ვცდილობთ, აღმოვაჩინოთ იარაღი, რომლის შესახებაც ბოროტმოქმედები საუბრობდნენ და ადამიანები, რომლებიც მათ იარაღის კონტრაბანდაში ეხმარებოდნენ,“ - ამბობს FBI-ს სისხლის სამართლის სამძებროს განყოფილების სპეციალური აგენტი ენდრიუ არენა. FBI ასევე აგრძელებს რუსული იარაღის რეალური მყიდველების ძებნას. დაპატიმრებულები კი, ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობის თანახმად, მთელი სიმკაცრით აგებენ ჩადენილზე პასუხს.

# შესაძლოა, მმ რომ პრეზიდენტი ვყოფილიყო, ქვანია არც დაღუპულიყო!

## ინსტრუქტიული ინტერვიუ

### ედუარდ შიგარდნაძისთან



დით, ხვალ შევხვდეთ. მეორე დღეს 6 საათზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. არ გამოჩნდნენ. ათი რომ შესრულდა, მე თვითონ დავეუკავშირდი და მითხრეს, ცოცხალი კიდე გვჭირდებაო. შემდეგ ივანოვიან ერთად მოვიდნენ. საუბარი ისევე არ გამოდიოდა. მაშინ ივანოვიან თქვა, მე ბათუმში გადავფრინდები, თქვენ, იქნებ, რამეზე შეთანხმდეთ, თუ არაა, როგორც კი საჭირო ვიქნები, ჩამოვფრინდებიო. უცებ, ქვანიას თვალეში ცრემლები შევნიშნე. მან მითხრა: ამდენი წელი თქვენთან ვიმუშავე, ბაგონო ელუარდ, და ახლა ისეთი რამე უნდა გითხრა, რასაც არ უნდა გეუბნებოდეთ - უნდა გადაგვით.

ცოცხალი შევყოვნდი და ვუთხარი: ბიჭებო, გყვილა დროს ნულარ დაკარგავთ, ჭკუა გაქვთ და გამოცდილება. ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს: ჩააგარეთ არჩევნები, მოლით ხელისუფლებაში და დაუმტკიცეთ ხალხს, რომ ჩემზე უკეთ შეგიძლიათ ქვეყნის მართვა. რასაც სასიკეთოს გააკეთებენ, გამიხარდება.

- რისი ვაკეთებთ ვერ მოასწავრით თქვენი პრეზიდენტობის ვადაში და რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც გააკეთეთ?

- ვერ მოვახერხე აფხაზეთის დაბრუნება. თუმცა, გყვილი იქნებოდა, რომ ვთქვა, ჩემი კონსტიტუციური ვალის ამოწურვაც რომ დამცლოდა, მოვასწრებდიო. აფხაზეთის თემა ურთულესი და უსერიოზულესია.

სოჭში შეხვედრამე მე და პუგინმა მივაღწიეთ შეთანხმებას იმის შესახებ, რომ ნელ-ნელა რუსეთი შემოიყვანდა რკინიგზას ენგურამდე და საქართველო დაბრუნებდა, ეგაპობრივად, ლგოლივებს. ეს პროცესი დაიწყო. ვალში უამრავი ლგოლივილი დაბრუნდა, რომლებმაც ხმა მისცეს ბადაფშს. ის თავის დროზე მე ჩამოვიყვანე კომკავშირის ცკ-ს მდივნად. მისი პრემიერი, ანჭვაბიჩ ჩემი გამომრდილი კაცია. შს მინისტრის მოადგილე თბილისში მე წამოვიყვანე თავის დროზე. ორივესთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს. თუმცა, ბოლო დროს აღარ ვხვდებიან. არ მინდა. პრობლემები შეუქმნა. ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, ის ვაკეთე, რომ ჩემი ჩამოსვლით საქართველო დაშლას გადავარჩინე. როცა გავაანალიზე, რა ხდებოდა და რა შეიძლებოდა, კიდეც მომხდარიყო აქ, დაუფიქრებლად წამოვივდი მოსკოვიდან, თორემ რა ძალა მსჯიდა. მე მაშინ კარიერის თვალსაზრისითაც და სხვა მხრივაც იმდენად კარგი პირობები მქონდა რუსეთში, ჭკუათმ.ოფელი კაცი, ჩემს ადგილზე, აქ არ ჩამოვიდოდა.

- როგორ მოგწონთ დღევანდელი ჩვენი ხელისუფლების საქმიანობა? თქვენი აზრით, დადგება დრო, როცა მათაც დაუძახებენ, გადადგებიან?

- ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორ გაუმჯობესდება ცხოვრების პირობები. ათასობით ადამიანი დარჩა უმუშევარი. სახელმწიფო სტრუქტურებში შტაგების შემცირების პარალელურად უნდა იქმნებოდეს ახალი სამუშაო ადგილები კერ-

ძო სექტორში. თუ ეს პროცესები კარგად წავა, არავითარი გადაგდება არ ემუქრება. ჩემი რჩევა იქნება, რა თქმა უნდა, თუ მიიღებენ, იმუშაონ ჭკუით და გონებით და არა - ემოციით.

- თქვენ ყოველთვის აღნიშნავდით, რომ ქვანია გამორჩეული პოლიტიკური ფიგურა იყო. საზოგადოება მას თქვენს შემცვლელად ვ მოიამრებდა. თუმცა, თქვენი გადადგომის შემდეგ, იგი საკუთარ გარემოცვაში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. როგორ ფიქრობთ, რა მოხდა სინამდვილეში?

- ქვანია, მართლაც, გამორჩეულად ნიჭიერი კაცი იყო. ამ სამეუღლიდან ყველაზე ახლოს მას ვიცნობდი. მე მას მართლაც ვითვლიდი ვთვლიდი პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად. არ ვიცი, რა უნდოდა მას ამერბაიჯანელის ოჯახში. კადრების საკითხი სხვანაირად წყდება. ის კაცი არ იყო იმხელა პიროვნება, ვისთვისაც ქვანიას უნდა მიეკითხა. მე ბევრ რამეში მეპარება ეჭვი და ბევრი ვერსია მაქვს, მაგრამ თავს შევიკავებ. თუმცა, შესაძლოა, მე რომ პრეზიდენტი ვყოფილიყავი, ქვანია არც დაღუპულიყო.

- ბაგონო ელუარდ, თქვენი გადადგომის წინა დღეებში ბევრს საუბრობდნენ თქვენს აგარაკზე ბადენ-ბადენში. თუ იყავით იმპერიოლში იქ წასული დასასვენებლად?

- არავითარ ბადენ-ბადენში არ ვყოფილვარ და იქ არც არაფერი მაბადა. სამჯერ დაიწერა

თლეს ვწერ, განსაკუთრებით - რუსეთთან ურთიერთობებზე. რამდენჯერ მოგვაგყუეს და გვილაგეს - პეგრე პირველიდან დღემდე და ა.შ. თუმცა, ბევრი მნიშვნელოვანი რამ ამ მეშუარეში არ მოხვდა, რადგან ვითვალისწინებდი იმასაც, რომ რაღაცას გართულება არ მოჰყოლოდა. თუ რა სახის ინფორმაცია შემოვიწახე, ამას ვერ გეცხვით.

- სად, როდის და რა გირაჟით გამოიცემა თქვენი მემუარები, რომლის შემოსავალზეც დიდ იმელს ამყარებთ?

- შემოთავაზება მაქვს გერმანელების და ფრანგებისგან. მთხოვეს რუსებმაც, რომ პირველად მათ გამოეცათ. ამ დღეებში ამერიკიდანაც დამიკავშირდნენ. მოკლედ, ინტერესი დიდია. არჩევანი იმაზე უნდა ვაკეთო, ვინც მეტ ფულს გადამიხდის. შესაძლოა, სხვადასხვა ეტაპზე გამოსვლენ სხვადასხვა ქვეყნებში. ჩემი პირველი წიგნი - „ჩემი არჩევანი“ 18 ქვეყანაში გამოიცა, მათ შორის გერმანიასა და საფრანგეთში ორ-ორჯერ. დრო და გირაჟი ჯერ დამუსგებელი არაა.

- თქვენს შესახებ ანეკდოტი თუ გსმენიათ: სიკვდილის შემდეგ უკულმა დამსაფლავეთ, ერთ ადგილზე რომ მაკოცონ, რადგან ჩემს ფასს მერე გაიგებენო?

- არა, არ მსმენია. ეს ალბათ, ქუთაისურია... (იცინის) თუ ოდესმე კარგ მოგონებებზე დავეწერე წიგნი, ქუთაისი მასში გამორჩეულ ადგილს დაიკავებს.

ესაუბრა  
ინგა ვაშაყაძე

პენსიაზე გასული საქართველოს ექსპრეზიდენტი კრწანისის რეზიდენციაში ცხოვრობს. რეზიდენციას რკინის დიდი კარები და პაგარა ემო აქვს. ემო ძირითადად მოკირწყულია. იქვე, მოლზე, პაგარა ფანჯარა - მაგილითა და სავარძლებით. შედარებით მოგრძო სავარძელზე ამიური ხალიჩაა გადაფარებული.

ორველივ სიხუტა და ჩიგების საამო ელურგული. დაცვის წევრებიც მორიდებულად, დაბალ ხმაზე საუბრობენ ერთმანეთში.

ექსპრეზიდენტის სახელზე მოსულ წერილებს გულმოდგინედ ათვალისწინებენ და ახალ პრესასთან ერთად ალაგებენ, რათა ემოში სასეირნოდ გამოსულ ბაგონ ელუარდს პირადად გადასცენ.

სასეირნო და თავისუფალი დრო კი, როგორც არასდროს, ახლა იმდენი აქვს ყოფილ პრეზიდენტს. მან მემუარების წერა უკვე დაასრულა და ახლა სიახლოვებით ხვდება მისი პიროვნებით დაინტერესებულ უცხოელ სტუმრებსაც და ქართველ კურნალისტებსაც.

სტუმრებისთვის განკუთვნილი მისაღები საადალა მოწყობილი. უცხო მშერას კელეზე გაკრული სურათები და ნახატები იპყრობენ.

შეგარდნაძე ძველებურად დიმილიანი, მშვიდი და გაწონასწორებულია, ენაწყლიანი და იუმორით სავსე. საათზე არ იხედება და ნებისმიერ შეკითხვას სიახლოვებით პასუხობს.

\* \* \*

- ბაგონო ელუარდ, 1 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ ქვეყნის პირველი პირი აღარ ბრძანდებით. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ სავარძელი იძულებით დაგაგოვებინათ და თქვენი ოჯახის წევრებსაც დიდძალი თანხები წაართვეს, საზოგადოებაში არსებობს აზრი, რომ ვარდების რევოლუცია შეთანხმებული სცენარით განხორციელდა. რას გეცხვით ამბზე?

- არავითარი „ვარდების რევოლუცია“ არ ყოფილა. ეს იყო შეიარაღებული ხალხის შემოჭრა პარლამენტში. ყოველგვარ შეთანხმებაზე ლაპარაკი სიცრუეა. მართალია, მომხრეები ჰყავდა ოპოზიციას, მაგრამ მეც მყავდა მომხრეები. ჯარი და პოლიცია შემემორჩილებოდა, როგორც ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს. როცა პარლამენტის შენობიდან გამომიყვანეს და მანქანაში ჩავჯექი, ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა, მომხდარიყო საგანგებო მდგომარეობის დროს და მივედი იმ დასკვნამდე, რომ სისხლი დაიღვრებოდა. მე, რადგან პოზიციის და ოპოზიციის პრეზიდენტი ერთნაირად ვიყავი, პასუხისმგებლობა ორივე მხარის მიმართ მქონდა. მაშინ გადავწყვიტე, რომ შეგაკება არ უნდა მომხდარიყო. ჩემი თავი შევამზადე იმისათვის, რომ გადაემდგარიყავი და მანამდე ოპოზიციას შევხვედროდი. მე და ჯორბენაძე ვიყავით. სააკაშვილი, ქვანია და ბურჯანაძე მოვიდნენ. მიშა ისეთ გამოთქმებს ხმარობდა, რომელიც ჩემთვის მიუღებელი იყო. მაშინ ვუთხარი: მიშა, ჩვენი საუბარი არ გამოვა დღეს და მო-

ნიგნი, რომელსაც ველოდით

# ჩემს ლექსებს, როგორც ძვირფას ღვინოებს...

ქართველი მკითხველის ძალიან მცირე ნაწილმა საუცხოო საჩუქარი მიიღო - ბათუმში, გამომცემლობა „აჭარის“ გრიფით, ქართულ ენაზე გამოვიდა მარინა ცვეტაევის ლექსები.

ეს გახლავთ პოეტ ქუქუნა ხაჯიშვილის მიერ რუსულიდან ნამდვილი ქალური ინგით, მგრძნობიარობით, ღვინოთან მაქსიმალური მიხსლოებით თარგმნის, ულამაზესი ლირიკა.

მარინა ცვეტაევა - გენიალურ პოეტს და გრაფიკული ბედის პიროვნებას - მაიაკოვსკისთან და პასტერნაკთან ერთად, რუსული ლექსის ერთ-ერთ რეფორმატორად თვლიან. ევგენი ევგუშენკოს აზრით: „ისეთი შესანიშნავი პოეტიც, როგორც ახმაგოვა, გრადიციული ლექსის მიმდევარია. ამ თვალსაზრისით, ცვეტაევა ახმაგოვაზე მაღლა დგას.“

ასეთი პოეტის ქართულად ამტკიცებება, ბუნებრივია, ფრიად სარისკო საქმეა და, თუ ეს ქუქუნა ხაჯიშვილმა შეძლო, უპირველესად, პოეტის სულში ღრმა წვდომით. თუ თარგმანში ლექსის ფორმისმიერი ნოვატორობა არ ჩანს, სამაგიეროდ, ძალიან სათუთად და ფაქიზად იკითხება ცვეტაევის პოეტური ინდივიდუალიზმი, მისეული მსოფლგანცდის ნერვული სილამაზე.

წიგნი პოლიგრაფიულადაც კარგადაა გამოცემული: საინტერესო დიზაინი, ფოტოსურათები, რუსული ღვინის გვერდით დაბეჭდილი ქართული თარგმანი (რაც განსაკუთრებით მრდის თარგმნელის პასუხისმგებლობას და მისი შრომის შედეგს ღამის გამაღილებელი ღუპით აწვდის მკითხველს განსასჯელად).

მთარგმნელის საკმაოდ ვრცელ წინასიტყვაობაში გადმოცემულია მარინა ცვეტაევის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზა, განჯვითა და გვირგვინით სავეს მისი პირადი ცხოვრება. პოეტმა, საბჭოური რეჟიმის მსხვერპლმა, შიმშილსა

და გაუსაძლის პირობებში გააგარა სიცოცხლის მთელი მეორე ნახევარი. „შემონახულია განცხადება, სადაც ცვეტაევა ითხოვს ჩისტოპოლის მწერალთა სასაბჭოლოში ჭურჭლის მრეცხავის ადგილს: „გთხოვთ, მიმდით სამუშაოდ ჭურჭლის მრეცხავად, თუკი გაიხსნება ლიგონდის სასაბჭოლო.“ ჭურჭლის მრეცხავის ადგილი ერთია, მოთხოვნები კი - მრავალი! - ასეთი ყოფილა პასუხი.“



მარინა ცვეტაევა

მთარგმნელი განაგრძობს თხრობას: „ელაბუგაში გამგზავრების წინ მისი ჩემოდანი ბორის პასტერნაკს თოკით შეუკრავს, თან უხუმრია: თოკი ისეთი გამძლეა, თავის ჩამოსაკიდებლადაც გამძლეა. ამ წინასწარმეტყველურ ხუმრობას სიცოცხლის ბოლომდე ნანობდა პოეტი. თოკი მართლაც გამძლე გამოდგა... იაკობიდან არც ისე მაღლა ეკილა ცვეტაევის უსიცოცხლო სხეული.“

მაგიდაზე სამი გამოსათხოვარი წერილი და დასაკრძალავი ფული - 150 მანეთი იყო, ელექტროლუმზე კი, დიდი ტაფით, შემწვარი თევზი - პოეტის ხელით მომზადებული ჭირის სუფრის საღილი.“

სასტიკად გრაფიკული აღმოჩნდა მარინა ცვეტაევის ოჯახის წევრების ბედიც: კუნცევის ბავშვთა თავშესაფარში, შიმშილით გარდაიცვალა სამი წლის გოგონა - ირინა, მოსკოვის ციხეში დახვრიტეს მეუღლე - სერგეი ეფრონი, 1944 წელს ვიტიბსკთან დაიღუპა ვაჟი - 19 წლის გიორგი ეფრონი, უფროსმა ქალიშვილმა არიადნამ კი 16 წელი გააგარა გულავის ციხეებში.

ამ უმძიმესი, სულისშემძვრელი ბიოგრაფიის თავზე, თითქოს სიცოცხლის მარადიულ სხივებად ირეკლავს თავის ხელთუქმნელ მშვენიერებას მარინა ცვეტაევის უკვდავი პოეზია: Моим стихам, как драгоценным винам, Настанет свой черед.

მადლობა მთარგმნელს, ვისი გულწრფელი მოწადინებით ჩვენამდე მოშრიდა ცვეტაევის უნაგოფის ლექსი. იქნებ, 300 ეგზემპლარად გამოცემული ამ საინტერესო წიგნის გირაჟი როგორმე გაიზარდოს და ჩოლოქს გამოდგამს მკითხველმაც შეძლოს ქუქუნა ხაჯიშვილის დიდი და უანგარო შრომის შეფასება.

დასული სხეულიანი



Мне нравится, что вы больны не мной.  
Мне нравится, что я больна не вами,  
Что никогда тяжелый шар земной  
Не уплывает под нашими ногами.  
Мне нравится, что можно быть смешной-  
Распущенной- и не играть словами,  
И не краснеть удушливой волной,  
Слегка соприкоснувшись рукавами.  
Мне нравится еще, что вы при мне  
Спокойно обнимаете другую,  
Не прочтите мне в адовом огне  
Гореть за то, что я не вас целую.  
Что имя нежное мое, мой нежный, не  
Упоминаете ни днем, ни ночью-всуче...  
Что никогда в церковной тишине  
Не пропоют над нами: аллилуйя!  
Спасибо вам и сердцем и рукой  
За то, что вы меня- не зная сами!-  
Так любите: за мой ночной покой,  
За редкость встреч закатными часами,  
За наши не-гулянья под луной,  
За солнце, не у нас над головами,-  
За то, что вы больны — увьи! — не мной,  
За то, что я больна — увьи! — не вами!

მომწონს, რომ ავად არა ხართ ჩემით,  
მომწონს, რომ თქვენით არა ვარ ავად,  
რომ ფეხქვეშ მიწა მძიმე და სველი  
არ გაგოკებდათ სულის შემძრავად.  
რომ სასაცილოდ თავისუფალი  
არ ვთამაშობდე ყალბი სიყვებით  
და არ გაეწითლდე, როცა უბრალოდ  
ერთურთს თითებით ველაციცებით.  
და კიდევ მომწონს, გიცქერით როცა,  
ეხვევით ვინმეს მოურიდებელი  
და არ მიგზავნით გეენას კოცონს,  
მეც საკონუნელად რომ არ მინდებთ.  
რომ ჩემს სხეულს სათუთად თქვენში  
არც დღით, არც ღამით არ გაუვლია,  
რომ დიდი გაძრის სიმყუდროვეში  
არავინ გვეყვავის ალილუიას!  
მადლობას გიხდით გულით და ხელით,  
გულით და სულით მადლობას გიხდით.  
მადლობას გიხდით - ვიყვარდით ისე,  
რომ თქვენ თავადაც ვერაფერს მიხვდით.  
მადლობას გიხდით ამ სიმშვიდისთვის  
და იშვიათი შეხვედრებისთვის,  
მთვარიან ღამით, დაბინდებისას  
ჯერ არშემდგარი პაემნებისთვის.  
რომ თავს არ გვადგას გვირგვინის დარად  
ჩვენ შარავანი ცხელი და მწველი,  
ვწუხვარ, რომ ჩემით არა ხართ ავად,  
ვწუხვარ, რომ ავად არა ვარ თქვენით!

გაითხვალს  
შვასხანათ,  
რომ ეს მარინა  
ცვეტაევის  
სწორად  
ის ლექსია,  
რომლისა  
გიბარაჟა  
მღერის  
სწორი  
კინოფილიმის  
„აღმოს ირონია,  
ანუ გაამოთ“  
გაირო.



ნათლად  
ცნობილი  
აბაჰი

## ყაზებმს ქიქია უყვარდა!

ალექსანდრე ყაზბეგი რუსეთიდან 1870 წლის მიწურულს დაბრუნდა. ამ დროს იგი 32 წლისა იყო. ე. ი. იმ ასაკის, როცა ჯერ კიდევ შეიძლებოდა სიყვარულის პოვნა და ცხოვრების თავიდან დაწყება, მაგრამ ბედისწერა ისევე გააღმასუბული მიჰყვებოდა მის კვალს. თუ გასო გიგაურის, ყაზბეგის მწყემსობისდროინდელი მეგობრის სვიმონა გიგაურის რძლის მოგონებიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, ხევში ათასი სასიყვარულო თავგადასავალი ყოფილა გავრცელებული ყაზბეგის შესახებ, მაგრამ მათ შორის ძიძიას სიყვარული გამორჩეული ყოფილა.

გასო გიგაური: „ელისაბედ თარხნიშვილის დაკრძალვამდე (1888 წ.) ყური მოვკარ, რომ სანდროს თავისი ძიძის - ნინოს ქალიშვილის მული ჰყვარებიათ, გარბანელი გლეხის ქალი ძიძია, მაგრამ ნათესაობა აღდგომიან წინაო და ქორწინებაც ჩაშლილა. სანდრო როცა რუსეთიდან დაბრუნდა, ნინოს ქალი უკვე გათხოვილი ყოფილა. სანდრო თურმე, ხშირად დაიარებოდა გარბანში და ნახულობდა თავის ძიძიშვილს, რომლის ოჯახშიც ხვდებოდა ახალგაზრდა ყმაწვილ ქალს - ძიძიას. ძიძია მას მოკრძალებით ექცეოდა, როგორც ბაგონისშვილს, მაგრამ სანდროს ეს მოკრძალება კიდევ უფრო ახელებდა და მისდამი ინტერესს უღვივებდა.“

სანდროს და ძიძიას სიყვარული შეუქმნეველი არ დარჩენილა ძიძიას მშობისათვის და დისთვის აუკრძალიათ სანდროსთან შეხვედრა. მათი აზრით, სანდრო - ეს ნასწავლი ბაგონისშვილი გლეხის ქალს ცოლად არ იკადრებდა და შერცხვნილს დაგოვებდა.

ამ აუხდენელი სიყვარულის გამო ძიძია გუბერკულომით დაავადებულა. მედიკური ნათესავების ფარდა, სანდროს ამ ნაბიჯს არც ძიძიშვილი იწონებდა და ხშირად ეუბნებოდა: „სანდრო, აბა, რა შენი საქმეა გლეხის ქალი, განა არ იცი, რომ შენი ნათესაობა ამის წინააღმდეგაა.“ „ვიცი, ჩემო ყველავე, კარგად ვიცი, მაგრამ გულს ხომ ვერ ვუკარნახებ: წმინდა არსება ნუ გიყვარსო. მომწინდა ის არის-გოკრატებიც, მათი ბალ-მასკარადება, მათი გარყვინი ცხოვრება, სწორედ რომ ვიცი ყველაფერი ეს, ამიგომ მინდა წმინდა ქალი და წმინდა ოჯახიო!“

საბოლოოდ, სანდრომ ვერ მოახერხა ძიძიას შერთვა, რის გამოც ძიძია დასნეულდა და მალე გარდაიცვალა. სანდროს საყვარელი ქალი თავისი ხარჯით დაუსაფლავებ-

ბია და საფლავზე ფიცი დაუდგია. „შენგან მეგს მე ქალს არ შევირთავო“ და აასრულა კიდევ.

კრიტიკაში არაერთგან იქნა აღნიშნული, რომ „განკიცხული“, რომელიც 1884 წელს დაიბეჭდა, ავგობიოგრაფიული ელემენტების შემცველი ნაწარმოებია. მასში გადმოცემული გრაფიკული სიყვარულის ისტორია ავგორს უნდა გადახდებოდა. ამას ადასტურებს ელენე ანდრონიკაშვილის მოგონებაც: „თელავში სანდრო ხშირად ჩამოდიოდა, სადაც ცხოვრობდა ვიქტორ გამყრელიძესთან. ამ დროისთვის მისი რომანები უკვე წაკითხული მქონდა, ერთხელ გავბედე და შევეკითხე „განკიცხულის“ შესახებ: ნუთუ მართალია, რაც დაწერილია „განკიცხულში“?“

სანდრო ჩაფიქრდა, თავი ჩაღუნა და მიპასუხა: „მართალია, ცხოვრებიდან მაქვს აღებულიო!“

ამ მოსაზრებას ამყარებს მეორე მოგონებაც: ბიბო ყაზბეგის (ალექსანდრეს ბიძაშვილი) ქალი, ნინო თარხნიშვილისა წერს: „ალექსანდრე ყაზბეგს ჰყვარებია თავისი ნათესავი ქალი, ამის გამო მას თეთი ნათესაობა აუშხვედრა და ქალის შერთვის ნება არ მისცეს. ეს ქალი შემდეგ შეირთო პორფირე ბარათაშვილმა.“

ეს თავისი რომანი მან წიგნად გამოსცა „განკიცხულის“ სათაურით. ვკითხულობთ „განკიცხულს“ და, ბუნებრივია, ჩვენს წინაშე ისმება კითხვა, სანდრო-ძიძია ნაწარმოებში მარი-ლევანმა ხომ არ ჩაანაცვლა?

ალექსანდრე ყაზბეგი არც ისტორიკოსი იყო და არც ქრონიკორი, ამიგომ ცვლილებების უფლება მას ნამდვილად ჰქონდა.

ორივეგან უკიდევანო სიყვარული და მიუღწეველი ბედნიერება, ორივეგან ამხედრებული ნათესაობა და გრაფიკული დასასრული.

საბოლოოდ, მარი იღუპება... იღუპება ძიძიაც. ლევანი გადარჩება, მაგრამ, თუ გექსტს მოვიშველიებთ, დავრწმუნდებით, რომ მისი სიცოცხლე სიკვდილზე ნაკლები ღირებულებისაა: „დავრჩი მარგოდ და უპატრონოდ, დავრჩი იმისთვის, რომ როგორც ცოცხალმკვდარს გველს მეხობა, როგორც მიწისგან დაწყვეტილს, რომელიც ჩასამარხად პირსაც არ მიღებდა. დავრჩი მაგრამ რისთვის?! სიკვდილი არ მერჩივნა?“

ამ ნაწარმოების დაწერიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ ალექსანდრე ყაზბეგი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც 1893 წელს გარდაიცვალა.


სოფიკო ბოლქვაძე

არაორდინარული ამბები

ამ რუბრიკით დღეიდან გიამბობთ საინტერესო შემთხვევებსა და ისტორიებზე, გაგაცნობთ განსაკუთრებული ბედის ადამიანებს...

რუბრიკის სტუმარი

ძირძველი ქუთათური ოჯახის შვილი, 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლის უმრწემესი ასული, წლების მანძილზე სამუსიკო სკულის პედაგოგი ძაბული ზაქარია.



ექსკლუზივი: შპვარდნაძის წიგნის წინასიტყვაობა

ღვთის მადლით, ეს წიგნიც გასრულდა, - "ფიქრი წარსულსა და მომავალზე"... ეს ფრაზა, ნათქვამი და დაწერილი, უკვე წარსულია, რომელსაც ვეღარ შეცვლი და რომელიც ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიქრითა და განცდით გავსებს და თუ დრო კიდევ დავგრძელებო და მომავლის მოლოდინითაც...

ეტყობა, თავად მოგონებების ჟანრი, არა მარტო გახსენების, არამედ წარსულის შეფასების განცდამაც დააბადა. რაც არ უნდა იყოს, ცხოვრებამ უკვე ჩაიარა, ვეღარაფერს შეცვლი, რაც იყო, იყო. ანგარიში უნდა ჩააბარო აქაც და იქაც. მაგრამ მოგონებათა ეს წიგნი არც მხოლოდ გახსენებისა და არც მხოლოდ წარსულის განსჯისთვის არ დაწერილია. მისი ადრესატი, უპირველესად მომავალია... მოგონებების ზოგი ფრაგმენტი ადრესატი დაწერილი. ნაწილი დაიბეჭდა კიდევ, მაგრამ მათ უმეტესობას შემორჩალო უნდა ხასიათი ჰქონდა - პატივს მივაგებდი იმ დიდ პიროვნებებს, რომლებთანაც ახლო ურთიერთობა ბუდმა მარგუნა.

მაშინ არ მქონდა დამშვიდობების განცდა, ახლა კი ვგრძობ, რომ ვემშვიდობები ამ ყველაფერსა და ყველას, და ეს განცდა ტკივილით მავსებს. ცხოვრება თავდება. ამ წიგნამდე მრავალწლიანი გზა იყო, უმეტესად წარმატებული, მაგრამ წარუმატებელიც, გზა ალმა მიმავალი, მაგრამ დაქანებულიც თავისი დამარცხებებითა და გადადგომებით.

სწორედ ამ გზის შესახებ მინდა მოგიხროთ, იმ მსოფლიო პრობლემების, ქვეყნების და სახელმწიფო მოღვაწეების შესახებ, რომლებთანაც ბუდმა დამაკავშირა.

დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში, მწერლებთან ურთიერთობისას შევამჩნიე - ტექსტი, რომელსაც მწერალი ქმნის, მარტო სამყაროს კი არ წარმოაჩენს სხვაგვარად, არამედ თავად მწერალსაც, - ბევრად უკეთესად, ვიდრე იგი სინამდვილეში არის.

მოგონებების დროსაც, ეტყობა, ასეთივე რამ ხდება. განზრახ თუ უნებლიეთ შენს თავს უკეთესად წარმოაჩენ, ისე, როგორც ისურვებდი, რომ ყოფილიყავი. ეს კი ბევრ რამეს ცვლის.

ამ სურვილთან შეურთებელი ბრძოლით არის დაწერილი ეს წიგნი, ვეცადე, ობიექტური ყოფილიყავი, დროის და უპირველესად საკუთარი თავისადმი.

ჩემი ცხოვრება, ყოველ შემთხვევაში, რაც თქვენი ყურადღების ღირსად მიმაჩნია, აქ არის - ყველას შეუძლია თავისუფლად განმსჯალოს, შეუბრალებლად, უკომპრომისოდ.

თუმცა ჩემზე მკაცრად ალბათ მაინც ვერავინ განმსჯის: ვიცი, რომ შეცდომები მქონდა, ვიცი, რომ არ ვიყავი ზოგთან მართალი, ვიცი, რომ ბევრსაც გული ვატყინე და თუ შეძლებენ, ყველას პატივს ვთხოვ! მე დავივიწყე წყენა და ყველა ტკივილი და ჩემი მხრიდან არავის მიმართ ბოლმა არ მიმყვება.

შური არ მქონდა არავისი თუნდაც იმიტომ, რომ შემეძლო მიზნისთვის თავად მიმეღწია. ყოველთვის ცვდილობდი ღვთისობებულის ნიჭი და უნარი სრულად გამოემეკინა და გამეკეთებინა ის, რაც შემეძლო და რისთვისაც ვიყავ ამქვეყნად მოვლენილი.

მგონი ბევრი რამ კარგიც გავაკეთე ჩემი ქვეყნისა და ადამიანებისთვის.

მგონი ბევრი რამ კარგიც გავაკეთე ჩემი ქვეყნისა და ადამიანებისთვის.

მგონი ბევრი რამ კარგიც გავაკეთე ჩემი ქვეყნისა და ადამიანებისთვის.

მგონი ბევრი რამ კარგიც გავაკეთე ჩემი ქვეყნისა და ადამიანებისთვის.

წლები წაიარეს ძალზე ძვირად ღირებულად

მეოთხე კლასის მოსწავლე ვიყავი, როცა კომკავშირის ქალაქკომის მაშინდელი პირველი მდივნის, ელუარდ შევარდნაძის თაოსნობით, ქუთაისში ზოია კოსმოდემიანსკაიას დედას მოუწვევეს შეხვედრა. ღონისძიება ქალაქის ბაღში, ე.წ. „საბაფხულო თეატრში“ უნდა გამართულიყო. სხვადასხვა სკოლის ბავშვები წინასწარ შეგვარჩიეს - ვის სიგყვა უნდა წარმოეთქვა, ვის - ლექსი და ა.შ.

სკოლის დირექტორმა და უფროსმა პიონერხელმძღვანელმა სიგყვის წარმოთქმა ნარგებმა მგელაძეს მიანდეს, მე კი იოსებ ნონეშვილის ლექსი უნდა წამეკითხა მხატვრულად. ნარგებმა საოცრად ნიჭიერი გოგონა იყო, ნამდვილი ორატორი. მისი სახელი ქუხდა ქუთაისის მაშინდელ სასკოლო ცხოვრებაში - სად არ გამოჰყავდათ, რა დონეზე არ უსახელებია სკოლა თუ ქალაქი.

ლექსის მხატვრულად დამუშავებაში ჩემი რამზის ხელმძღვანელი, უფროსკლასელი გოგონა - გენრიეგა ლოლუა მესმარებოდა, ჩვენს უსაყვარლეს და უღამამგეს პიონერხელმძღვანელთან - გულნარა ქანდარიასთან ერთად.

მოკლედ, დედამ და უფროსმა დამ, მედიკომ, საგანგებოდ გამომამწვევეს თეთრ, მანქანებთან, კარგად გახამებულ მიტკლის „კოფთასა“ და ლურჯ ქვედაკაბაში, ფეხს დედის მოქსოვილი „გამაში“ მიმშვენებდა (მაშინ სად იყო გეგრები!), მკერდს - წითელი ყელსახვევი.

გამომპრანჭეს და... წამოვიდა წვიმაც.

დედამ შეიცხადა. - აგერ, გრიშამ სონა ებრაელთან (აბონ ციციაშვილის დედაზე ლაპარაკი, ის ვაჭრობდა) ქოლგა მიყიდა და გათხოვეთ. - მითხრა მედიკომ, თან საგანგებოდ დამარჩია: თავიც გამოიჩინე და ჩემი ქმრის ნაჩუქარი ქოლგაც უვნებლად დამიბრუნე, არ დამიკარგო, იცოდეთ.

სანამ ღონისძიება დაიწყებოდა, თეატრის გარეთ ვიდექი, - იქ, სადაც ახლა თეთრი კოლონადაა. ქოლგაზე წკაპუნით ეცემოდა წვიმა. უცებ, ჩემს წინ ნაცრისფერი „პობედა“ გაჩერდა. გაიღო კარი და იქითა მხრიდან ცქცივით შემოუარა მანქანას ელუარდ შევარდნაძემ. ო, რა ლამაზი იყო! შავი კოსტუმით, ქერა თმით, მონაცრისფრო თვალებით...

სხვათა შორის, ქუთაისში გოგონები გიჟდებოდნენ მასზე.

თვითონ ელუარდ ერთი გოგო მოსწონდა ძალიან, მაგრამ ის არ გაჰყვა... გეგყვი, ვინც იყო, ოღონდ - გაბეთში არ გამოაქვეყნო...

მოკლედ, ელუარდმა ახელა ცას და შენიშნა, რომ წვიმს... მიმოიხედა, მე რომ შემნიშნა,

ბის ჯერიც დამდგარა.

მოვარდა გენრიეგა ლოლუა - გოგო, სადა ხარ, შენი გამოსვლის ჯერიაო.

თურმე გამოვეცხადებოვარ კიდევ და, თეატრში შესულს, პირდაპირ სცენაზე მივრეს თავი. გაიხსნა ფარდა. ვღგავარ მა-



სტაცა ხელი ჩემს ქოლგას და მივარდა ისევ „პობედას“. ცალი ფეხი გროგუარის ფილაქანზე ედგა, ცალიც - გზაზე. სასწრაფოდ გააღო მანქანის კარი და ქოლგა გადააფარა იქიდან გაღმოსულ ძვირფას სტუმარს.

ზოია კოსმოდემიანსკაიას დედა ძალიან სიმპათიური, გიპიური რუსი ქალი იყო. შავი კოსტუმში და თეთრი „კოფთა“ ეცვა, გვერდზე გადავარცხნილი, უკან შეკრული ქერა თმა ჰქონდა.

ინგერესით ვუყურებდი, თან მოუთმენლად ველოდი - როდის მომამწოდებდა ჩემს ქოლგას კომკავშირის ქალაქკომის მდივანი. ელუარდმა ზოიას დედა დიდი პატივისცემით შეაბრძანა თეატრში. ის ჩემი ქოლგა, ალბათ, ააყუდა სადმე, ან - ვინმეს შეაჩეხა. მე კი - პაგარა, გულუბრყვილო გოგო - ვღგავარ გარეთ, წვიმაში, და შეშფოთებულ ვუცდი, როდის დამიბრუნებდა. ამასობაში შეხვედრის პირველი, ოფიციალური ნაწილი დამთავრებულა და ბავშვე-

ყურების წინაშე, ლექსის სათაურს აღარ ვამბობ, ვშლი ხელებს და ათრთოლებული ხმით ვიწყებ:

„გრამალები სდუმან შენი საქმით განაკვირები, მოდიან და შენს საფლავთან ქულს იხდიან გმირები...“

შევყურებ პრემიდიუმს, ჩემს წინ მყოფ დარბაზს, თვალთ დავეძებ ჩემს ქოლგას - იქნებ, სადმეა? ა? და... წკაპ, წკაპ... მცვივა ცრემლები. ვგირი ჩემს ქოლგას... „ვაიმე, რას მეტყვიან სახლში!“

ზოიას დედაც გირის, ელუარდიც თვალს იმშრალავს. დარბაზშიც შფოთავს.

ლექსის თითოეულ სტრიქონს იმდენ ცრემლსა და ტკივილს ვაგან, ხალხი ქვითინებს.

დავამთავრე და გავვარდი კულისებში. მოდიან აღფრთოვანებული, ალეღვებული ადამიანები, მილოცავენ, მკოცნიან, გულში მიკრავენ...

შინ მხრებჩამოყრილი მივლასლასდი.

დედამ გამიღო კარი:

- სადაა, ძაბული, ქოლგა? ვიცრუე, დამეკარგა-მეთქი.

- ვაიმე, მედიკოს ძინავს. რომ გამოიღვიძებს, რა ვუთხრათ? - პირკაგა ეცა დედას.

იცოცხლეთ, მე კი გამჩეხა ჩემმა უფროსმა დამ: მეორე ქოლგას აღარ მიყიდის გრიშა, მაგამეც რამდენი ვეხვეწე! როგორ დამიკარგე, გოგო, ასეთი ქოლგაო.

დედა შეეხვეწა:

- ნუ მომიკლავ ჩემს მეშვიდე შვილს, ხომ იცი, მაგამე მშობიარობას კინაღამ გადავეყვი. კარგი ბავშვია, კარგად სწავლობს, ნიჭიერია, იცოცხლოს, რა იქნებაო.

იქით ჩემი სიძე გადაიღია: - ჩემს შვილივით გაზრდილ პაგარა ცოლისდას რავა მიკლავ ქოლგის გულისთვის, მეორეს გიყიდი, შე ქალოო.

ახლა კი ვიკადრე და გამოვეცდი: ქოლგა კი არ დამკარგვია, ელუარდ შევარდნაძემ წამართვა-მეთქი.

მოვეყვი, როგორც იყო.

ჩემი და მთლად გადაიღია:

- რაო? ახლავე წავალ კომკავშირის ქალაქკომში, ელუარდ შევარდნაძის წასართმევი ქოლგა სად მაქვს მეო.

დედამ უთხრა: - გაგიკდი, გოგო? ჩვენ რეპრესირებული ოჯახი ვართ, სიმართლე ჯერ ვერსად ვიპოვე და ახალ შარს გინდა ამკიდოო? თუ ქალი ხარ, მეორედ არ გამასახლონ ამ ძლივს დაბრუნებული სახლიდან და ბავშვები ღია ცის ქვეშ კიდევ არ დამიყარონო.

მძიმე დღეები ჰქონდა გავლილი დედას, ემინოდა. მე კი მთელი სიცოცხლე მახსოვდა ჩემი დის შავი ქოლგა, რომლის გამოც ისე მწარედ მომხვდა მაშინ.

ესაუბრა ნანული სხველიანი



მარსენიდან: განრიგა ლოლუა და ძაბული ზაქარია

მსოფლიოში ბევრგან მომიწია ყოფნამ, ამერიკიდან დაწყებული და სკანდინავიით დამთავრებული, იაპონიიდან დაწყებული და ირანით დამთავრებული - საოცარი სხვაობებია, მისაღებების შესტებიც კი სხვადასხვანაირია და ეს სხვადასხვაგვარი გამოხატვა და აღქმა რეალობის შეიძლება გაუგებრობათა საფუძვლად იქცეს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჩემი ვიზიტი ირანში ათათოლა ჰომეინისთან 1989 წელს.

ამ დროისათვის ჩვენ ნელ-ნელა ურთიერთობა გვექონდა ირანთან, იგი შვიდი წელი ეომებოდა საბჭოთა კავშირის მეგობარს, ერაყს, ჩვენ კი ჯარი გვყავდა შეყვანილი ავღანეთში. ისე გამოვიდა, რომ ირანში რეზა ფეხლევის ჩამოგდების შემდეგ საბჭოთა კავშირიდან მთელი შვიდი წლის მანძილზე მალაი პირი არ იყო ჩასული, მოკლედ რაიმე მნიშვნელოვანი კონტაქტები არ გვექონია და გადაწყდა, რომ ჩემი აღმოსავლური ტურნეს ფარგლებში სირიისა და ერაყის შემდეგ ირანში ჩავიდოდი ორი დიდი სახელმწიფოს ურთიერთობის მოსაგვარებლად.

ურთიერთობის ნორმალიზების სურვილი ირანის მხრიდანაც იგრძნობოდა და ამის ყველაზე მნიშვნელოვან გამოვლენად იქცა იმამ ჰომეინის ექვს-შვიდეკერძიანი წერილი მიხეილ გორბაჩოვისადმი, რომელიც მოსკოვში 1989 წლის 4 იანვარს ჩამოიტანა და ადრესატს გადასცა იმამის პირადმა წარმომადგენელმა ათათოლა ჯავად-ამოლიმ.

25 თებერვალს მე უკვე თეირანში ვიყავი მიხეილ გორბაჩოვის საპასუხო წერილით იმამ ჰომეინისადმი, რომელსაც რაიმე სახელმწიფო პოსტი არ ეკავა, მაგრამ ფაქტიურად ირანის სულიერი ლიდერი და პირველი პირი გახლდათ.

სანამ პასუხი დაიწერებოდა, ჰომეინის წერილმა მალე შეაფიქრინა გორბაჩოვი. რა უნდა მიეწერა პასუხად არ იცოდა, არ ვიცოდი არც მე. თავის წერილში ჰომეინი პოზიტიურად აფასებდა გორბაჩოვის გამბედაობას რეალობასთან დამოკიდებულებაში, თუმცა, ამავე დროს, იმასაც მიუთითებდა, რომ კომუნისტების წარუმატებლობანი თვალსაჩინო გახლდათ, მაგრამ მთავარი ეს არ იყო.

ჰომეინის წერილი ღრმად ფილოსოფიური ხასიათის ტექსტი იყო. როგორც თავად იმამი ბრძანებდა: "მე მსურდა გორბაჩოვისათვის შემექმნა წარმოდგენა უმაღლესსა და მარადიულ სამყაროზე, რომელიც გარდაცვალების შემდეგ არსებობს. ამაშია ჩემი წერილის ძირითადი არსი".


საბჭოთა კავშირის კომპარტიის ათეისტი ლიდერი ირანის უმაღლეს სასულიერო პირს ამ თეოლოგიურ საუბარში, რა თქმა უნდა, ვერ აპყვებოდა, ამიტომ გადაწყვიტეთ გორბაჩოვის წერილი ჩვენი ორი სახელმწიფოს ურთიერთობებით შემოსაზღვრულიყო, მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე, რეგიონის პრობლემებზე მსჯელობით და ა.შ.

ირანისათვის ჩემი იქ ჩასვლა ძალიან ბევრს ნიშნავდა. ირანული პრესა ჯერ კიდევ ჩემს ჩასვლამდე დიდ იმედებს ამყარებდა ამ ვიზიტზე, განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა იმამ ჰომეინისთან ჩემს მომავალ შეხვედრას და მიხეილ გორბაჩოვის საპასუხო წერილს.

"ე.ა. შევარდნაძე პირველი უცხოელი წარმომადგენელია, რომელსაც მიიღებს ჰომეინი. იგი გორბაჩოვის მიერ გატარებული პოლიტიკის უახლესი მხარდამჭერი და თა-

ნამზრახველია და თავისი მნიშვნელობით მეორე პირი საბჭოთა ხელმძღვანელობაში".

ჰომეინის გარდა დაგეგმილი მქონდა ოფიციალური შეხვედრები ირანის ხელმძღვანელობასთან - ირანის პრეზიდენტთან ხამენეისთან, პრემიერ-მინისტრთან მუსაევისთან, პარლამენტის თავმჯდომარე რაფსანჯანისთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან ვილაიეთისთან, რომელთანაც მალე შევხვედრებოდი ურთიერთობა მქონდა. გაზეთი "Tehran Times", რომე-



ლიც ირანის საგარეო საქმეთა მინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრებს ასახავდა, წერდა: "საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრის ირანში ჩამოსვლა დიდ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც შევარდნაძეს მოაქვს გორბაჩოვის პასუხი იმამ ჰომეინისთან. თეირანის პოლიტიკური წრეების აზრით, ეს საპასუხო წერილი მალე ბევრს ნიშნავს რეგიონის შემდგომი პროცესებისთვის. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც დასავლეთმა ირანის ისლამურ რესპუბლიკას სიტყვით მძაფრად შემოუღია და ირანთან თავისი ურთიერთობანი ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე დაბალ დონეზე დაიყვანა, საბჭოთა კავშირი სულ უფრო ცდილობს ირანთან ეკონომიკურ, სამხედრო თუ პოლიტიკურ სფეროებში ურთიერთობის გაუმჯობესებას".

ირანში ფიქრობდნენ, რომ ჩემი ვიზიტის წარმატება თუ წარუმატებლობა დიდად იყო დამოკიდებული გორბაჩოვის წერილის შინაარსზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ვილაიეთიმ, სხვათა შორის, არა ფანატიკოსმა, პრეზიდენტი ექიმმა, დამირეკა და მითხრა, რომ იმამი მზად არის შეხვედრით.

ვიზიტზე ჩვენც დიდ იმედებს გამოვრებდით და სწორედ ასეთი მოლოდინით ვესტუმრე ჰომეინის წმინდა ქალაქ ყუმში.

ჰომეინი ავად იყო და ექიმების აკრძალვის გამო არავის იღებდა. ჩემთან შეხვედრას რომ დათანხმდა, ეს გამოწვევის გახლდათ და, რა თქმა უნდა, პატივისცემა იმ ქვეყნისადმი, რომელსაც მე წარმოვადგენდი, როგორც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი. მაგრამ, იქნებ, აქ სხვა მიზეზიც იყო, თუნდაც არაოფიციალური, თუნდაც შეფარული, მაგრამ ისტორიულად - წარსულსა და აწმყოში, და თქვენ წარმოიდგინეთ, მომავალშიც - მუდამ არსებული. სპარსეთის (ხოლო ახლა ირანის) საქართველოსადმი სახელმწიფო ინტერესი მაქვს მხედველობაში, ყოველ შემთხვევაში, მინდა ასე მჯეროდეს.

თოვდა. ჰომეინი შემადლებულზე ცხოვრობდა. შესვლისას, როგორც მე ჩემში, ფეხსაცმელი უნდა გამეხადა. გავიხადეთ. წინდებით შევედით. თავის ფარგლებში.

ვისხედვართ, ველოდებით. ოთახს მოვავლე თვალი - ჰომეინის ხაზგასმით ასკეტურ საცხოვრისს. ეტყობა აქ, უმთავრესი ცხოვრების არსის წვდომაა, რაშიც იმამს ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს, ყველაფერი სადაა, იატაკზე დაფენილი, თეთრი მონაცრისფერი ფერის ხალიჩაც. მოკლედ არის მხოლოდ ის, რაც აუცილებელია. ოთახში ჩემთან და თარჯიმანთან მასპინძლებიც არიან, ისინი მღუმარე მოწიფებით ელიან იმამის შემოსვლას. ფიქრი ისტორიისაკენ გამექცა. რამდენი ქართველი მჯდარა ასე სპარსეთის შაჰის მისაღებად. მართალია, ახლა მე სხვა ქვეყანას წარმოვადგენ, მაგრამ მაინც... ისტორიული განცდა, თუნდაც გარკვეული უხერხული მოლოდინისა, მაინც ფეთქავს ცნობიერებაში... ისიც გამახსენდა, რომ ამავე დიდი ქვეყნის ქართველი ხელმძღვანელი, არცთუ დიდი ხნის წინ, ირანში, თეირანში იჯდა და მსოფლიო გავლენის სფეროებს ანაწილებდა. მაშინ, ირანის ბედი, გარკვეულად დამოკიდებული იყო ამ ქართველზე... თოვლი იქ ხშირად არ იცის, მაგრამ როდესაც მოდის, მაგარი ყინვებია. მოკლედ გავიყინეთ. ჩვენ კი წინდებისამარა ვსხედვართ. გვალოდინა და ახლოებით თხუთმეტი წუთი. რაც უფრო მეტს ველოდები, მით უფრო გამოვდივარ მდგომარეობიდან, ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვარ, ჩამოვდი, წერილი ჩამოვიტანე, რას მალოდინებ...

ვილაიეთიმ წინასწარ გამაფრთხილა, შეხვედრის სასურველად წარმართვის ერთადერთი შანსია თუ მოუყვებით, რასაც გორბაჩოვი იმამს წერს თავის წერილში, თხუთმეტი-ოცი წუთის ფარგლებში.

მივესალმე. ვუთხარი, თქვენი წერილის პასუხად (როგორც ვთქვი, ეს იყო უნიკალური ფილოსოფიური წერილი) გორბაჩოვმა წერილი გამოვიგზავნათ ასეთი და ასეთი შინაარსისა...

მისმინა, მისმინა თხუთმეტი წუთი. ხანდახან თავს დააქნევდა ხოლმე, მეტი არაფერი.

მერე ერთხანს, თითქოს ფიქრებში წავიდა და მითხრა:

"- მე იმედგაცრუებული ვარ. გამიგია, რომ გორბაჩოვი მოახროვნე კაცია, შემთხვევითი არ იყო, რომ მაგას წერილი გავუგზავნე, სადაც გააზრებულია ადამიანის როლი და ადგილი არა მიწიერ, არამედ ზეციურ სამყაროში. მე არ მაინტერესებს რა ზედა მიწაზე, მე, იქ, ზეცაში ვიყურები. ამაზე პასუხი ვერ მივიღე. რაც შეეხება ურთიერთობის ნორმალიზებას, მე ამას ხელს შევუწყობ, მაგრამ მე რატომ უნდა ჩამრიოთ ამ საქმეში, ამაზე სხვებზე იზრუნებენ."

პასუხად ვუთხარი, მოდით, ჯერ წერილში დასმული საკითხებით დავიწყობ და მერე ვისაუბროთ ზეცაზე...

დაახლოებით წუთ-ნახევარი მისმინა და მითხრა: - "გადავიტოვებ გორბაჩოვს, რომ მე უკმაყოფილო ვარ".

ეს იყო და ეს. ერთბაშად ადგა, არც შემოუხედავს, არც დამემშვიდობა და წავიდა...

ხასიათი გამოიფუჭდა. ისევ გამახსენდა ყველაფერი ძველი, როგორ აზრებდნენ საქართველოს, როგორ აწამებდნენ ქართველებს, კლავდნენ, ქეთევან წამებულზე გამახსენდა, გიორგი სააკაძეც, ვითომც ყველაფერი ამის ბრალი ყოფილიყო.

არავისთან და არასოდეს ასე არ მომსვლია. გამოვდი, ჩავიცი ფეხზე. რას ჩავიცივამ, გაყინულია... ჩვეთვალე, რომ ვიზიტიც არ შედგა სასურველ დონეზე. ჩემებს ვუთხარი, რომ დაგეგმილი შეხვედრები (რაფსანჯანისთან, ხამენეისთან ოფიციალური ვაშამი) გადადონ, თვითმფრინავი გააშადონ და სასწრაფოდ გავფრინდეთ.

ვერძნობდი, რომ მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის თავმოყვარეობა არ შემეღობა... ეტყობა, საუკუნოებით დაგროვილი ეროვნული თავმოყვარეობის შელახვანიც ერთბაშად ამოზვირთდა ისტორიის სიღრმიდან.

მოკლედ, ახლავე მივიდივართ... თვითმფრინავი აქ მყავს და ერთ საათში გავფრინდებით.

ვილაიეთი მიხვდა... ვუთხარი კიდევ - საგარეო საქმეთა მინისტრი ჩამოვდი, არც მომესალმა, არც დამემშვიდობა, ეს რა არის მეთქი. დაგირეკავთო, მითხრა.

ჩვენ გარშემო თითქოს არავინ ჩანდა, მაგრამ ეტყობა, ჩვენი ყოველი შესტო, ყოველი სიტყვა, სულ უმნიშვნელო გადახედვა თუ გადალაპარაკება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იყო...

ირანს ნამდვილად არ აწყობდა საბჭოთა კავშირის განაწილება...

ვიზიტის შემდეგ, საბჭოთა კავშირში ირანის ელჩი ზეირ ანი ნობარი დაუკავშირდა საბჭოთა მხარეს და სისოვა ჩემთან შეთანხმებინათ იმამ ჰომეინისთან ჩემი შეხვედრის გაშუქების ხასიათი.

"- ირანის მხარეს განზრახული აქვს პოზიტიურად შეაფასოს ეს სა-

**"აქაშლი" ამ ნომრიდან ბოთავაზობთ ქლუარდ შევარდნაძის ახალი მემუარების ("ფიქრი წარსულსა და მომავალზე") პრცმლ ნაწყვმტმბს**

უბარი, რომელსაც იგი როგორც მეგობრულს, ისე აღიქვამს. ირანის მხარე აღნიშნავს საუბრის დადებით მომენტებს, ხაზი ექნება გასმული ირანისა და საბჭოთა ხელმძღვანელობის სურვილს ურთიერთობის განვითარების შესახებ. როდესაც ე.ა. შევარდნაძემ იმამს მოუთხრო მის გორბაჩოვის წერილის შინაარსი, იმამმა მხარი დაუჭირა გაცხადებულ აზრებს. ინფორმაციაში, რომელსაც ამხადებს ირანის მხარე, იმამის ეს რეპლიკები ასახული იქნება.

სამწუხაროდ, ექიმების მოთხოვნით, შეხვედრა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. იგი ისედაც უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე ამას ექიმები ვარაუდობდნენ".

ჩვენ დავეთანხმეთ ირანის მხარის პოზიციას შეხვედრის ამგვარად გაშუქების შესახებ და მართლაც ასე გაკეთდა.

ნახევარი საათიც არ იყო ვიზიტთან გასული, რომ ტელეფონში ვილაიეთის ხმა გაისმა: - იმამი საოცრად კმაყოფილია, გყავთ თარჯიმანი? ჩართეთ ტელევიზორი.

ჩავრთე და აკლებულია ყველაფერი. ესაა ისტორიული შეხვედრა და ამით იწყება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ახალი პერიოდი. გაიმართა ერთსაათიანი საუბარი, ასეთი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა... თბილად მიესალმა, თბილად გამოეთხოვა...

იმამმა დიდი შეფასება მისცა გორბაჩოვის წერილს.

და წავიდა... ტელევიზია... რადიო... გაზეთები...

იყვნენ იზოლაციაში და თითქოს გაიხსნა დასავლეთის კარი.

ორი დღე დავრჩი იქ, დღე-ნახევარი. საღამოს ვახშამზე ვილაიეთიმ კვლავ გამიმორა: - იმამი საოცრად კმაყოფილია ამ შეხვედრით, ეს განსაკუთრებული შეხვედრა იყო...

- მაგრამ მან მხოლოდ ორიოდ სიტყვა თქვა, ზეირიანად არც შემხედდა.

- თქვენ ვერ შეამჩნიეთ, მან სამჯერ დაგიქნიათ თავი. ეს იცით ჩვენთვის რას ნიშნავს. უდიდესი პატივისცემა და ყურადღებაა.

მოკლედ, ყველა ნიშანს, ყველა შესტს, კულტურის ყოველ კოდს შესაბამისი წაკითხვა და გამოფერა უნდა.

ირანში დღემდე ახსოვთ ეს ვიზიტი.

შემდეგ რაფსანჯანიმ, როდესაც თბილისში ჩამოვდა, მითხრა, - შენ იყავი ერთადერთი უცხოელი, რომელსაც ჰომეინი შეხვდა.

დიდი კაცი იყო ჰომეინი. მან თავისი წერილით გაარღვია ის იზოლაცია, რომელშიც ირანი მოხვდა, პარადოქსია, მაგრამ სწორედ მაშინ თუნდაც პიროვნულ ასპექტში, იქ საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ირანის ახალ ურთიერთობასაც, სხვაგვარ, თანაბარ ურთიერთობას. შემდეგ, წლების მერე, რაფსანჯანისთან და ირანის ლიდერებთან ჩემს, როგორც საქართველოს მეთაურის, ურთიერთობას, გარკვეულწილად, განსაზღვრავდა ჰომეინისთან ჩემი პირველი წარმატებული ვიზიტი, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ინტერესები (თუნდაც ნავთობსადენის საკითხებში), მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა...

რედაქტორისაგან:

ძვირფასო მკითხველო, დღეს მკითხველთა საინფორმაციო დონის დროა!
რვათხუთმეტეხუთი სათველოდ სახელი ისევ რვათხუთმეტეხუთი „მომავალი“ წარმოადგენს
საინფორმაციო ბაზარს, თუმცა ასტრონომისა და კოსმოლოგისგან განსხვავებით, ახლა რვათხუთმეტეხუთი
მარტო არაა, მას აკომპანიონებს „რვათხუთმეტეხუთი“ ნინო ხონელიძე უნდა.



ნინო ხონელიძე

სქესთა ბალანსის გაწონასწორებას ექვემდებარება. დღევანდელ ცხოვრებაში ქალის როლი
სავსებით განსხვავებულია, ვიდრე 20 წლის წინ. „სუსტ სქესს“ ემანსიპაციამ მისცა
საშუალება გამოამჟღავნოს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, შესაბამისად
სამყაროც იცვლება, მაგრამ ეტაპობრივად; თუ დღემდე ერთ ნახევარსფეროს
ანათებს 21-ე საუკუნის კამკამა შუქი, მის მეორე ნაწილში ჯერ კიდევ
შუასაუკუნეობრივი სიბნელეა გამეფებული.

დიდი ხანია მეჩვენება, რომ ჩვენი ცივილიზაციის ძირითადი კონფლიქტი
რელიგიისა და კულტურის ურთიერთ-დაპირისპირებაში, თუნდაც სოციალურ
სისტემათა სტრუქტურაში არაა საძებნელი, არამედ, ყოველივე ეს, ასე ვთქვათ,
ხედვითი მხარეა ძირითადი კონფლიქტისა, რომელიც დაინტერესდა არსებული
სიტუაციით, ხოლო მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩენის შემდეგ კი გადაიღო
ფილმი, რომელიც 2003 წელს მრავალი ჯილდოს მფლობელი გახდა საერთაშორისო
ფესტივალებზე და დღესაც წარმატებით განაგრძობს გამარჯვებით მსვლელობას
მსოფლიოს ეკრანებზე.

„უბრუნდები ყოველს, მინდა, მაღლობა მოეხადო ყურნალ „Gezi.U.S“
რედაქციას, ჩემი აზრის გამოთქმის შესაძლებლობას რომ მაძლევს. „რუსკი
ბაზარი“ გამოქვეყნებულმა სტატიამ არა მარტო ჩემი და ჩემი ახლობლების, არამედ
ზოგადად ქართული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. მინდა, გულახდილად
გითხრათ, მე თავად სახტად დავრჩი, როდესაც ინტერვიუ წავიკითხე, ვარ უაღრესად
აღშფოთებული თუნდაც ჩემი პირადი ცხოვრების საქვეყნოდ გამოშვებების
ფაქტით. მივხვდები, ყურნალისტს, საუბრის დროს ჩემს მიერ მოთხრობილი
ისტორიები, ცხადია, არ ყოფილა გამიზნული გაზეთში დასაბეჭდად. რასაკვირველია,
ინტერვიუს მიზანი იყო, გვესაუბრა დოკუმენტურ ფილმ

„Power Trip“-ზე და არა ჩემს პირად ცხოვრებასა თუ ქართული საზოგადოებრივი
ყოფის ავ-კარგზე. კიდევ ვიმეორებ, რომ ჩემი მიზანი არამც და არამც არ ყოფილა
ქართველი ერის განსჯა თუ გალანძვლა. ლეონიდ ზონშაინთან საუბრისას მე
გამოვთქვი გულისტკივილი ჩემი და ჩემი ახლობლების პირად ცხოვრებაში
გადახდენილ ამაზრზენ ისტორიებზე და არანაირად არ მიგულისხმია მთელი
ქართული საზოგადოებრიობა. თუმცა, ყურნალისტმა, ისარგებლა რა ჩემი
გამოუცდებლობითა და მიმდობლობით, დაწერა აბსოლუტურად არაადეკვატური
სტატია, ცხადია, სენსაციის მოხდენისა და ყურადღების მიქცევის მიზნით! თუმცა,
რაც მოხდა, იმას ალარაფერი ეშველება. მე არ მომეცა

არანაირი საშუალება სტატიის წინასწარი წაკითხვისა, ვინაიდან, რა თქმა
უნდა, არავითარ შემთხვევაში არ დავრთავდი ნებას მისი ასეთი სახით დაბეჭდვისა.
მე მიყვარს ჩემი სამშობლო და მუდამ ვაყვარებ ჩემი ქართველობა და ძალიან
ვწუხვარ, რომ ჩემდა უნებურად უნებლიე ზიანი მივაყენე ქართველი ერის
რეპუტაციას იმ უცხოელი მკითხველის თვალში, ვინც წაკითხა ეს სტატია „რუსკი
ბაზარში“. ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ ყველას, ვინც კი წაკითხავთ სტატიას,
გათვალისწინოთ ჩემი გულახდილი კომენტარი და მომიტყევეთ ჩემი წინდაუხედაობისა
და მიაბიძგობისათვის, რის გამოც პირველ რიგში, მე თვითონ დავზარალდი.
პატივისცემით: ნ. ხონელიძე

ნინო ხონელიძე:

«მინდა ვიყო მეუღლე და დედა...»

ლისათვის და თითოეული ოჯახისათვის პერსონალურად დამონტაჟდა
სადარბაზოებში. ჩემი დავალება იქ შემდეგნაირი გახლდათ, უნდა მეპოვა
ოფისები ჩვენი სერვის-ცენტრებისათვის, მექირავებინა, შემეკეთებინა,
მომეფიქრებინა დიზაინი, შემეჩინა ავეჯი, კომპიუტერი, შემეკმნა კომფორტი,
რათა იქ ხალხს ემუშავა. შემდეგ ოფის-მენეჯერის ფუნქციაც შევითავსე.
- რამდენი წლის იყავი მუშაობაში დაიწყე?
- 23.
- და ამ სპეციალობაზე სწავლობდი?
- მე დავამთავრე „ადმინისტრაციულ-ბიზნეს მენეჯმენტი“, ESM International - კოლეჯში, რომელიც
პირველი იყო ამ სფეროში. საქართველოში არ არის მენეჯმენტის, ფინანსისტიკისა
და მარკეტინგის კადრები. ჩვენ სულ პირველი კურსდამთავრებულები ვიყავით
და ყველა ამერიკელისათვის, რომლებსაც საქართველოში ჰქონდათ ბიზნესი,
ჩვენი ინსტიტუტი პოპულარული გახდა, იმის გამო, რომ დონე, რომლითაც ჩვენ
გვასწავლიდნენ, შეესაბამებოდა განვითარებული ქვეყნების დონეს. ჩემი
პირველი სამსახური ბიზნეს-კონსულტანტი იყო პრეზიდენტი იყო პრეზიდენტი
ბუილი დიდი ქარხნების რეკონსტრუქციის ცენტრში (World Bank project).
- საიდან ასეთი ინტერესი?
- 15 წლის ასაკში ერთი წლის განმავლობაში ბელგიაში ბიზნეს სკოლაში
ვიღებდი განათლებას. ჩემი მშობლები (მამინაცვალი და დედა), საქართველოდან
ომის დაწყებისთანავე წავიდნენ. მამინაცვალს ბელგიაში ბიზნესპარტნიორები
ჰყავდა. მე კი იქიდან

დავბრუნდი მხოლოდ იმიტომ, რომ მენატრებოდნენ მეგობრები, საქართველო
და ჩემი. სულელი ვიყავი ძალიან. ბელგიის სკოლაში ექვს ენას დავეუფლე.
ძალიან ძვირი იყო იქ განათლების მიღება, მაგრამ შესანიშნავი მამინაცვალი
მყავს. რაც შეეხება ინგლისურს, მას 6 წლიდან ვსწავლობდი... თბილისში
სამ თვეში დავამთავრე სკოლა და ვაპირებდი ბელგიაში გამგზავრებას,
მაგრამ დეამ და-მირეკა, ზაფხულში მეც ჩამოვიდა ვარო და მალე გავთხოვი
კიდევ, აღარ გამოვიდა ბელგიაში წასვლა.
კაპიტანილი ტყვე ქალი:
- საქართველოში თხოვდებიან პატარები?
- 14-15 წლიდან, არა მასიურად, მაგრამ 28 წლის უკვე შინაბერად ითვლები.
- ბელგიიდან საქართველოში დაბრუნებულს უკვე სხვა მსოფლმხედველობა
გექნებოდა ჩამოყალიბებული?
- რა თქმა უნდა, პირველი რაც თვალში მომხვდა იყო სიბინძურე და უხეში
ტუალეტის ქაღალდი (იციინს. ლ.ზ.), მეგობრებიც აღარ იყვნენ „ჩემი“, მათშიც
გამიცრუვდა იმედი, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, მიმატოვეს.
- იმიტომ, რომ შენ სხვა ადამიანი იყავი?
- უფრო თავისუფალი ვიყავი, ვიდრე ისინი, ჩემი ყოფა-ქცევის გამო მე მათთან
პრობლემები დამეწყო. როდესაც ისინი საღამოს აწყობდნენ თბილისელი
ლაბაზი

ბიჭებისათვის, მე ყურადღების ცენტრში ვექცეოდი, ვცეკავავდი, მელაპარაკებოდნენ,
რის გამოც, საბოლოოდ უბრალოდ შეწყვიტეს ჩემი იქ მიპატიჟება. ელემენტარული
მიზეზის გამო: „ის ბიჭი ჩემზე რას იფიქრებს?“
- რუსული მენტალიტეტი შენი აზრით ძალიან განსხვავდება ქართულისაგან?
- რადიკალურად და განსაკუთრებით ქალებში.
- ე.ი. რუსი ქალები უფრო თავისუფლები არიან?
- ქართველი კაცები რუსეთში მიდიოდნენ ქალებისათვის, იმიტომ, რომ
საქართველოში მათი ყოლა არ შეეძლოთ.
- უკაცრავად?
- თუ საქართველოში მამაკაცს ქალთან აქვს ახლო ურთიერთობა, ის ცოლად
უნდა მოიყვანოს. ასე, რომ პირველი ქალი ქართველი მამაკაცისათვის,
როგორც წესი რუსი იყო ხოლმე და მე ესხლა ვიტყვი ისეთ ფრაზას, რომლისთვისაც
ვიცი განმსჯიან: ქართველი ქალების უმეტესობამ არ იცის რა არის ორგაზმი,
უფრო რბილად რომ ვთქვა, ისინი სექსუალური ცხოვრებით არ არიან
ბედნიერი და არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას.
- კი, მაგრამ, ეს ზომ ოჯახის ერთ-ერთი უსერიოზულესი შემაღლებელი
ნაწილია?
- არა ქართველი ქალებისათვის. ეს არის თემა, რომელიც ცოლქმარს შორის
საქართველოში არ ირჩევა. შეიძლება ესხლა რაღაც

1999 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უმსხვილესმა კომპანია AES-მა
საქართველოს მთავრობისაგან 35 მილიონ დოლარად შეისყიდა ქართული
ეროვნული ენერჯო კომპანია „თელასი“. 16 თვის მუშაობის შემდეგ AES-მა
აღმოაჩინა, რომ ყოველდღიურად ეკარგება 120.000 დოლარი! ყოველივე ამის
მიზეზად რამოდენიმე დასახელდა: საქართველოს მოქალაქის საშუალო
თვიური ხელფასი \$15-75 დოლარს შეადგენდა, მაშინ როდესაც სინათლის
გადასახადი 24 დოლარს უდრიდა, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი,
ქართველებიც შეჩვეულნი იყვნენ ენერჯით უზრუნველყოფას სახელმწიფოს
ხარჯზე თითქმის უფასოდ, ამიტომაც არ სურდათ გადახდა და არალეგალურად
აერთებდნენ ელექტროენერჯიას ქსელში. მესამეც, ამ დარგის სახელმწიფო
ჩინოვნისკებისთვის, უჩვეულო იყო კაპიტალიზმის პირობებში მუშაობა...
ასეთ სიტუაციაში მუშაობისას, თავის გადაარჩენის მიზნით იბულებული
გახდა, საერთოდ შეწყვიტათ ელექტრო ენერჯის მიწოდება თბილისისა და
მისი მიმდებარე ტერიტორიებისათვის. საქართველოში არსებობისათვის
ოთხწლიანი ბრძოლის შემდეგ, ამერიკელებმა რუსეთს მიჰყიდეს კომპანია
და რომ იტყვიან „მოუსვენს“ საქართველოდან.
აზიურმა მენტალიტეტმა გაიმარჯვა ენერჯეტიკულ ფრონტზე!
პოლ დეველინი, ცნობილი დოკუმენტალისტი, Emmy Award-ის გამარჯვებული,
AES-ის საქართველოს განყოფილების მენეჯერთან სტუმრობის დროს,

შეიცვალა, ახალი თაობა წამოვიდა. არიან წყვილები, რომლებსაც არ აქვთ ამის პრობლემა, მაგრამ ძირითადად, რამდენადაც მე ვხედავ ქართველ ქალებს, ისინი არც კი ფიქრობენ ამ თემაზე, რადგან სხვა საქმე ევალებათ. საკუთარ თავსაც კი არ უვლიან, მარტო ქმარ-შვილის მოვლით არიან დაკავებული.

**- მამ, რატომ თხოვდებიან საერთოდ?**

- ზუსტად იმისათვის, რომ მიხედონ ქმარს და გაზარდონ შვილები. ეს ჩვენი ძირითადი ამოცანაა. ქართველი ქალების პოსტულატია „მთავარია, ქმარი და შვილები“.

**- სიყვარულით თხოვდებიან თუ სხვა მოსაზრებით?**

- ჰგონიათ, რომ სიყვარულით, რადგან მოზარდ ასაკში იწყებენ ოჯახურ ცხოვრებას. 17 წლის ბიჭის სიყვარული 17 წლის გოგონასადმი - აი, ესაა მათი სიყვარული. დაიან, სეირნობენ სკვერებში, კინოში... ასე უყვართ იქ. ბიჭი გოგოს დაინახავს, არც იცნობს, მოეწონება და მზადაა უკვე ცოლად მოიყვანოს, მოიტაცოს. მე მაგალითად, მომიტაცეს, როცა 15 წლის ვიყავი. იმ ბიჭს ჩემი ცოლად მოყვანა უნდოდა, მე კი სულ 5-ჯერ მყავდა ნანახი. მანამდე ტელეფონზე მირეკავდა და ვცდილობდი, ცოტა ხანს მელაპარაკა. ერთხელაც სიყვარული ამიხსნა. ვუთხარი, რომ არ მიყვარდა და საერთოდ სხვა მყავდა გულში ჩავარდნილი და დავემშვიდობე. მალე ბელგიაში მივიღიდი, მან კი ჩემი მოტაცება გადაწყვიტა. მეგობრებს გამოუცხადა უმადისოდ სიცოცხლე არ შემეძლია, თუ წავა, მოკვდები. დამირეკა და მთხოვა, წასვლამდე 5 წუთით გამოდი, დაგემშვიდობები. არ გავდიოდი. მერე უკვე სახლთან რომ მოვიდა და აღარ ჩერდებოდა, ვიფიქრე, გავად დავემშვიდობები და შემოვალ-თქო. ვნახე, საჩუქარი მომიტანა - სუნამო, რომლის მიღებაზეც უარი ვუთხარი, მაშინ დამიტაცა, კეკს ვიყიდი და ახლავე მოვალე მითხრა. საღვთო რეზინა, წარმოვიდგენიათ? (იცინის - ლ.ზ.). გავიდა 5 წუთი, ვდგავარ ამ სუნამოთი ხელში, ამ დროს ორი დიდი ბიჭი შემოვიდა სადარბაზოში, ზემოდან ჩემი მეზობელი ჩამოვიდა, რომელიც მისი მეგობარიც იყო და ესე ძალით ჩამაგდეს მანქანაში. ვიყვირე, ვიკივლე, მთელი სუნამო თავზე გადავაქციე ყველას, ვინც იქ იყო. მეზობლებმაც გაიგეს. რაღაცეებს აყრიდნენ, რომ ხელი შეეშალათ მათთვის, მაგრამ მაინც წამიყვანეს. დედა რომ სახლში მოვიდა, ბელგიიდან ახალი ჩამოსული იყო, სუნამოს სუნმა გააცოცა, „რა ჭირთ ამ ქართველებს, სადარბაზოებში სუნამოს მოფრქვევა დაიწყეს? ყოჩაღ!“, ფიქრობდა და შევიდა სახლში, სადაც უკვე დახვდა 80-მდე მეგობარი, მეზობელი და ნათესავი. 2-3 საათის შემდეგ სახლში ვიყავი.

**- როგორ მიხვდნენ რომ მოგიტაცეს?**

- მეზობლებისგან...იმ ბიჭს რას აღარ ვუბნებოდი გზაში. ისიც კი ვუთხარი, რომ არ ვარ ქალიშვილი, თავი დამანებე-მეთქი, ვიცოდი რომ ეს მიშველიდა და მეორე

მიშველა კიდევ. მეგობარმა ბიჭებმა უფრო გამიგეს, ჩვენ გვეგონა, რომ შენც გიყვარდაო. ის ბიჭი კი მეუბნებოდა: „იქნებ გიყვარვარ და გერიდება რომ მითხრა?“. ბოლოს მამამისი ჩამოვიდა, მე კი ვტირივარ და ვიძახი: „ეს პატარა რომ არის, მაგიტომ მოუვიდა“. „შენ თვითონ რამდენი წლისა ხარო?“ - მკითხა გაცოცხლებმა. მოკლედ ჩამაჯინა მანქანაში და წამომიყვანა. იმ დღეს, სულ ცოტა, სამი კილოგრამი დავიკელი, პოზიტიური მომენტი იყო ჩემთვის. ეს კიდევ არაფერი, უარესი შემთხვევებიც მქონია. ოდესღაც 12 წლის ასაკში ერთად ვსწავლობდით. არც მახსოვს მოვწონდი თუ არა მას და 12 წლის შემდეგ კვლავ შევხვდით ერთმანეთს სრულიად შემთხვევით. ცოლი და ორი შვილი ჰყავდა. ციხეშიც მოესწრო ყოფნა უკვე და ეს ადამიანი მე პისტოლტყუპით დამადგა ოთახში!!! აი ასე, ქართველი მამაკაცები ძირითადად ასე ხვდებიან ქალებს. მე მათთან, როგორც ადამიანებთან, ისეთი დამოკიდებულება მქონდა, მაგრამ, პირიქით უნდა მექნა (სიცოცხლით მაგიდას მუშტს ურტყამს). მან მე დამადანაშაულა იმაში, რომ ამდენი ხანი მოვწონდი და მისი საყვარელი უნდა გავმხდარიყავი. ქართველი მამაკაცებისათვის ეს ისეთი თემაა, რომ 99% ცოლ-შვილიანია, შვილი ჰყავს თუ არა, მას საყვარელი უნდა ჰყავდეს. დროებითი ქალი მაინც, ერთი და ორი კი არა, არამედ ბევრი. თანაც იმის მერე, რაც ამ ურთიერთობას ამყარებენ, იწყებენ ლაპარაკს იმაზე, თუ როგორ უყვართ ცოლები. თუ ასე უყვართ, რატომ არიან სულ შენთან, ამიხსნათ იქნებ?

**სოლი - მამაკაცის ღირსება:**

- ჩვენ ვთქვით, რომ ქორწილამდე ქართველი ქალი დედოფალია, ქორწილის მერე სტატუსი იცვლება - იგი პირველ რიგში ცოლი და ბავშვების დედა ხდება...

- ვთვლი, რომ უმთავრესი პრობლემა ცოლ-ქმარს შორის ისაა, რომ ვერ იხსნებიან ერთმანეთთან... საკუთარი გამოცდილებიდან შემომდისა გითხრათ, როდესაც ქმართან ვცხოვრობდი, მე მისი მრცხვენოდა, მერიდებოდა, მეჩვენებინა მისთვის, რომ მსიამოვნებდა, რადგანაც ვიცოდი დამსჯიდა. ამიტომ ამაღლებული და წმინდა ქალის როლში ვიყავი მუდამ. ქართველ მამაკაცებს სუფთა ქალები - მარიამ ღვთისმშობლები უყვართ, იდეალია მათთვის ქალი, რომელსაც სექსის გარეშე ჩაესახათ ნაყოფი. შესაძლებელი რომ იყოს, სწორედ ასე მოექცეოდნენ...

**- ვინ მუშაობს ქართულ ოჯახში, მამაკაცი? ქალი კი ოჯახური საქმეებით არის დაკავებული?..**

- პირიქითაა, ქალი მუშაობს, კაცი კი სახლში ზის, ჭადრაკს თამაშობს. დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ იცხოვრო, უცხოურ კომპანიაში უნდა იმუშავო. იქ, ახლა ბევრი საერთაშორისო პროექტი არსებობს, მაგრამ სამსახურისათვის აუცილებელია ინგლისურის და კომპიუტერის ცოდნა; ქართულ კომპანიაში კი ძალიან ბევრი სამუშაოა და ცო-

ტას იხდიან. - ამერიკელების საქართველოში არსებობასთან დაკავშირებით იცვლება ქართველთა მენტალიტეტი? თუ კიდევ ბევრი წლებია ამისთვის საჭირო?


- უკვე ეცვლება ცხოვრების სტილი, ვინც მათთან მუშაობს. კომპანიაში, სადაც მე ვიყავი, იგივე ქართველები ქალებთან სრულიად სხვაგვარად იქცეოდნენ. ადრე გატყუებდნენ რომ უყვარდი, ცოლად მოგიყვანდნენ, იგონებდნენ გრძობებს, საწოლში რომ შეეტყუებინეთ. ასეთ კომპანიაში კი მამაკაცები ქალებთან თანასწორუფლებიანნი არიან... სხვათაშორის ამ ბოლო წლებში საქართველოში მამათმავლებიც გამოჩნდნენ და ეს არის ხალხი, რომლებთანაც მე გობრობა შეიძლება. ქართველი გეი ურთიერთობაში ბევრად უკეთესია „ნამდვილ ჯიგიტზე“. ქართველი კაცები საშინლად კონფლიქტურები არიან. არ არსებობს ქორწილი ან სუფრაზე თავშეყრა ჩხუბის გარეშე. ბოლო ათწლეულში კი უკვე სროლითა და მკვლელობით მთავრდება. საერთო ჯამში, ქართველი კაცი სუსტია. თვითონ ჰგონია, რომ ძლიერია. კაცი, რომელიც ცოლს ურტყამს, ის ძლიერი ვერ იქნება. მას არ ჰყოფნის შინაგანი ძალა, სხვაგვარად აუხსნას ქალს, რაც სურს...

**- მაგრამ ყველა ხომ არ სცემს ცოლს?**

- ყველა არა, მაგრამ საკმაოდ ბევრი. გათხოვებიდან ერთი კვირის შემდეგ, ქმარმა დამარტყა. გაცილებას ვფიქრობდი. მივედი რჩევის საკითხავად უფროს ქალებთან. მათ კი მითხრეს, ეს ხომ ნორმალური-აო და მაგალითად მომიყვანეს წყვილები, რომლებიც ბუნდური მეგონა. დედამთილმა გამომიცხადა, ყოველთვის მცემდა ქმარი, აი, ესლანხანს შეწყვიტაო. ბებიაჩემსაც სცემდა ქმარი, თუმცა მეორე ბებოს არა, დედაჩემიც არ უცემიათ, ისეთია, იქეთ სცემს სხვას...

**- არის ასეთი რუსული ანდაზა: „ცემს, ესე იგი, უყვარს“...**

- კი, ქმარიც ასე მიხსნიდა...ერთხელ რომ დაგარტყამ, ისე ვზრახვები საკუთარ თავზე, მერე კიდევ გირტყავო... ჩემთვის ქართული ოჯახი თავის მოტყუებაა. ქმარი, რომელიც ცოლს ტელეფონში უუბნება, „ჩემო კარგო, დაკავებული ვარ, შეხვედრა მაქვსო“ და ამ დროს რესტორანში ჩემთან ერთად ზის... ეს რა ცოლი და ქმარია? ქართველ კაცები გონორიანნი და ამყები არიან. ჩემი ქმარი ისეთი ღარიბი იყო, მას და მის ძმას ერთი წყვილი ფენსაცემელი ჰქონდათ სანაცვლოდ, რის გამოც სახლში ვხვდებოდით ერთმანეთს. მერე ვუყიდეთ ჩვენ ფენსაცემელი. 90-იანი წლები საქართველოში უმძიმესი იყო. როცა ბელგიაში მივიღიდი, ქუჩაში ავტომატების კაჯანი ისმოდა, მე კი დავსეირნობდი და ეს ყველაფერი ნორმალური იყო. პურის რიგში დილის 5 საათიდან ვიდევით. მახსოვს ერთი ტომარა კარტოფილი და ლობიო გვქონდა მთელი წლის საზრდო. ზამთარში ძილის დროს 5 სვიტრი გვეცვა და ქუდი გვეხურა. ასეთი იყო ჩემი ქმრის ოჯახი. მშობლები ჰუნსონიერები ჰყავდათ. შვილები



Придя разговаривать о фильме, я получил интервью на совершенно другую тему, о чем не жалею. Не думаю, что много найдется женщин, тем более из стран бывшего СССР, способных столь откровенно, зная, что их будут потом осуждать, говорить о том, что их на самом деле волнует. Кое-что из того, что Нино просила убрать из нашей беседы, я все равно оставил, не смог удержаться - беру грех на себя.

**ЛЕОНИД ЗОНШАЙН**

„Нино попросила“ - утверждает Вы упрямо. Хвала мужеству Вашему, дорогой коллега. Говорить о Вас, как о журналисте и приобретенной Вами в Союзе этике здесь было бы неуместным... и бесцельным.



Однако, когда в начале письма Вы говорите о полусфере земного шара, сияющем свете 21 века, я представил себе Грузию, без „папарацци“, с человечными журналистами, воспитанными на наследии Нодара Думбадзе и подгиныющимися „закону вечности“. В затемненной же полусфере я увидел Вашу великую Родину, пепел Советов, желающий воспламениться, но ожидающий раздувания огня от нас.

И если Вы и впредь решите писать о Грузии или упомянуть ее, то, как у нас говорят, даже промывание рта Вам не поможет. Могу только посоветовать - отправьте в огонь инсинуации Кочетова и Астафьева, достаньте с полки запыленные произведения Евтушенко, Ахмадулиной, Высоцкого, Маяковского... Они помогут Вам понять и оценить Грузию и может даже полюбить ее.

**МАНУЧАР КАЧАХИДЗЕ**

სახელმწიფო დაწესებულებაში მუშაობდნენ, სადაც ხელფასი 5 დოლარი ჰქონდათ თვეში. ჩემი მშობლები გვეხმარებოდნენ. ქმარიც ჩემებმა მოაწყვეს სამსახურში. ტაქსის ფული რომ არ მიმეცა, ისე არ გავიღოდა სახლიდან, მე თვითონ კი მეტროთი დავდიოდი ინსტიტუტში. ჩემთვის 30 დოლარად ვვიღებოდი ფენსაცემელს, მას 200-ად უნდა ეყიდა. აბა, ეს რა არის, თუ არა გონორი? ფიქრობდა, რომ უნდა მოემსახურებოდით და ეს საიდან მოდის იცით? დედისაგან. მისი უსაყვარულესი შვილი იყო, 13 წლამდე ბანდა და საწოლში ხელში აყვანილი აწვევდა. დედამთილმა ამაყად მითხრა: აი, როგორი დედა ვიყავო!

**- ეს ტიპურია საქართველოსათვის?**

- ვიცი, რომ ბიჭებს ძალიან ანებივრებენ თბილისში - მეფეებივით ზრდიან, ბები-ბაბუებიც ათამამებენ...

**- ბიჭებს?**

- გოგონებსაც. მაგრამ ვაჟი გვარის გამგრძელებლად ითვლება და ყველა განარებულა, ბიჭის დაბადებით. თუ გოგო შეეძინებათ, „ვერა ისეთი მაგარი, ბიჭი რომ გაეკეთებინაო!“-ამბობენ. გახსნილები არიან, როცა საზღვარგარეთ იმყოფებიან. აი, ჩემი ქმარი სულ სხვა იყო საქართველოს გარეთ. საყვარლები როცა ვიყავით, მაშინაც. მაგრამ ცოლი რომ გავხდი, ყველაფერი შეიცვალა, რადგან უკვე მისი სახე ვიყავი საზოგადოებაში, მე მას წარმოვადგენდი. ყველაზე ძალიან ეშინიათ იმისი, რომ ცოლზე სხვამ ცუდი არაფერი თქვას. საქართველოში ბევრს ჭორაობენ, 90% იგონებენ. 13 წლის ვიყავი, საკუთარ თავზე ისეთ ჭორები მესმოდა, ვგიჟდებოდი. წარმოიდგინეთ რა ცოდო ვიქნებოდი?!

**- ქართული საზოგადოება გამოდის, აზიასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ევროპასთან... თუმცა,**

**რელიგია მართლმადიდებლურია. იგი გულისხმობს სხვა ღირებულებებსაც?**

- არ უნდა ილაპარაკო რელიგიაზე საქართველოში. გავლენა, ჩემი აზრით, სოციალიზმმა მოახდინა, ხალხმა დაკარგა საკუთარი რელიგია.

**- ტრადიციები მაინც შენარჩუნდა...**

- ფორმა შენარჩუნდა და არა შიდა მხარე. რელიგიასთან და ენასთან ერთად ბევრი რამ იქნა წართმეული. ესლანდელი ქართველი, საბჭოთა აღზრდის შედეგი და ნაყოფი გახლავთ.

**- კარგი, მაგრამ შენ თვითონ არ გზიბლავს ოჯახი? კაცი-ოჯახის უფროსი, ქალი სახლში ზრდი ბავშვებს, უკლი სახლ-კარს...**

- მინდა ვიყო სახლში ცოლი, დედა და ვზრდიდე ბავშვებს. ეს მე ყველაზე ძალიან მინდა. მინდა, ჩემი ქმარი მდიდარი, შეძლებული იყოს და ერთად ვაშენებდეთ ქალაქებს. მიყვარს, როცა ცოლ-ქმარი ერთად არიან, ერთნი, მთლიანი. ესაა ჩემთვის ოჯახი და რასაც ერთად გავაკეთებთ, საკუთარი შრომის ნაყოფი ჩვენვე უნდა მოგვემსახუროს და არა რომელიმე ვინმეს ცალკე.

ფილმზე სალაპარაკოდ მისულს სულ სხვა ლაპარაკი გამომივიდა. მაგრამ არ ვნანობ, რადგან არ მეოხნია, ბევრი ქალი მოიბეზროს, ასეთი გულანდლიი საუბრისათვის მზად-მყოფი, მითუმეტეს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. იცოდეს, რომ მერე განსჯიან, მაგრამ მაინც ამბობდეს იმას, რაც მას სინამდვილეში ალღევს. ნინომ მთხოვა, არ დამეწერა ყველაფერი ჩვენი საუბარიდან... მაინც დავტოვე. ვიღებ ამ ცოდვას საკუთარ თავზე - ვერ შევძელი!

**ლეონიდ ზონშაინი**

გაზეთი „Русский Базар“ თარგმნა თამარ მმტრქმქმამა ჟურნალისათვის „Gezi.US“

**ბამისანი**, მე პატარა ერის შვილი ვარ, ქართველი მქვია სახელად და მე ეს მემამყება; ვცხოვრობ ვეროპისა და აზიის გზაგასაყარზე; ბუნებით რაინდი ვარ, შუადღის მცხუნვარებაში გამოწრთობილი ტემპერამენტით; უსსოვარობიდან მოდის ჩემი წეს-ჩვეულება! გამიცანით, „მე პატარა ქართველი ვარ“, დიდი გულითა და უსაზღვრო სულიერებით. ჩემი ეთნოსტრუქტურა მრავალფეროვანია, ეთნოკულტურა მდიდარი...

მე მცირე და უხვი ღვთით კურთხეული მიწა მერგო წილად ამქვეყნად ცხოვრებისათვის და მე ბედნიერი ვარ ამით, რისთვისაც უამრავი სისხლი მადინეს ხილულმა თუ უხილავმა მტრებმა.

მე დიდი პოეტი და რომანტიკული ბუნების ადამიანი ვარ, ერთთავად უცნაურიც კი, მთელი ჩემი ნატურა საუკუნეებითგან სარწმუნოებრივმა ზემოაგონებამ ჩამოძერწა, თავგანწირვის საფუძვლად რომ იწერებოდა მისი შეუბღალავი ისტორია.

რწმენით მე მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და ამით ყველაფერია ნათქვამი. ჩემი სარწმუნოება ეროვნულ თვითშეგნებას შეერწყა და ეროვნული თვითშეგნება სარწმუნოებას, - უამათოდ მე ის არა ვარ, რაც ვარ.

ჩემი გენეტიკური კოდი ტოლერანტობაა. ვინც მე არ მიცნობს და სურს ჩემი გაცნობა, ნინო ხონელიძისთანა მანქურთებს ნუ ჰკითხავს ჩემს ასავალ-დასავალს, რომელმაც საკუთარი კეთილდღეობის თუ ვნებების დასაოკებლად ევროპა-ამერიკა შემოიწახწალა...

მე გასწავლეთ ვის უნდა მიმართოთ:

ელლადას ჰკითხეთ, პართიას ჰკითხეთ, რომს ჰკითხეთ, ბიზანტიას ჰკითხეთ, არაბეთს ჰკითხეთ, მონღოლეთს ჰკითხეთ, თემურ ლენგს ჰკითხეთ, ოსმალეთს ჰკითხეთ და კიდევ ვის არა, - და ისინი პირუთვნელად მოგიგებენ ერთსა და იგივეს:

- კოლხები და იბერები მზის შვილები იყვნენ, დედამიწაზე ცეცხლის ჩამოშტანებით, ოქროს საწმისის პატრონები, საკუთარი ანბანის შემქმნელი მწიგნობარნი, ხალიბები რკინისა და რვალის მესაიდუმლენი, ომის ოქროვან ქარცეცხლში დაბადებული მზებუკები, ეგრისელი ცხენაკები მტერობაშიც და მეგობრობაშიც უღალატონი, ქრისტეს მგზნებარე მორწმუნენი და გრაალის მცველნი, ტაბილი იესოს რჯულისათვის თავგანწირულნი და წმინდა მოწამენი, და კიდევ ბევრს იტყვიან ასეთ საქებარს.

აუგსაც მოაყოლებენ და ეს აუვი სამართლიანი იქნება, რამეთუ სრულყოფილებამდე საქებარი ადამიანი ჯერ არ დაბადებულა დედამიწაზე.

მე არ მივირს, თუ ვინმე ძვირს იტყვის ჩემზე, ამას სენსაციად მართლა არ აღვიქვამ. გააჩნია რას ამბობს და რა გულით. არადა, რუსიც ისეთივე მომხვდური იყო ჩემთვის, როგორც ზემოხსენებულები. ვერ გამიგო რუსმა, ან არადა, კარგად გამიგო და შურით დღიდან ჩვენი ნაცნობობისა, სულ მლანძღავს და შეურაცხყოფს, ცილს მწამებს და სულს მინადგურებს. ამიტომ ვერიდები მე მას!

ხემ თქვა, - ნაჯახი რას დამაკლებდა, ჩემი ჯიმი რომ არ უმაგ-

რებდეს ზურგსაო. მე მინახავს ნინო ხონელიძისნაირი მანქურთი ქალები ისპანის, ბალდადისა თუ ქაირის პარამხანებში სტამბულის ტყვეთა ბაზრიდან გაყიდულები, ჩემი რუსი კოლეგა კი „რუსი ბაზარში“ ბაზრობს - „თუ დედამწის ერთ ნახევარფეროს ანათებს 21-ე საუკუნის კაშკაშა შუქი, მის მეორე ნაწილში ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი სიბნელეა გამეფებული“-ო.

ნუთუ რაიმე შეცვალა საუკუნეებმა კაცობრიობის მენტალიტეტ-

ბელი ღრუბლები?! ასეთი ვაისენსაციურობით. მინდა, რომ ამის შემდეგ მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიო, რადგან შენ არ ხარ ამდენი ყურადღების ღირსი.

რაც რუსეთთან დაკვირვებულ თიერთობა და საკუთარი ნებით ვანდე მას ემართა ჩემი ბედ-ბაღნი, იმ დღიდან მესმის ზონშანისნაირი ჭორიკანა მეზობრეებიდან ჩემი აუვი. აკი, ამ ზონშანისნაირმა გაიძვრა ტოტლებენებმა დამინგრეის ქართველთა სულიერი ერთობის ძეგლადქმნილი დი-

„შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ - შენი ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ შენი ოჯახის სახეა და გარეთ - შენი ერის! სწორად ცხოვრება თუ გინდა - ეს არის“

**ჭაბუა ამირეჯიბი, „დათა თუთაშია“**

სეთში მიდიოდნენ ქალებისთვის, იმიტომ, რომ საქართველოში მათი ყოლა არ შეეძლოთო“.

ეს სრული უვიციისა და ბოლძიანი ადამიანის ნათქვამია. ჩემს ქვეყანაში ერეკლეს დროს იყო საროსკიპოები, ლაშა-გიორგის დროს იყო საროსკიპოები, ვახტანგ

ქმარი ინტიმურ საკითხებზე. ეს ისეთი საკითხია, ჩვენში არავის უყვარს ამის აფიშირება, რადგან ოჯახმა თავისთვის უნდა დაიტოვოს საიდუმლოდ ის საკრალური სიწმინდე, რასაც ინტიმი ჰქვია.

ნ.ხ. ალბათ მიჩვეულია საკუთარი საცვლების გამომზეურებას (თუმცა, არც მეუღლის ფესსაცმელების გამომზეურებას ერიდება), ეს მისი საქმეა და მის სინდის-ნამუსზეა დამოკიდებული, კომენტარიც კი უხერხულია ამ სიბინძურეზე, რაც შემოგვთავაზა უსირცხვილოდ ყურნალისტიკის უსირცხვილობაშივე თანატოლმა რესპოდენტმა.

ევრო-ამერიკისგან განსხვავებით ჩვენში ზნეობრივი ეტიკეტი არსებობს, რომლის მიღმაც ჟურნალისტს საქმე არა აქვს, უხეშად რომ ვთქვა, არ ესაქმება. ამიტომ არ არიან ჩვენში პაპარაცები. მართალია, ყველას საკუთარი ნაკლი და ღირსება გააჩნია, მაგრამ რაც ნ.ხ.-სგან არის ნაამბობი, მტკნარი სიცრუეა, ოდნავადაც არ არის ახლოს რეალობასთან, ან მიჩქალულია მისი ღრმა რაობა, განუვითარებლობა ვერ ახსნევინებს მას ღრმა ფენომენალურ ფესვებს ქართველი ერისას, ამიტომ დაცინვით ამბობს: „საკუთარ თავსაც არ უვლიან (საუბრია ქართველ ქალებზე-ავტ.), მარტო ქმარ-შვილის მოვლით არიან დაკავებული“-ო. ხოლო კითხვაზე, - რატომ თხოვდებიანო, - უცერემონიოდ პასუხობს, „ზუსტად იმისთვის, რომ მიხედონ ქმარს, დაზარდონ შვილები“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემმა სარწმუნოებამ მასწავლა, რომ სქესობრივი ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის ღმერთმა დააწესა მხოლოდ ადამიანთა მოდგმის გასამრავლებლად, სხვა შემთხვევაში იგი სიძვია, მრუშობაა. რაც შეეხება სექსუალური ალტინებისაგან მიღებულ სიამოვნების შესახებ, ამას არც სწავლა სჭირდება და არც გამოუმთავრება, იგი თანამდევია ადამიანთა ბიოლოგიური მოთხოვნებიდან გამომდინარე და ზედმეტ აფიშირებას არ სჭირდება. სექსუალურ მოთხოვნები არაა ადამიანი, ნებისმიერი ცხოველი იკმაყოფილებს და მას არ სჭირდება ზედმეტი „მიეთმოეთი“. ამიტომ, სიძვისკენ განხრილი ყოველი ალვირანსნილი ლტოლვა, ხოლო უფადად ათმცნებათაგან ერთ-ერთად დაუწესა კაცობრიობას „არ იმრწმო“-ო. სხვა უფრო წმინდა მიზანი ოჯახის შექმნისათვის, თუ არა ქმარ-შვილზე ფიქრი და ზრუნვა, რა უნდა იყოს, დამისახელოს ნებისმიერმა ამერიკელმა, ევროპელმა, აზიელმა, აფრიკელმა თუ ავსტრალიელმა.

ხოლო რაც შეეხება საყვარლის გაჩენას (არასეულიერი ცოლის) და მასთან დაკავშირებულ დეტალებს, ნ.ხ. აღწერს თითქოს ეს ქართული ფენომენი იყოს და თავისი გონებაშეზღუდული ვარაუდით ასკვნის: „ჩემთვის ქართული ოჯახები თავის მოტყუება“-ო. (თუ თავის მოტყუებაა, მაშინ რად ამბობს ინტერვიუს ბოლო ამბაც-ში: „მინდა ვიყო სახლში, ცოლი, დედა და ვზრდიდე ბავშვებს. ეს მე ყველაზე ძალიან მინდა“-ო), მაშინ ანალოგიური თავის მოტყუება გამოვა ფრანგული, გერმანული, ამერიკული, რუსული, იტალიური



ში?! ბევრი არაფერი, მხოლოდ ტექნიკა განვითარდა, თორემ, როგორც ადრე ჩაგრავენდნენ ძლიერები სუსტებს, ასევე ჩაგრავენ დღესაც; როგორც ადრეულ საუკუნეებში იყო დაუცველი ადამიანი, ახლაც ასეა; როგორც ადრე ყიდდნენ სულსა და ხორცს, ასევე ჰყიდნენ სულსა და ხორცს 21-ე საუკუნის კაშკაშა შუქში დედამიწის ბრწყინვალე ნახევარფეროშიც კი ხონელიძეები და მისთანანი.

მოჩვენება და თვალის ტყუილი მისი ფსევდო-ნოსტალგია, როცა იგი ამბობს - „მე მიყვარს ჩემი სამშობლო, მემამყება ჩემი ქართველობა და ძალიან ვწუხვარ ჩემდა უნებურად უნებლიე ზიანი მიკაყენე ქართველი ერის რეპუტაციას“-ო და იქვე ინტერვიუში ამბობს: „იქიდან (ბელგიაზე) საუბარი) დაებრუნდი მხოლოდ იმიტომ, რომ მენატრებოდნენ მეგობრები, საქართველო და ჩემები“-ო.

ჩემო მკითხველო, მინდა თქვენი განსაკუთრებული ყურადღება მოვიხმო ამ წინადადების შემდეგ უნიჭოდ და გაუაზრებლად „დაბერტყებული“ სისულელის წასაკითხად: „სულელი ვიყავი ძალიან“-ო. ალბათ, იმიტომ, რომ მონატრებულ საქართველოში დაბრუნდა, რომელიც ძალიან უყვარს და ეამყება.

ამას ჰქვია „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირებს“-ო. თავიც კი მოიკატუნა, როცა დაიჩვილა: „ჟურნალისტმა ისარგებლა ჩემი გამოუცდლობითა და მიმდობლობით“-ო. ხოლო თუ როგორი გამოუცდელია და მემამყობა, ინტერვიუს წაკითხვისას კარგად ჩანს.

კვითხულობ და ინტერვიუს უკვე მერამდენედ, და ისეთი წარმოდგენა მრჩება, ასე მგონია, არააო ქართველი ქალი, არამედ პარიზის ყველაზე ალვირანსნილი საროსკიპოდან გამოსული კურტიზანი ქალი ლაპარაკობს. თავსაც იმართლებს - ჟურნალისტს სენსაციის მოხდენა და ყურადღების მიქცევა უნდოდაო.

ჰე, ჰე, სწორედ მე ვერ გამაკვირვებ, ნინოდ წოდებულ ქალი (რა სახელს მიაყენე გამოუდარე-

დებული ბაგრატიც ტაძარი?!

ამის მერეა, რომ გალექსილან პუშკინები და კატკოვები, ლერმონტოვები და ტოლსტოები, ასტაფიევი და ჟირინოვსკები ჩემს აუგსიტყვაობად. ამიტომაც ვაქციე ზურგი ჩემს კარის მეზობელს და დღესაც გადათიელებთან ვემბს სამშოს.

ადამიანში არის ორი საწყისი - მხეცის და კაცის. მხეცებზე, ე.ი. ლეონიდ ზონშანზე და ნ.ხ.-ზე არა მაქვს საუბარი. მე ადამიანებზე მოვასხენებო...

ჩემს გულში დიდი სიყვარულია... მიყვარს სატრფო, სანამ ცოლი ვახდებ, მეყვარება ცოლიც, რომელსაც ჩემმა ერმა ხატონად თანამეცხედრე, მეუღლე, სახლობა, ოჯახობა უწოდა, დაქორწინებას კი სულის მზიანობა.

ასეთი სიტყვების შემდეგ როგორ უბრუნდება ენა ნ.ხ.-ს და ამბობს, რომ საქართველოში ქმრები ცოლებს სცემენო. ეს უსათუოდ რუსული წყობის ოჯახებში აქვს ნანახი, არყით გაღებულ ქმარი რომ მივარდება ცოლს და დაღურავებამდე გაიფრებს წიხლქვეშ. ამის უტყუარი დასტური თვით პროლეტარული მწერლობის კორიფე მაქვს გორკია და ნობელის პრემიის ლაურეატი მიხეილ შოლოხოვი. მრავლადაა რუსული ლიტერატურაში მსგავსი პასაჟები. იქამდე სალტიკოვ-შჩედრინთან გვხვდებიან მამლაყინა ქალები, რომლებიც თავიანთ ქმრებს ცემა-ტყევაში ატარებინებენ საღამოებს, დამით კი ლოგინი ათანაბრებს გრძნობებს სექსუალურ ვნებათაღელვაში.

გადამიშალეთ ნებისმიერი ქართველი მწერლის ნაწარმოები, სად შეხვდებით მსგავს პასაჟებს?! პირიქით, ჩემი სიყვარული პირველყოვლისა დათმენაში გამოიხატება. მე სწორფრობისა და წაწლობის იღუმალებით მოცული სიყვარულის ავტორი ვარ. ამ ფენომენმა თავსატეხი გაუჩინა მიხეილ ჯავახიშვილსა და გრიგოლ რობაქიძეს, ამ დროს კი ნ.ხ. ურცხვად ამბობს: „ქართველი კაცები რუ-

გორგასალის დროს იყო საროსკიპოები, რუსთაველმა საუკეთესოდ იცოდა სიძვისა და მრუშობის განსხვავება არა გრამატიკული მნიშვნელობით, არამედ ცხოვრებისეული ცნობიერებით პირველყოვლისა.

რაც შეეხება საბჭოურ პერიოდზე, ბევრს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთს შევახსენებ მკითხველს:

- წყალტუბო საბჭოთა კავშირის არაკანონიკური ბორდელი იყო და ბოზებდ სწორედ რუსი ქალები მსახურობდნენ.

ერთს კი სიმართლეს ამბობს ნ.ხ.: „პირველი ქალი ქართველი მამაკაცისათვის, როგორც წესი, რუსი იყო ხოლმეო“... იმიტომ, რომ ევროპისკენ გზა ჩაკეტილი იყო, ხოლო „აღმოსავლეთის გავლენისაგან გათავისუფლებულმა ქალმა“ სრული უხეშობა გამოავლინა, ხოლო ეს უხეშობა ევროპულის ყაიდაზე მოჭრილი თუ ამერიკულზე, ამაზე თვითონ ნ.ხ.-მ იმტვირის თავი.

აი, რას ამბობს იგი: „ქართველი ქალების უმეტესობამ არ იცის რა არის ორგაზმი, უფრო რბილად რომ ვთქვათ, ისინი სექსუალური ცხოვრებით არ არიან ბედნიერნი და არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას“-ო (არადა, საბოლოო წერილში ამბობს: „მე გამოვთქვი გულისტკივილი ჩემი და ჩემი ახლობლების პირად ცხოვრებაში გადახდენილ ამბზრუნ ისტორიებზე და არანაირად არ მივულისხმია მთელი ქართული საზოგადოებრიობა“-ო. ღმერთმანი, „ქართველი ქალი“ საზოგადო ცნება)..

ნ.ხ.-მ თუ იცის რა არის ორგაზმი, შეიერთა ბატონო ეს ცოდნა, მე კი მათქმევინოს: ამ ცოდნის გამოა ზნეობრივად რომ წაბილწულა მისი სული მისივე ხორცივით!

„ეს არის თემა, რომელიც ცოლქმარს შორის საქართველოში არ ირჩევა“-ო. იგი არც ბალიშია და არც სასთუმალს დანთებული სანთელი, ამიტომაც რა იცის ნ.ხ.-მ რას საუბრობს ქართველი ცოლ-

და სხვათა ოჯახები.

აი, ასეთი გონებაზემზღულული რესპოდენტი შეარჩია ასევე გონებაზემზღულულმა ჟურნალისტმა გონებაზემზღულულთა გაზეთისათვის (ამას მათქმევენებს ის, რომ ამ ჟურნალისტის მიერ დაწერილი ასეთი სტატიები უხვად ემასსოვრება ამ გაზეთის ისტორიას), რომელიც თავისი არსით სავსებით ამართლებს სათაურს - „Русский Базар“. სხვას არას უნდა ელოდეს მკითხველი ამ გაზეთისაგან.

რედაქცია თუ ნ.ხ., ქართველებზე თავდატეხილ უბედურებს(რომლის ალფა და ომეგა ძალადობით მოსული ხუნტა იყო, რომლის ხელისუფლებად გადაკეთებაში ლომის წვლილი მიუძღვის საზღვარგარეთის პოლიტიკური ელიტის მძალე ემელონებს) თვით ქართული თვითმფლობელიდან ხსნის: „ქალი მუშაობს, კაცი კი სახლში ზის, ჭადრაკს თამაშობს. დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, რომ იცხოვრო, უცხოურ კომპანიაში უნდა იმუშაო...“. უხუციობაში დაოსტატებულ ნ.ხ.-ს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ეს საკითხი საქმილი თემა არაა, მისი ზნედაცემულობა სწორედ იმაშია, რომ თვითონ გაქსუებულმა არ იცის რა არის გაჭირვებული ხალხის ბედი და არცოდნას ცოდვის ისეთ აღმატებით ხარისხს აძლევს, რომ ძნელია ამის პატიება - ის დასცინის ერის გასაჭირს, მისი ბუნებიდან ხსნის დამარცხებული კაცის ამ კომპლექსს, მისთვის უმჯობესია ქართველ მამათმავლებთან ურთიერთობა, ვიდრე ერთ გაჭირვებულ ადამიანს შეეწიოს. მისი ღმერთი და სალოცავი ის დროა, როცა იმ კაცთან ზის რესტორანში, რომელიც ცოლს ტელეფონზე ესაუბრება და ეუბნება: დაკავებული ვარო!

თითქმის ვამთავრებ ამ წერილს და არ მინდა ორი სიტყვით არ შევეხო ფილმს...

ყველამ, ვინც კი ფილმზე საუბარი გადაწყვიტა, რატომღაც გვერდი აუარა. არადა, ფილმზეც გვარიანად სასაუბროა.

ჟურნალი „Gezi.US“ ამბობს, რომ ფილმმა „საკმაო აღიარებას“ მიაღწია. ღმერთმანი, ლაფსუსებითაა სავსე ეს ნაქები ფილმი.

სანამ შენობის აგებას გადაწყვიტავ, ეს აქსიომაა, რომ ჯერ ნიდავი უნდა შეისწავლო, რამდენად უსაფრთხოა სეისმოლოგიური თვალსაზრისით. ასევე ბიზნესშიც, ESM კოლეჯის დამთავრება არაა საჭირო, რომ იცოდე, ინვესტიციის ჩადებად შეიძლება გარემო შეისწავლო უნდა! ნუტავი იმ საცოდავ სქოულს, გაკვირვებისგან წარბი რომ გაუბრუნდა, ინვესტიციის ჩადებად ნინოსთვის მაინც ეკითხა სად ღებდა ინვესტიციას...

AES-მა ინვესტიციის ჩადებად შესანიშნავად იცოდა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 80%-ის ერთადერთი საშემოსავლო წყარო პენსია იყო - 8 ლარი, ხოლო მათ მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასური თვიურად 24 დოლარს შეადგენდა.

ეს ფილმი იმისთვის შეიქმნა, რომ მსოფლიოსთვის დაენახებინათ, როგორ ვერ იქცნენ ქართველები ჯადოქრებად და როგორ ვერ შეძლეს 8 ლარის 24 დოლარად გადაქცევა, როგორ არ გამოუვიდათ „ფოკუსი“...

იმის მაგივრად, რომ აღიარონ, ვერ შეისწავლეს საინვესტიციო გარემო და მტკვარში გადაყარეს 35 მილიონი დოლარი, ახლა მსოფ-

ლიოს ანახებენ: რა ცუდები ვართ! რა ურჩები ვართ! რა აზიელები ვართ!

სკოლას დირექტორი მართავს, გაზეთს რედაქტორი, ფილმს რეჟისორი... ამ რეჟისორმა ისე „მოიკოჭლა“, ისე „ბრმად“ ენლო ნინოს, რომ ქართველთა გაცამტვერებას რომ თავი დავანებოთ, ისტორია დაგვიმასხინჯა.

გახსოვთ, ალბათ, ნინო ქართული ლეგენდა და ღვთისმშობლის წილხვედრობის ფაქტი ერთმანეთში რომ გააერთიანა... საქართველო იმიტომაც ღვთისმშობლის წილხვედრიო, როცა მიწები რიგდებოდა, ქართველები ქეიფობდნენ, და აგვიანდათ და სანტა მარიამ თავისი წილი მიწა უბოძაო!

არადა, არათუ ქრისტეს, არამედ ღვთისმშობლის დაბადებამდეც ქართული უკვე არსებობდა, მეფეც ყავდა და დამწერლობაც გააჩნდა!

ეს ლეგენდა და ფაქტი კი სულ სხვანაირად იყო... მე აქ მოყოლით ვერაფერს ვუშვებდი იმ 170 მილიონ მაყურებელს, ტვინში რომ მცდარად ჩაიბეჭდეს ნინოს „ნაბუტურები“.

ღვთისმშობელს საქართველო ქრისტეს მოძღვრების საქადაგებლად ერგო... საკუთარი მიწა კი ღმერთმა დაგვიტოვა... ღვთისმშობელს კი ყველგან „ღვთის დედად“ მოიხსენიებენ... არ ვიცი, რომში კათოლიკები თუ მიმართავენ სანტა მარიას... მაგრამ ჩვენ ხომ არც ვატიკანელები ვართ და არც კათოლიკები?!

ზონმანი ამბობს, ნინოს ფილმში ქართული ეროვნული ცეკვების შესრულებისას ვხდებითო.

ვაი, რომ მართალია!

ის, ვინც ყოველივე ქართული, საამაყო და გულისფერარზე დაწერილი „გაგვიათხა“, ჩვენს მესიერებას ქართული კაბით ცდილობს შემორჩეს.

- გახადეთ მას ქართული კაბა! ვია ჭანტურიას თქმის არ იყოს, ჩავაცვით ღორს, მერე რა, რომ ლაფში ჩაწვება... ამ შემთხვევაში კაბა დაისვრება და არა ქართველობა!

და ბოლოს, რჩევისათვის: არაფერს ვიტყვი მის უზნეობაზე ქმრის ოჯახთან მიმართებაში, არც იმაზე ვაგვამახვილებ ყურადღებას, თითქოს ზოგად-ეროვნულ თვისებად რომ წარმოაჩინა ცოლ-ქმარს შორის ცემა-ტყეპა, არც ჭკორაობის პროცენტულ მაჩვენებლებზე მექნება საუბარი, მე მხოლოდ შევეხები მის „განსწავლულობას“.

ევროპაში გაზრდილმა ნამდვილად უნდა იცოდეს ფილოსოფიური კატეგორიები და ეს იმან, ვინც თავისი „მაღალი ერუდიციით“ მიწასთან გაასწორა ქართული ოჯახი და ეონოსტრუქტურა. ამას ვლობდა, წიგნები აელო და რაღაც ესწავლა, რომ „ფორმის“ საბირისპირო კატეგორია „შიდა მხარე“ კი არა, „შინარსია“.

- რა ვიგავს შენ, ნინო ზონელიძე, ბელგიაში განსწავლულის? შენი სწავლა-განათლება ამ ინტერვიუში გადმოაფრქვეთ თავიდან ბოლომდე და ამითვე ამოიწურება. ამისთვის მიისწრაფოდ ბელგიაში? ამას გასწავლიდნენ ბელგიაში?! მაგრამ რაც მთავარია, ავთივისებია თანამედროვე ცივილიზაციის ყველაზე უარყოფითი და ულამაზო გაკვეთილები.

ამ წერილზე თუ ენა მაინც შემოვიბრუნებ საპასუხოდ, რედაქციის მისამართზე გამოგზავნილ წერილს თავზე წააწერე ადრესატის სახელ-გვარი:

**მანუჩარ ქაჭანიძე**  
გაზეთი „ამბულსი“ რედაქტორი

## გამოხეაურებები რუსულ პრესაში

### ЧИТАТЕЛЬ ОДОБРЯЕТ... МОЛОДЕЦ, НИНО!

Мне очень понравилось интервью с Нино Хонелидзе. Наконец-то нашлась смелая молодая женщина, которая развеяла легенды о романтической Грузии, где все мужчины - рыцари, а все женщины - ангелы. Я сама жила в Грузии долгое время, и знаю, какие там нравы. Во всяком случае, они были такими, когда я там жила, и, судя по признаниям Нино, с тех пор там ничего не изменилось.

Там действительно было принято похищать молоденьких девушек, а мужчины изменяли женам направо и налево и вообще всячески их тиранили. Некоторых женщин били — не то, чтобы смертным боем, а так, слегка, чтобы знали свое место. А место женщин было главным образом на кухне, где они должны были готовить «сациви» и «чахохбили» своим господам и повелителям. Помню, как моя сотрудница - солидная женщина лет 50, говорила: «Все мужики - звери, но умная женщина этого зверя на разбудит».

Когда мужчины ездили в Россию - в отпуск или в командировку - они там развлекались с русскими женщинами, но при этом презирали их, считали проститутками. Русских мужиков тоже презирали за то, что они дают волю женам и дочерям. Мол, слабые, мужества у них нет. Что же касается сексуального удовлетворения своих жен, то, я думаю, грузинские мужчины об этом не очень заботились. Правда, женщины не часто вели со мной душевные беседы об сексе - порядочным женщинам не полагалось об этом говорить. Но большинство пожилых грузинок были очень сварливыми, а молодые пили слишком много кофе, и потом гадали на кофейной гуще. Так что, видимо, в сексуальном плане им чего-то не хватало.

Если грузин женился на русской или украинке - это была трагедия! Бедную женщину буквально сажали в клетку, дико ревновали, следили за каждым ее шагом, не позволяли развлекаться, общаться с друзьями. И били русских жен чаще, сильнее, чем грузинок. Такие браки часто кончались разводами. Хотя, бывало, что русские женщины постепенно превращались в покорных жен, которые ни в чем не перечили мужьям. На этих укрощенных женщин жалко было смотреть.

А то, что Нино говорит о культе девы Марии, культе девственности - точка в точку! Несколько лет назад, когда я уже была в Америке, я нашла в Интернете интересное сообщение - кто-то из депутатов грузинского парламента пытался доказать, что дева Мария была грузинкой.

Так что, Нино Хонелидзе - молодчина! Но, я думаю, ей достанется от грузин за такую откровенность.

**Ольга Басова, Нью-Йорк**

### ЧИТАТЕЛЬ ВОЗМУЩАЕТСЯ... ГДЕ ВЫ ЕЕ ОТКОПАЛИ?

Интервью с Нино Хонелидзе, опубликованное в прошлом номере "РЕ", меня просто возмутило! Оно оскорбительно для грузинского народа, грузинских женщин, мужчин. Не понимаю, зачем редактор вообще поместил такую статью в уважаемой газете! И где автор статьи откопал эту Нино?! Можно подумать, что нет других интересных людей в Грузии или среди грузинских эмигрантов в Америке. Что она - кинозвезда какая-то, что ли? Подумаешь, участвовала в документальном фильме! Путь об этом документальном фильме и рассказала бы, вместо того, чтобы обсуждать свои семейные и постельные проблемы!

Я провела в Грузии детство и юность, потом с мужем уехала в Россию, и у меня самые светлые воспоминания о моей родине - красивой, солнечной, гостеприимной. Я часто тосковала по грузинской природе, по ее людям - таким теплым и дружелюбным. Хонелидзе говорит о Грузии как об отсталой восточной стране. На самом деле Грузия всегда была передовой страной европейского типа. И женщин там не считали людьми второго сорта - наоборот, там царил культ женщины. Грузины гордились своей царицей Тамарой, своими прекрасными актрисами, талантливыми шахматистками. Даже символом Грузии была «Картлис деда» - «Мать Грузия», которая в одной руке держит меч, а в другой - чашу с вином. Но меч был направлен против врагов, а не против самих грузин.

По-моему, Нино Хонелидзе просто недостойна называться грузинской женщиной! Очернить своих, оскорбить их - самое последнее дело.

**Сюзанна Мельцер, Бруклин**

### ЧИТАТЕЛЬ НЕ СОГЛАШАЕТСЯ... Уважаемая редакция

Пишу вам в ответ на интервью с Нино Хонелидзе, которое вы опубликовали в 52 номере газеты «Русский Базар». Я сам из Тбилиси, прожил там 24 года и можно сказать, что хорошо знаком с грузинским образом жизни и с местными традициями. Но то, что уважаемая Нино рассказала, никак не соответствует тому, с чем я в Грузии встречался.

Как я догадался, она моего поколения, но рассказывает то, что могло быть, наверное, во времена наших прадедов, я имею в виду выходить замуж в 14 летнем возрасте, быть «рабыней» своего мужа и лишать себя всех земных удовольствий. В наше время эмансипация коснулась и грузинских женщин. Не могу утверждать, что они уже дошли до уровня американок, но точно могу сказать то, что они могут постоять за себя и делать все, что им хочется. Конечно, есть еще те, кто следует традициям и не вступает в добрые связи, но все меняется: меняется менталитет грузинского мужчины тоже. Что касается нас, грузинских мужчин, я уловил неприязнь к нам со стороны Нино. Она утверждает, что бить свою жену естественно в Грузии и это выражение большой любви. Извините меня, но у меня другие способы выражать свою любовь, и я уверен, я не единственный. Конечно, везде есть слабые мужчины, имею ввиду слабость характера, потому что прибегать к насилию есть ни что иное как слабость характера, но большинство грузинских мужчин уважают женщин, а своих жен и матерей своих детей тем более. Даже я бы сказал, у нас культ женщины. В старые времена, когда происходила стычка между мужчинами и они дрались на смерть, никто и ничто не останавливало их, кроме грузинской женщины. Если она бросала между ними свою косынку - из уважения к ней они останавливались.


Подведу итог моего письма. Меня раздражает и эта статья, и то, что Нино Хонелидзе рассказала. Я только могу догадываться, что на своем жизненном пути ей не повезло и она не видела той хорошей стороны грузинского народа, которой мы все гордимся, несмотря на то, где мы живем и сколько времени не видели родину. Я искренне желаю ей всего наилучшего в жизни и исполнении своей мечты: «Хочу быть женой и матерью...»

С уважением, **Торнике Бердзенишвили**

# მელონი, მელონი, მელონი ჩითელი ვარდი...

## ლუკრეციუს ფროსმანის გამოფენისას, ნახატ «აკბრისა პარგარიტასთან» ყოველზე მიღობდა ხანუშისული ქალი... ეს მოხუცი პარგარიტა და სპირი გასლდათ!

ამბობენ, ერთ დღეს სასტუმროს წინ, სადაც მსახიობი მარგარიტა და სვერი იმყოფებოდა, ურმების გრძელი ქარავანი გამოჩნდა. ისინი უთვალავი ახლად მოჭრილი წითელი ვარდით იყო დატვირთული. უცნაურ მსვლელობას გვერდით ფიროსმანი მიჰყვებოდა - ნიკო ფიროსმანაშვილი, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ თავისი პატარა დუქანი ჰქონდა. ახლა კი მთელი თავისი ქონების სანაცვლოდ „ყვავილების მთელი ზღვა“ ეყიდა...



1909 წლის მარტში ორთავალაში აფიშები გამოჩნდა: „ყურადღება, სიახლე! თეატრი „ბელ ვიუ“. მარგარიტა და სვერის მხოლოდ 7 გასტროლი თბილისში! შანსონების უბადლო შემსრულებელი, რომელიც ამავე დროს კეკე-უოკსაც შეუდარებლად ცეკვავს!“ როგორც ამბობენ, ნიკო ფიროსმანიშვილმა მარგარიტა სცენაზე იხილა თუ არა, თავი ვერ შეიკავა და ხმა-მალა წამოიძახა: „საოცრება! ქალი კი არა, ნამდვილი მარგალიტა!“ ამ ამბის გაგრძელება კი რამდენიმე ვარიანტადაა ცნობილი: მარგარიტამ სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან დაინახა ყვავილების უგრძესი ხალიჩა და ფიროსმანს გაოგნებულმა მიმართა: „შენ დუქანი იმიტომ გაყიდე, რომ ეს მშვენიერი ვარდები ჩემთვის მოგერთმია? ამას ჩემს ცხოვრებაში არ დავივიწყებ, ჩემო რაინდო!“ ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ვიდაც მდიდარ ჩინოვნიკთან ერთად თბილისიდან გაემგზავრა. მეორე ვარიანტი ამ ლეგენდის ასეთია: როდესაც მსახიობი ქალს „მილიონი წითელი ვარდი“ გაუგზავნა, ნიკალა უკანასკნელი გროშებით დუქანში დასალევად წავიდა. გულანუყვებულმა მარგარიტამ მას სხვისი ხელით ბარათი გაუგზავნა, რომელშიც მისვლას სთავაზობდა. ფიროსმანი იპოვეს, თუმცა უგონოდ მთვრალს ვერ გააგებინეს, მისგან რა უნდოდათ. ხოლო როცა მან სასტუმროში მისვლა შესძლო, გვიანდა იყო. მსახიობი იქ აღარ დაუხვდა. გასტროლები დასრულდა და მარგარიტა თბილისიდან გაემგზავრა. იმასაც ამბობენ, რომ 1969 წელს, როცა ლუკრეციუს ფროსმანის 85 „პრიმიტიული“ შედევრი გამოფინეს, ნახატთან „აკბრისა მარგარიტა“ ყოველდღე მიდიოდა ხანში შესული ქალი და კარგა ხანს ჩერდებოდა. ბოლოს ვიდაც დამთვარიელებელმა მათ შორის მსგავსება შეამჩნია. დაახ, ეს დაბერებული მარგარიტა და სვერი გახლდათ!

იმასაც ამბობენ, რომ, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ლეგენ-

დაა, რომელსაც რეალობასთან საერთო არაფერი აქვს. ფიროსმანის შემოქმედების მკვლევართა აზრით, ფრანგი მსახიობი ქალის მიმართ მხატვრის გაუზიარებელი სიყვარულის ამბავი ლამაზი ზღაპარია და მეტი არაფერი. სინამდვილეში არც ქონება გაუყიდა ვინმეს, არც ვარდების ზღვა ყოფილა და უფრო მეტიც, ფიროსმანი მარგარიტა და სვერს პირადად არა თუ იცნობდა, ნანახიც არ ჰყავდა! სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული პორტრეტი ნატურიდან კი არა, თეატრალური აფიშიდანაა დახატული. ნიკო ფიროსმანაშვილის ცხოვრებაში სულ სხვა დრამა დატრიალდა. თუმცა, ერთი რამ ნამდვილად მართალია: ბედნიერი სიყვარული გენიალურ მხატვარს თუ უბრალო ნიკალას არასოდეს ღირსებია. დაქორწინება ფიროსმანმა ერთხელ მოინდომა. ეს იყო შეძლებული ოჯახის ასული, რომელმაც დაობლებული პატარა ნიკალა, პრაქტიკულად, იშვილა. ელისაბედი და ნიკო, შეიძლება ითქვას, ერთად გაიზარდნენ. შემდეგ ქალი გათხოვდა და ფიროსმანს ის მრავალი წლის განმავლობაში არ უნახავს. დაახლოებით ორმოცი წლის ასაკში ელისაბედი დაქვრივდა და მშობლიურ სახლში დაბრუნდა. მათი შეხვედრაც აქ მოხდა. ელისაბედი შეცვლილი იყო, ძველი სილამაზე წლებს თუ დარდს წაეღო, მაგრამ ფიროსმანისათვის იგი მაინც შეუდარებელი გახლდათ! ნიკალამ ელისაბედს ცოლობა სთხოვა და... ამ წინადადებაზე ძალიან ზრდილობიანი უარი მიიღო. იმ წუთში ეს ჩაკეტილი ბუნების, უცნაური და თავისებური ნიკალასათვის ამქვეყნად ყველაფრის დასასრულს ნიშნავდა. „მე მისი და ამ ოჯახის ღირსი ვერასოდეს გავხდები“, - გადაწყვიტა ფიროსმანმა და პირად ბედნიერებაზე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი. მისი დაქორწინება ერთხელ ფიროსმანის დამ - ფეფუცამაც სცადა. მირზაანში ჩასულ ნიკალას დამ მეზობელ სოფელში საცოლვე მოუნახა და ფიროსმანი ქალის სანახავად, პრაქტიკულად, უკვე სასკუთარ ქორწილში მივიდა. მეორე

რე დღეს შეურაცხყოფილი და გაგვიყვებული მხატვარი მირზაანში მარტო დაბრუნდა და ფეფუცას უთხრა: „ეგ რა ურჯულო ხალხია, საერთოდ ვინ არიან! წმინდა გიორგისათვის ბატკანი მინდოდა შემეწირა, მაგათ კი არ დამანებეს... წამართვეს, შეჭამეს და დამცინეს კიდევ. დღესაც ჩემზე იცინოდნენ: შენ გიჟი ხარ, შეშლილი, ცოლი და ოჯახი რად გინდაო?! და შეეჭვდა - არავინ იცის, ეს ამბავი რამდენად მართალი იყო, მაგრამ მისი ხასიათი იცოდა და




რადღაც გააწყობდა! ნიკალას გადარწმუნება და მისი „გონზე მოყვანა“ ხომ შეუძლებელი იყო! მართალი იყო ფიროსმანის დედობილი, ქალბატონი ევროსინე (ელისაბედის დედა), როცა ამბობდა: „ვერ გამოგია, რა არის, ეს ბიჭი არავისა ჰგავს. სული ნატიფი აქვს და ჭკუა-გონება მახვილი, მაგრამ ძალზედ უცნაურია, სწავლა და მუშაობა არ უნდა, მაგრამ თითქოს არც ზარმაცია და უქნარა. არ უნდა ცხოვრებაში წინ წაიწიოს. თითქოს ამ ქვეყნისა არ არისო!“ ის კი... იქნებ მართლა არ იყო „ამ ქვეყნის“... იქნებ ამიტომაც გაქრა ასე უკვალოდ და დღეს მისი საფლავიც საძებარია. მის ცხოვრებაზე კი ის ლამაზი ზღაპრები, ლეგენდები და მისივე ნახატები მოგვითხრობენ, რომლებშიც მართლაც რომ სულ სხვა სულია... და საერთოდ, რა იყო ფიროსმანის ცხოვრება, თუ არა მთლიანად სიყვარული, ის სიყვარული, რომლითაც ცოცხლობდა და რისთვისაც ცოცხლობდა?! რა არის თითოეული ნახატი, თუ არა შემკვიდრე, შვილი და ძირი ამ დიდი სიყვარულისა, რომელსაც „უცნაური“ ნიკალა მთელი ცხოვრება გულით ატარებდა? მის შემოქმედებას კი ისეთივე „უბრალო“ შეფასება მიეცა, როგორც თვითონ მხატვარი იყო: ეს იყო და არის გენიალური სიმარტივე. ანი შაიშუმლაშვილი

# ზღვისფერი ბაძვს თვალები და...

ამბობენ, XX საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც თბილისის საოპერო თეატრში საპრემიერო თურევით სპექტაკლზე დასასწრებად მისული ეს მშვენიერი ქალბატონი ჩნდებოდა, ირგვლივ განლაგებულ ლოჯებში, პარტერში თუ ქანდარაზე მსხდომი ყველა ასაკის, რანგის და გემოვნების მყურებელი სპექტაკლს ივიწყებდა და მისი სილამაზით ტკობას ამჯობინებდა. ამბობენ, მასზე უიმედოდ ბევრი ყოფილა შეყვარებული, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო მისი გულის მოპოვება... ეს იყო ინჟინერი ვლადიმერ ჯიქია. ამბობენ, ბევრმა სცადა მისი მშვენიერების ლექსებით შემეკობა, მაგრამ მხოლოდ ერთმა შეძლო იმ უკვდავი სტრიქონების შეთხზვა, თითქმის ყველა შეყვარებულმა ქართველმა რომ იცის... ეს ქალბატონი თინათინ ჯიქიაა, ხოლო ამ არაჩვეულებრივი სტრიქონების ავტორი კონსტანტინე გამსახურდია... ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას, თუ არ შეგებრალე და მისთხოვდები სხვას, მივატოვებ განაფხულზე თევსასა და ხვნას, გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს, ცეცხლს გავატან შენ სამყოფელს, შენ სიყვარულს ქარს, და მოგიკლავ, მოღალატე მაგ ნაფერებ ქმარს. ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად ჰგავხარ ზღვას... არის კიდევ ერთი შემადგენელი ნაწილი ამ მშვენიერი ბანოვანის უკვდავყოფის ტრიადისა - გამოჩენილი ქართველი ფერმწერის ქეთევან მაღალაშვილის მიერ შექმნილი ფერწერული პორტრეტი, რომელიც ქალბატონი თინათინის შვილების მარინა და ნანა ჯიქიების ოჯახშია დაცული. თანამედროვეთაგან ცოტა ვინმე დაუტოვებია გულგრილი თინათინ ჯიქიას ბუნებრივი, სინაზით სავსე ხატებას. იგი ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულებს ახალგაზრდობაშიდაც და მაშინაც, როდესაც წლებმა, განვლილმა რთულმა ცხოვრებამ თავისი კვალი დატოვა მის ღვთაებრივი მოძინებულობით აღსავსე გარეგნობაზე... მრავალი წლის წინ, ქალბატონი თინას ქალიშვილმა მარინა ჯიქიამ ტექნიკური უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში მოაწყო კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო. მასზე მოხვედრა, ლაღო გუდიაშვილის ნახატით დამშვენებული მოსაწვევის მოპოვება ბევრს საოცნებო გაუხდა. საზოგადოება აღფრთოვანებით შეხვდა მსცოვან მწერალს. როდესაც სცენიდან გაისმა ცნობილი სტრიქონები „ზღვისფერი გაქვს თვალები და“... მთელი დარბაზი შეტრიალდა ბატონ კონსტანტინესკენ. პირველად და უკანასკნელად ქალბატონი თინათინი 2001 წელს, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ენახე - ამ დროისთვის იგი ოთ-

ხმცის გადაცილებული იყო, მაგრამ ასეთი ღვთაებრივი სილამაზე იშვიათად თუ შემხვედრია... დახვეწილი, თითქოს ნაქანდაკარი სახის ნაკეთები, სპილოსძვლისფერი, ან უფრო ზუსტად სადაფისფერი, თითქოს გამჭვივრავლ სახის კანი, არაჩვეულებრივი ცოცხალი თვალები, ცოტა დაძაბუნებული, მაგრამ საოცრად ნაზი, ნატიფი ხელები. სტუმრებთან გამოსასვლელად იგი ქალიშვილებმა მორთეს-მოკაზმეს. ეს იყო დაუვიწყარი სანახაობა. დროის მსახვრალმა ხელმა ვერაფერი დააკლო მის მშვენიერებას - იჯდა საყარძელში ძველებურად ელეგანტური, დედოფლური ღირსებით აღსავსე და ამავე დროს სადა ქალბატონი და მოწყალედ რეაგირებდა მოსმენილ კომპლიმენტებზე. ბევრს ახსოვს ღრმად მოხუცი, მაგრამ კვლავ მშვენიერი მერი შარვაშიძე რევან თაბუკაშვილის დოკუმენტური ფილმიდან, ამბობენ ასეთივე მშვენიერები იყვნენ ახალგაზრდობაშიც და ხანდახმულობაშიც მელიტა ჩოლოყაშვილი, სალომე ანდრონიკაშვილი, თამარ ციციშვილი - მეფური გარეგნობის ქალბატონები, პოეტთა და მხატვართა მუზეები, რომელთაც XX საუკუნის კატაკლიზმებმა არგუნეს ომი, გაჭირვება, ემიგრაცია, აქ დარჩენილთა ნაწილს კი რეპრესიები და სტალინური ბანაკების სიმწარე და ყველაფრის მიუხედავად, მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ სილამაზე, რომელიც ერის საგანძურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. თინათინ ჯიქიამაც, როგორც შემდგომში ხალხის მტრის მეუღლემ, გაიარა გზანი წამებისანი და სასწაულებრივად გადარჩა. განვლილი მძიმე ცხოვრების მიუხედავად, ის მაინც მშვენიერი იყო. ქეთევან მაღალაშვილმა იგი ომის შემდგომ 1946 წელს დახატა. არცთუ დიდი ზომის ფერწერული პორტრეტი სავსეა პოეტური განწყობითა და სევდით. ფონი სადაა. მოდელი სამ მეოთხედშია გამოსახული, კაბის ყელზე ლურჯი ფერით შესანიშნავადაა გამოცემული მისი ინდივიდუალობა. ამკარად ჩანს, რომ პორტრეტის შექმნისას მხატვარი ქალიც ერთგვარად ითვალისწინებდა პოეტის სტრიქონებს და სამოსისა თუ მორთულობის დეტალებში (ცისფერი კაბა, ლურჯი მძივების ასხმა) არჩევდა იმგვარ ტონებს, რომლებიც კიდევ უფრო გაუსვამდნენ ხაზს თვალების ცისფერ ფერს. ქალბატონი თინათინი აღარ არის ამქვეყნად, მაგრამ დარჩა მოგონება მშვენიერ ქალბატონზე, ქეთევან მაღალაშვილისეული პორტრეტი, კონსტანტინე გამსახურდიას სტრიქონები და მისივე ავტორგრაფი - ჯიქიების ოჯახისთვის ნაჩუქარ წიგნზე „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას“...



ი ა რ ა კ ვ ი ა ნ ის  
ფ ო ტ ო - ე ტ ი უ ლ ი

ჩვენი სამომხლოს წესგაღებია - გაზეთ „ამულის“ ახალი გვერდ-რუბრიკა ყოველ ნომერში



რა ნიჭიერი უნდა იყოს კომიკოსი მსახიობი, მისი სახელის გაგონებაზეც რომ გაეცინება ყველას. საკმარისი იყო, სადმე გამოჩენილიყო, თუნდაც პანაშვიდზე, ჭირისუფალიც კი ვერ იკავებდა ღიმილს. ასეთი იყო იპოლიტე სვიჩია და, რაც მთავარია, ასეთი იყო არა მარტო სცენაზე ან ეკრანზე, ცხოვრებაშიც. ამიტომაც მისი ოჯახის წევრებს იპოლიტე სვიჩიას ფილმების ნახვისას აღარც კი ეცინებათ...

მას თითქოს თავისი არსებობის ნაწილი მიჰქონდა სცენაზე. იმას აკეთებდა, რაც ისედაც სჩვეოდა. დიან, იპოლიტე სვიჩიამ იცოდა სველი ტილოს თავზე დაფენა, იცოდა ფანჯრიდან კალათის ჩაშვება, როცა რაღაცის ყიდვა უნდოდა... მოცლილობისას აივანზე გადადგებოდა და ეზოში მოთამაშე ბავშვებს მსაჯობდა სწორედ ისე, როგორც ეკრანზე გინახავთ ფილმში "ფეოლა". ცხოვრობდა და თავისი ცხოვრებით ახალისებდა ყველას, უცნობსაც და ნაცნობსაც. გაბრაზებულიც კი მხოლოდ ღიმილს იწვევდა შვილიშვილებში.

როცა ავად გახდა უჭირდა შინ, მეექვსე სართულზე ასვლა (უღიფტო სახლში ცხოვრობდნენ), მეზობლები ხვდებოდნენ და სკამზე დაბრძანებულს ხელდახელ ააბრძანებდნენ სახლის კარამდე. მისმა ღიმილმა ნამდვილად შესძინა სიყვარულიც და სახელიც, რომელსაც წლები ვერაფერს დააკლებს.

პროფესიით ბულაღტერი, ხალასი, ღვითი ბოძებული ნიჭის ადამიანი იყო, რომელიც შეუძნეველი ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა. ასე მოხვდა ქუთაისის თეატრის სცენაზე, მერე თბილისში, კინოეკრანებზე. 95 წელი შეუსრულდებოდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო.

**ზურაბ ქაფიანიძე:** - რა დამავიწყებს: ერთ დღით მივედი კინოსტუდიაში. დავინახე იპოლიტე. გავშალე ხელები, მინდოდა გულში ჩამეკრა, მან კი ჩინური დანა დააძრო და: არ მომეკარო, თორემ დაგჭრიო, - გამომეკიდა. გავიქციე. რას დამეწეოდა, მაშინ ბიჭუნა ვიყავი. დაიღალა და დამიძახა: გაჩერდი, თვარა გული ამომიჯდაო. შეჩერდი, ჩემზე გაბრაზებული ყოფილა, წინა საღამოს ნასვამმა გულში ისე მაგრად ჩავიკარი, ვატყინე თურმე.

როცა დაღვეა მოგვინდებოდა ბიჭებს, ფული კი არ გვქონდა, მივებარებოდით იპოლიტეს, მხრებზე ხელს მოვხვევდით, ერთ-ერთი ჩვენგანი კი ჯიბიდან ჩვეულებრივ ოცკაპიკანს, „შარიკიან“ პასტას ამოაცილიდა. იმ პასტას მერე 25 მანეთად „ყვიდით“.

**გიგა ლორთქიფანიძე:** - ქუთაისის დრამატულ თეატრში რეჟისორმა იური კაკულიამ იულიუს ფუჩიკის პიესა „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“ დადგა. იპოლიტე ცინის დარაჯს თამაშობდა. დიდი არაფერი როლი იყო, მაგრამ მაყურებელი მოიწყენდა თუ არა, ეტყობდნენ: - იპოლიტე, გააჩნაკუნე გასადებებიო! კულისებშიც რომ ამოელო ხმა იპოლიტეს და გასადებები გაეჩნაკუნებინა, დარბაზში ხალხი სიცილით იხოცებოდა.

ვისაც არ გინახავთ იპოლიტე სვიჩია თეატრის სცენაზე, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მცირედი იცით მისი ნიჭის შესახებ. ისეთ რამეს მოიფიქრებდა, წარმოდგენაც კი ვაგიჟობდებოდათ... „კოლხეთის ცისკარში“ იმდენად ზარმაცი იყო დახუნდარა, რომ მოიფიქრა და გამოიღო დროშის ჩრდილში ჩამოწვა... ამას ჰქვია სწორედ „მსახიობი გაუმართლებელს ამართლებს“. სპექტაკლში „ასი ათასი“ იპოლიტეს გმირს უნდა მოეგო 100.000. წაიკითხა გაზეთში მოგება და ისე კი არ მოიქცა, როგორც სხვა მოიქცეოდა მის ადგილას (დიდ სიხარულს გამოხატავდა), „გააფრინა“. დაიწყო გაზეთის ასი ათას ნაწილად დახვევა-განაწილება. ყველაზე დიდი ნაგლეჯი თვითონ ჩაიღო ჯიბეში, დანარჩენი სხვებს გაუნაწი-

ლა. ეს ეტიუდი, რომელიც მხოლოდ იპოლიტეს ფანტაზიის ნაყოფი იყო, 7-8 წუთი გრძელდებოდა. ყოფილა შემთხვევაც, როცა დარბაზიდან გაუყვანიათ სიცილით გულწასული მაყურებელი.

ერთ-ერთ სპექტაკლში ჯარისკაცის როლი მივეცი - უნდა წამოეყვანა დატყვევებული ბოლშევიკები. განსაკუთრებული არაფერი იყო. პრემიერაზე კულისებში ვიდექი. უცებ მესმის მაყურებლის სიცილი, კივილი. გამიკვირდა, ნეტავ ასეთს რას აკეთებს იპოლიტე-მეთქი. გავიხედე და რას ვხედავ, მოჰყავს ორი პოლიტპატიმარი. თვითონ ფეხებზე „პარტიანები“ აქვს შემოხვეული. ისე მოახერხა, ერთი „პარტიანკა“ გასძვრა. თოფი პოლიტპატიმარს დააჭვინა და შეუდგა დახვევას. ეს არაჩვეულებრივი სანახაობა იყო.

პატარა ეპიზოდს დაუვიწყარად აქცევდა. „უჩა უჩარდიაში“ ის და გრიშა გოკელაძე მთვრალები მოდიან. ავანსცენაზე 15 წუთი უნდებოდნენ გამოსვლას. ამასობაში, როგორც მთვრალემა იციან, მოიხსნიდა იპოლიტეს, „აჩუქებდა“ გრიშას, ის ჩუქნიდა პორტსიგარას, მერე გადადიოდნენ ტანსაცმლის



ჩუქებზე და ბოლოს სცენაზე იდგა იპოლიტე გრიშას, ხოლო გრიშა - იპოლიტეს ტანისამოსით.

მანც მგონია, რომ მისი ნიჭის მწვერვალი იყო კაჟა ბულაგა „დათა თუთაშხიანი“. რასაც ის აკეთებს, ტრაგიკომედიის შედეგია.

ისე, ტრაგედიაში თამაშზე ოცნებობდა - მე ტრაგიკოსი მსახიობი ვარო...

**ნანა მჭედლიძე:** - ახალგაზრდა ვიყავი, ფილმს ვიღებდი. მოქმედება ავტობუსში ხდებოდა. მყავდა ახალგაზრდა მსახიობებიც და ცნობილი არტისტებიც: კარლო საკანდელიძე, იპოლიტე სვიჩია. დავინიშნავდი გადაღებას 12 საათზე, 3 საათზე ვერ ვიწყებდით. ახალგაზრდები აგვიანებდნენ. იპოლიტე ერთი საათით ადრე მოდიოდა. იჯდა და ელოდა. ძალიან ვწუხდი... როლის შესაფერისად თბილად იყო ჩაცმული, არადა გარეთ ხვატი იდგა. მოვუბოდიშებდი ხოლმე. ის კი - არაფერია, მაგაზე არ იდარლო... მგონი, თვითონ არც იცოდა, რა დიდი არტისტი იყო.

მისი ნაჩუქარი საათი დღესაც ხელზე მიკეთია. ასეთი საათი მის ქალიშვილს ჰქონდა. მოვიწინე: რა კარგია-მეთქი. მეორე დღეს მოვიდა იპოლიტე, ისეთივე საათი ეყიდა ჩემთვის. უადრესად გულისხმიერი იყო.

**დიმა ჯაიანი:** - „პირველ მერცხალს“ ვიღებდით. მთავარი იყო, ნარდი არ მოგვეო მისთვის და საშუალო მტრად არ მოგვეიღებინა და სულს არ დაიშურებდა შენთვის.

**სასტუმრო „ფაზისში“** ვცხოვრობდით. გადმოიხვდა აივნებიდან და დამიძახა: დიმა, შენ, ის, ის და ის ამოდითო (დანარჩენებზე თითოთი მანიშნა). ავედით. სუფრა გაუშლია ნაირ-ნაირი ხილით... ცოტა გვეუხერხულა და ვკითხეთ: ბატონო იპოლიტე, უფროსებს რატომ არ ეძახითო... იმათ თავისი ფული აქვთ, თქვენ კი არაო.

პარტნიორები იყვნენ. ბოლომდე იდგნენ სცენაზე. ერთხელ, იპოლიტემ სთხოვა: მოდი, ცოტა ჩქარა გავატაროთ ეს სცენა, სადაც მეჩქარებაო. რეზოს მეტი რა უნდოდა, ამოვიდა საგრიმიროში, გამოართვა მორიგეს დიდი ბოქლომი, პალტოს დიდიკლოებში გაუყარა, ჩაეკეტა და ჩამოკიდა. დასრულდა სპექტაკლი. ამოვარდა იპოლიტე, ჩქარობს, გაიხადა ტანსაცმელი, ჩაიცვა თავისი, ეცა პალტოს... დაკეტილი დახვდა ბოქლომით. გაგიჟდა. იმწუთას მიხვდა, რეზოს გაკეთებული იყო. რეზოს სიყვარუ-



ლით რეველოს ეძახდა. ატენა ყვირილი: სადა ხარ, რეველო! რეზო რას გამოჩნდებოდა! დააგვიანდა იპოლიტეს.

გავიდა ხანი. ისევ გადის სპექტაკლი. ორივენი თამაშობენ. ჩვენ ჩასაფრებულები ვართ, რაღაც უნდა მოხდეს. ახლა რეზოს ეჩქარება, ბიჭები ელოდებიან, საქეიფოდ მიდიან. ამოვარდა რეზო. ჩაიცვა უცებ, შიბლეტებს რომ ეძახდნენ, ისეთი უზონრო ფეხსაცმელი ჰქონდა, ჩაუყრიდა ფეხებს და გავარდებდა. ახლაც ჩაუყარა, გავარდა და... წარბი გაიხეთქა. თურმე იპოლიტეს ეს ფეხსაცმელი 30 ლურსმნით დაუჭვებია იატაკზე.

**რეზო კაკაურიძე (მსახიობი):** - ცირკში იყო ჩამოსული ცნობილი კომიკოსი ოლეგ პოპოვი. შეახვედრეს ბატონ იპოლიტეს, ცირკის კიბესთან გააცნეს ერთმანეთი. Я давно знаю Ипполита Хвичия, - თქვა პოპოვმა. იპოლიტე, შენც ხომ იცნობო, ჰკითხეს...

- კი ვიცნობ, მარა კაი იქნება, ის ჭრელი ქუდი ქუჩაშიც რომ ატაროსო.

**Ипполит, сигарета не найдется?** - ეკითხება სტუმარი.

- რა უნდა ახლა, პაპიროსი უნდა? - ქართულად გვეკითხება იპოლიტე, რუსულთან ცოტა მწყვრალად იყო. კი მივწოდებ, მარა რაღაცას მომიწყობს მაგიო, - ჩაილაპარაკა. ისე ვერ ამკენწლავს და სხვა რა უნდა მიქნასო, - დაიმშვიდა თავი. ამოიღო პაპიროსი, მაშინ „კოლხეთს“ ეწეოდა, მიაწეოდა.

**Не так, Ипполит, одну штуку достань и бросай!**

ამოიღო ერთი ღერი იპოლიტემ და ესროლა. პოპოვმა შუბლით დაიჭირა, ატრიალა, აბრუნა, მერე ცხვირზე გაიჩერა, შემდეგ ისევ შუბლით ატრიალა... ბოლოს, პირში ჩაიღო და დაიძახა:

**Прикури, Ипполит!**

- ამ წუთში, ბატონო, - დაუძახა იპოლიტემ, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო ასანთი, გაჰკრა და აავლო, - ე, წადი და მოუკიდე ახლაო, - ჩაიხითხითა.

**დატოვა პოპოვი გაშტერებული სიგარეტით პირში.**

**მანანა სვიჩია (შვილიშვილი):** - ის დილოგი, რაც თქვენ ფილმებით გეცნობათ, მე ჩვენთან, ოჯახში, მომისმენია. ბებიანები - ლუბა ძალიან ენაკვიმატი ქალი იყო, ჩემი და მაკაც მას ჰყავდა. დასხდებოდნენ და სამივე ერთად ჰყვებოდა ანეკდოტებს.

ბებია ქარქაშაძის ქალი იყო. ხაჭაპუროვნას ეძახდა მთელი თეატრალური და კინოსაზოგადობა. შემოსული არ იყო სტუმარი, რომ თვალის დახამხამებაში სუფრა გამოიღო იყო. ეროსი მანჯავალაძე ხში-



რად იხსენებდა ჩვენთან სტუმრობას. ერთხელ, აიტენა თურმე, იპოლიტესთან წავიდეთო. მოვიდნენ. მოითხოვეს ერთი კერძი, - მორთვა ბებია, მოითხოვეს მეორე, მესამე, ისიც „გააჩინა“. ეროსი მანც „უკმაყოფილოა“.

- ესაა, ბიჭო, შენი პურმარილი?! - კითხულობს ღიმილით.

- ლუბა, დაკალი სიდვდრი, - დაიძახა უცებ სუფრისათვის კერძის შემატების ემში შესულმა იპოლიტემ. არ შეიძლებოდა ამის შემხედვარეს არ გაგცინებოდა.

არტისტული ნიჭი სისხლით მოსდგამდა ბაბუას. მისი ძმა, ალექსანდრე, ხონის თეატრის რეჟისორი იყო, ღები - მსახიობები ჰყავდა. იპოლიტეს და მის დედამამშვილებს ისეთი მოფერება შეეძლოთ, ისე მიუალერსებდნენ მოხუც დედას, მსგავსი არსად არაფერი მინახავს. ერთხელ თურმე ხბო დაკლეს. ალექსანდრეს უყურებია და ისე განუცდია, კინაღამ გული გასკლომია. სხვათა შორის, მალე გარდაიცვალა და ამბობდნენ, - ხბოს დარდს გადაჰყვავო.

ასეთი ბუნება ჰქონდა იპოლიტესაც. სულ სხვებზე ზრუნავდა, ზოგჯერ ისეთს დაეხმარებოდა, საერთოდ რომ არ იცნობდა. გასაკეთებელი საქმეების სია „შპარგალკასავით“ ელო ჯიბეში. ერთხელ, მოვიდა შინ და ბოშა ბავშვი მოიყვანა. ქუჩაში უნახავს ჭუჭყიანი და მოუვლელი. დავანეთ, დავასუფთავეთ, ჩააცვა ახალი ტანსაცმელი და ამ დროს კარზე ყყანით მოგვადგნენ ბოშები. უფიქრით, - ბავშვი მოგვპარესო. რომ ნახეს ჩატყული, გასუფთავებული, გაიხარეს. ამ ამბის შემდეგ გვაკითხავდნენ და თურმე გვქონდა გადასატანი ან გასაკეთებელი, გვიკეთებდნენ. ჩვენც ვენმარებოდით, რაც შეგვეძლო...

იპოლიტეს ისეთი თვისებები ჰქონდა, არ შეიძლებოდა არ შეგვეყვარებოდა. აკი ბებია-საც უსახლვროდ უყვარდა. ახალგაზრდობაში ბებიანები ისეთი ლამაზი ყოფილა, მის დანახვაზე ყმაწვილებს ელეთ-მელეთი მოსდიოდათ თურმე. ბაბუას რომ გაჰყვა, ერთ თავყვანისმცემელს უთქვამს: ლუბას სიყვარულის ახსნას ვერ ვუბედავდი, რომ მცოდნოდა, ამისთანას გაჰყვებოდა, გავუმხვლდი გულისნადებსო. ბებიასა და ბაბუას სიყვარული მართლაც სანიშნოა ჩემთვის.

ქუჩაში რომ მივდიოდით, ყველას ესალმებოდა. ვკითხავდი: იცნობ-მეთქი, არა, მაგრამ ისინი ხომ მიცნობენო.

ჩემი მესაიღუმლე იყო, ყველაფერს ვუყვებოდი, ყველაფრის გაგება შეეძლო.

ავადმყოფობა ძალიან გაუჭირდა. შეტევისას არაფერი რომ არ მოსვლოდა, ჩვენთან სულ მორიგეობდა სასწრაფო. ისხდნენ და ნარდს ეთამაშებოდნენ აზარტული თამაშების უსახლვროდ მოყვარულ იპოლიტეს. ყველა თვალეში უყურებდა, ეფერებოდა. ფულს ვინ მოჰკიდებდა ხელს! ბოლო სასწრაფო რომ მოვიდა, მანც შევთავაზე საზღაური. ექთანმა აიღო. თვალის მოჰკრა ბაბუამ და ამოიხსრა: - ეტყობა, კვკვებო.

პანაშვიდზე ვინ აღარ მოვიდა. შემოვიდოდნენ, ჯერ გაეცინებოდათ, მერე ცრემლი მოადგებოდათ, შეხედავდნენ, ისევ გაეცინებოდათ... ასე ღიმილიანი ცრემლით გააცილეს...

ვაჟი ქალს აქ პირველად ეამბორა და აღუთქვა, რომ ამ ადგილას მას სახლს აუგებდა...

ამჟვენად არსებობენ გამორჩეული და საინტერესო ბედის სახლები. ერთ-ერთი მათგანია ვერიკო ანჯაფარიძისა და მიხეილ ჭიაურელის სახლი ფიქრის გორაზე... ამ სახლში დღეს ერთი მსახიობის თეატრია და კულტურული ცხოვრება გრძელდება... აქ ისევ ტრიალებს დიდი არტისტის - ვერიკოს სული, მისი მეუღლის - რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის ხალასი იუმორი და ხელოვნება, მათი სიძის - კოტე მანარაძის ფიქრი და ესთეტიკა... დღეს სოფიკო ჭიაურელი ამ სახლის დიასახლისი, ოჯახის წევრების და მეგობრების იმედი. დაღლილობისას არაერთხელ წამოსცდენია თურმე - ნეტავ, მარტო ქალი ვიყო და ამდენი საზრუნავი არ მქონდესო. მაშინ კოტე მანარაძე ცოცხალი იყო. ახლა, როცა ისიც ზეცის ბინადარია, ქალბატონი სოფიკო ჩუმად იღლება და აღარავის შესჩივის. ამ ისტორიულ სახლს რა არ ახსოვს. მაგრამ დღეს, მეონი, აღარავის ახსოვს, რომ ეს სახლი შეიძლება არ ყოფილიყო, რომ არა შეყვარებული მიხეილ ჭიაურელი. თბილისის ცენტრში, ვერის უბნის ულამაზეს ბორცვზე, ფიქრის გორაზე, შეყვარებული წყვილი განმარტოვდა. ვაჟი ქალს აქ პირველად ეამბორა და აღუთქვა, რომ ამ ადგილას მას სახლს აუგებდა. ეს იყო XX სუკუნის 20-იან წლებში, შეყვარებულები კი იყვნენ, ქართული სცენის ამომავალი ვარსკვლავი ვერიკო ანჯაფარიძე და თეატრის, კინოს ახალგაზრდა მსახიობი, მოქანდაკე, შემდგომში გამოჩენილი კინორეჟისორი, მიხეილ ჭიაურელი.

მიხეილ ჭიაურელმა დანაპირები აასრულა და საკუთარი ხელით ააგო სახლი, რომელიც ინტელიგენციის, კულტურის მოღვაწეების, სტუმრების მიღების ცენტრად გადაიქცა. ამ კედლებში კითხულობდნენ ლექსებს დიდი გალაკტიონი, ტიცინი ტაბიძე, ბორის პასტერნაკი, პაოლო იაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ნაზიმ ჰიქმეტი, გიორგი ლენინიძე, იოსებ გრიშაშვილი. აქ ყოფილან სტუმრად ამერიკული ლიტერატურის კლასიკოსი ჯონ სტეინბეკი, ელიოტ რუზველტი მეუღლით, მუსიკოსები სვიატოსლავ რინტერი, ჰენრიხ ნეიჰაუზი, მსტისლავ როსტროპოვიჩი, ელენე ობრაზცოვა, ზურაბ სოტკილავა, დიდი ბალერინა მათა პლისესკაია, პოეტი ევერეტი ვებუშენკო, რეჟისორი ვია დანელია, კინომსახიობები - ვიაჩესლავ ტიხონოვი, ნონა მორდიუკოვა, უმათურესად კი - თეატრის ცნობილი მოღვაწენი: ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვასილ კაჩალოვი, არკადი რაიკინი, ასპასია პაპატანასიუ, ვანესა რედგრევივი, ალისა ფრენდლინი, მიხეილ ულიანოვი, სერგეი იურსკი და მრავალი საინტერესო ადამიანი.

ქალბატონ სოფიკოს ვთხოვეთ, გაესხენებინა ძველი ამბები.



# სახლი, რომელიც სვსეს ფიქრით...

## ღარიბი ბიჭის ამბავი

მამა ღარიბი ოჯახიდან იყო. არ ჰქონდა საშუალება გიმნაზიაში მიეღო განათლება. თვითონვე ამბობდა, ქუჩაში დაყრილი ჟურნალ-გაზეთებიდან გავეცანი მსოფლიოში ცნობილ კომპოზიტორებსა და მომღერლებსო. კიდევ კარგი, ღმერთმა დაანათლა დიდი ნიჭი და ყველაფერის ათვისება შეძლო. თვითონ ისწავლა სატვა, ძერწვა, სიმღერა. კარგი ხმა ჰქონდა, ლირიკული ტენორი. მოგვიანებით ვანო სარაჯიშვილს დაუმეგობრდა. ერთ-ერთ კონცერტზე ვანოს დაუგვიანია. მამა გამოსულა მის ნაცვლად, თან ისე უმღერია, რომ მსმენელებს ვანო სარაჯიშვილი ჰგონებოდა.

1917 წელს ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად მიხეილ ჭიაურელი, დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოს ისტორიული ძეგლების შესასწავლად წავიდნენ, ყველა ფრესკა საკუთარი ხელით გადაიღო, ეს ნიმუშები მუზეუმებშია დაცული.

ძერწვაში ხომ იმდენად ნიჭიერი იყო, რომ იაკობ ნიკოლაძემ შეამჩნია და ვაიმარში გაგზავნა სასწავლებლად. მისი გამოქანდაკებული ლენინის ძეგლი დიდხანს იდგა "არამიანცის" საავადმყოფოს ეზოში. სხვათა შორის, მაინტერესებს, გადარჩა თუ არა ის ძეგლი.

მამა არაჩვეულებრივად უკრავდა ვიოლინოზე, ფორტეპიანოზე, გიტარაზე... მრავალმხრივი ნიჭის მიუხედავად, გული მსახიობობისაკენ მიუწევდა. ნათამაშებიც ჰქონდა 70-მდე როლი. რუსთაველის თეატრშიც კი უთამაშია. თეატრი უსაზღვროდ უყვარდა. ბევრმა არც იცის, რომ პირველი მუშათა თეატრი მამამ დააარსა, ხოლო მუსკომედის თეატრს 25 წელი ედგა სათავეში.

სამაგიეროდ, მას, როგორც კინორეჟისორს (და მის ფილმებს) ყველა იცნობს. მასთან ფილმში გადაღება ერთი სიამოვნება იყო. სულ სიცილითა და სიღალღით იღებდა ფილმებს...

"ოთარაანთ ქვრივს" წინანდალში იღებდა. დედას ტრაგიკული ეპიზოდი - გიორგის დასაფლავების სცენა უნდა ეთამაშა. იდგა ჩაფიქ-

რებული. ამ დროს მზე ღრუბლებს მოეფარა, გადაღება შეწყდა. მამამაც ანეკლოტების მოყოლა დაიწყო. დედა აღშფოთდა: - ახლა მაინც მაცალიე, აქ მაინც გაჩუმდითო...

მიხეილ ჭიაურელი სტალინის საყვარელი რეჟისორიაო და... ჯერ გადაასახლეს... მერე გადაღება აუკრძალეს. მულტიპლიკაციაში სცადა ბედი. იქაც თქვა სათქმელი... გადაიღო ფილმი "როგორ მარხავდნენ თავგები კატას"...

## სტალინის რჩეული

იმას კი ამბობდნენ, მიხეილ ჭიაურელი სტალინის საყვარელი რეჟისორი იყო, მაგრამ სტალინის საყვარელი პიროვნებაც იყო. ხშირად იწვევდა ბელადი სტუმრად. თამადად ნიშნავდა. მოსწონდა მისი მჭვერმეტყველება, სიმღერა. მამა ამბობდა, - მეონი, სტალინს ქართულად ლაპარაკი ენატრებოდა და მე ამიტომ მეძახდა. ხშირად ქართულად გამოემლაპარაკებოდაო.

ერთხელ დედამ ჰკითხა: - სტალინს რა ფერის თვალები აქვსო. მამა გაჩუმდა. დედამ კითხვა გაუმეორა. იცი, რა? იმ დასკვნამდე მივედი, სტალინს თვალის ფერი ეცვლებო, - თქვა მამამ. როცა გუნებაზუა, თაფლისფერი თვალი აქვს, თუ დაძაბულია, მომწვანო-რუხი ფერისა უხდებაო.

დედა მამაჩემის საწინააღმდეგო აზრისა იყო სტალინზე. ის ხომ პარტიაშიც ვერ შეიყვანეს ვერაფრით. სტალინის გამო ხშირად კამათობდნენ. მისი სიყვარულისთვის დასაჯეს მამა და 1954 წელს სვერდლოვსკში გადაასახლეს.

ახლა რომ ვფიქრობ, ჩემი მშობლები გადასახლებას იმიტომ გადაურჩნენ, რომ მამა პირადად იცნობდა სტალინს. ლავრენტი ბერიას არ უყვარდა დედა (ამისი მიზეზიც ჰქონდა). ის არ დაინდობდა ჩვენს ოჯახს, მაგრამ... სტალინს რომ მოეკითხა, - მიშა ჭიაურელი სად არისო?

ჩვენ ირგვლივ ყველა დაიჭირეს. უნდა გენახათ, როგორ ეშინოდათ ჩვენებს... მაშინ მამა "დიად განთიადს" იღებდა, დედა ჩემზე იყო ორსულად. ღამის სამ საათზე ბრახუნის ამტყდარა. კარი გაუღიათ. ზღურბლზე ცოცხალი ლენინი და სტალინი მდგარან. სინამდვილეში მასთან გრიდის საჩვენებლად მოვიდნენ - მიხეილ გელოვანი სტალინის თამაშობდა, მიუფჟე - ლენინს.

მასთან გრიდის საჩვენებლად მოვიდნენ - მიხეილ გელოვანი სტალინის თამაშობდა, მიუფჟე - ლენინს.

„ბერლინის დაცემის“ სცენარი პეტრე პავლენკოსთან ერთად დაწერა. წარადგინეს მოსკოვში, აქ საკავშირო კინემატოგრაფიის მინისტრს, ბოლშაკოვს გადასცეს. მამა თბილისში დაბრუნდა. ჩამოსული არ იყო, უკან გამოიძახეს - შენი სცენარი სტალინს არ მოეწონაო. გაფრინდა მოსკოვში. ისე ცივად დახვდნენ, მიხვდა, აღსასრული შორს აღარ იყო. დაურეკა ვერიკოს, დაემშვიდობა... სტალინის კაბინეტში შეიყვანეს. ბელადი ორ წუთში გამოსულა. საშინლად განრისხებული იყო. პირდაპირ მიუხლავა, - როგორ გაბედე, ჩემს შვილებს როგორ შეეხე სცენარშიო. მამას ძლივს უთქვამს: - რას ბრძანებთ, თქვენ ალბათ ცუდად წაიკითხეთო (ან ამისი თქმა როგორი საქმე იყო!). მე საგანგებოდ შევეხე თქვენს შვილებს, იმას, რომ მათ ომში მიიღეს მონაწილეობა მაშინ, როცა ინგლისის, ამერიკის სახელმწიფოს ხელმძღვანელთა შვილები გოლფს თამაშობდნენო. სტალინმა მოუსმინა, მოლბა თურმე. უთქვამს, მოდი, ვისადილოთო. სადილზე ისე დაძაბული ვიყავი, - ჰყვებოდა მამა, - ორმა ჭიქამ დამათროო.

## ბავშვობა

ჩვენს სახლში ბევრნი ვიკრიბებოდით - ჩემი უფროსი ძმა ოთარი, უმცროსი ძმა რამაზი, მე, ჩემი დეიდაშვილი ვია დანელია... გყავდა სომეხი მძღოლი "პრაფესორა", რომელსაც რუსი ცოლი შეართვევინა მამამ. ისინიც აქ ცხოვრობდნენ შვილებთან ერთად. ჩვენი ბიძაშვილი, ჯიუშკა ანჯაფარიძეც აქ იზრდებოდა, რადგან ობოლი იყო.

მამამ ეს ორსართულიანი სახლი სახელოვნოდ ააშენა. პირველ სართულზე, ერთ დიდ ოთახში, რომელსაც მინის ჭერი ჰქონდა, ძერწავდა და ხატავდა მამა. მეორე სართულზე გვექონდა დიდი ვერანდა. სტუმრები რომ მოდიოდნენ, დასაძინებლად გვისტუმრებდნენ. ჩვენ ავიღოდით ვერანდაზე, დავწვებოდით შუშებზე და ვიყურებოდით ოთახში.

ომის დროს თბილისში ევაკუირებული იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრი. ჩვენთან დადიოდნენ კაჩალოვი, ნემიროვიჩ-დანჩენკო. კითხულობდნენ ლექსებს, მონოლოგებს, დიალოგებს. ერთ-ერთი მხატვრული კითხვისას კაჩალოვმა აიხვდა ზე-

ვით და სიტყვა გაუწყდა, ჭერზე გამხლართული ბავშვები რომ დანახა. გაგიჟდა კაცი: ეს რა არის, რა ხდებაო...

## თბილისი დაპირძვი

მე 21 მაისს გაჩნდი, ელენეობას. ამიტომაც დედას უნდოდა, ჩემთვის ელენე დაერქმია. მამა ჩამოვიდა და თქვა, - რა ელენე, რის ელენე, დედაჩემის სახელი - სოფიო უნდა დავარქვათო. იყო ერთი ბჭობა და ბაასი. ამასობაში, 1 თვის გავხდი და სახელი ისევ არ მერქვა. ბოლოს მამამ დაწერა ქალაქებზე "ელენე" და "სოფიო", ჩაყარეს ქუდში და ჩამაყოფინეს ხელი. ამომყვა "სოფიო".

ბებია სოფიო სულ თავსაფრით დადიოდა. მოდიმარი თვალები ჰქონდა. 6-7 წლის ვიყავი. აიღებდა პატარა გარმონს, დაუკრავდა და მეუბნებოდა: - იცეკვე, აბა, იცეკვე, გენაცვალეო. მეც, სხვა რა მინდოდა, ვცეკვავდი. აი, ეს მახსოვს ჩემი სოფიო ბებოისა, სხვა არაფერი.

## ბუბა

დედაჩემის დედას ბუბას ვეძახდით. ის იყო ძალიან თბილი, ინტელიგენტი ქალი. უბედურება შეემთხვა - ბარდაყის ძვალი მოიტეხა და ლოვინად იყო ჩავარდნილი, ჩვენს სახლში იწვა. ტელეფონი გვერდით ედგა. პირველი ის იგებდა ყველაფერს. დედა ისე უვლიდა, სულ ვარდის სურნელი ასდიოდა. ბუბა გულუბრყვლო, მიაბიტი ქალი იყო. ცოტა ცუდად ხედავდა.

დედა ზრდიდა უფროსი ძმის შვილსაც, ჯიუშკას. რაკი ობოლი იყო, ბუბა ბებოის ყველაზე მეტად ის უყვარდა. როცა ვინმე მოვიდოდა მის სანახავად, ან ძია ლევანი ან დედა მერი, ფულს უღებდნენ ბაბოის ქვეშ. როგორც კი ჩემი ძმები მიხვდებოდნენ, ბებოის ფული აქვსო, დამიწვებდნენ მაიმუნობას, დარეკავდნენ შეცვლილი ხმით, ვითომ მილიციიდან. ბებია აიღებდა ყურმილს:

- მილიციიდან ვრეკავთ. ჯიუშკა იქ გადავიდა ქუჩაზე, სადაც არ უნდა გადასულიყო. თუ არ გადაინდობდი ვარდისა, ჩავსვამთ ციხეში. - თქვენი ჭირიძე, ოლონდ ვინმე გამოგვიგზავნეთ, ფულს გამოვკატან! "გამოუგზავნიდნენ" "პრაფესორას". ისიც აიღებდა ფულს და ჩემს ძმებს წაუღებდა.

ერთხელ, დილით, ბებოამ თავის ოთახში ნახა "პრაფესორა", ვერ იცნო, რომელი ხარო, ჰკითხა. - გიორგი სააკაძის ძმისშვილი ვარო, - იხუმ-

რა "პრაფესორამ". ვაიძე, აქ საიდან გაჩნდიო! - შეიცხადა ბებოამ.

## ოჯახური სადილები

მამას და დედას ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. მათი წერილები მაქვს შენახული, გაცოდებოთ, რომ ნახოთ. მამას უყვარდა ოჯახური სადილები. ჩვენ ტრადიციულად ერთად ვსადილობდით. სუფრაზე ერთი ბოთლი წითელი ღვინო იდგა ხოლმე. სადილის დასასრულს ჩემი ორივე ძმა გვარიანად იყო ნასვამი. დედა-მამა გაოცებული უყურებდა ერთმანეთს... თითო ჭიქამ დაათროო?

საქმე კი იცით, რა იყო? მამა ხომ კახეთიდან რამდენჯერმე აირჩიეს დეპუტატად. მოდიოდნენ კახელები, მოჰქონდათ მოსაკითხი: გოჭი, ღვინო. დედა კართან ხვდებოდა და უკან ატანდა ყველაფერს, რადგან ჩემს ორივე ძმას ღვინისკენ მიუწვევდა სული... თურმე ოთარი და რამაზი დაეწოდნენ გლეხებს, ეცნობოდნენ - ჩვენ ჭიაურელის შვილები ვართ, მოსაკითხი ჩვენ მოგვეცითო...

## ოსტატი

მამა ნამდვილი თბილისელი იყო. მამამისი, ედიშერ ჭიაურელი, მწვანოილს ყიდა, ამიტომ ფილმში "რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" აღწერილი ამბები მამამ ცხოვრებაშიც ნახა...

"ქეთო და კოტეს" რომ იღებდა ვახტანგ ტაბლიაშვილი, მამა სამხატვრო ხელმძღვანელი იყო. ამიტომ მისი ნანახი თბილისიც ჩანს მასობრივ სცენებში.

რობერტ სტურუა "ხანუკას" რომ დგამდა, მოვიდნენ ის, რამაზ ჩხიკვაძე, ვია ყანჩელი მამასთან. კარგად მახსოვს, სპექტაკლში რა სიმღერებიც არის გამოყენებული, ყველა მამამ უმღერა ვია ყანჩელს.

სხვათა შორის, ხელმარჯვე გახლდათ მიხეილ ჭიაურელი. მუშაობდა ხეზე, სანტექნიკოსიც იყო, მღერსავიც. თავისი დაზვაც კი ჰქონდა და ხელოსნის ინსტრუმენტები. დედა ეუბნებოდა, "დიდი ბარახოლში-კი" ხარო. ღარიბ ოჯახში რომ იზრდებოდა, იმაზეც ეტყობოდა - ლურსმანი რომ ენახა, შინ მოიტანდა.

P.S. დგას ფიქრის გორაზე ჭიაურელების სახლი. დგას და ცოცხლობს. აქვს წარსული, აწმყო, აუცილებლად ექნება მომავალიც. მიხეილ ჭიაურელისა და მისი დიდი ოჯახის სიმბოლოდ ქცეული შენობა კიდევ არაერთ კარგ მოსაგონარს აჩუქებს თბილისს.

## ლელა ჯიჯაშვილი



ბოლქარი  
ჩოხელი

აი, ახლა ამ მოთხრობის წერასაც ძია საშა მახელებს, იგი სულეთის ქვეყნიდან გამოძევებულ და თითქოს მაქეზებს:

- დაწერე! დაწერე!

მანამდე კი, სანამ ძია საშა გახდებოდა ჩემთვის, ბატონი საშა იყო, ყველასათვის მკაცრი და წესრიგის მოყვარე ბატონი საშა, რუსთაველის პროსპექტზე მდებარე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელმაც სულ ზეპირად იცოდა, რომელ ვაჟუნში რამდენი სტუდენტი ვიყავით და ვინ როდის, რამდენი წუთით დავაგვიანეთ ამა თუ იმ ლექციას. დაირეკებოდა თუ არა ლექციის დაწყების წინ, ბატონი საშა შემოვივლიდა ინსტიტუტს, ყველა აუდიტორიის კარს შეაღებდა, კარში გაჩერდებოდა და დაითვლიდა: ერთი, ორი, სამი... სად არის მეზიდე? სად არის მერვე? და ა.შ., იმის მიხედვით, რამდენი სტუდენტი ვაკლდით ლექციას. მე რაკი მთიდან ვიყავი ჩამოსული, მეცხვარეს მეძახდა. ხშირად მაგვიანდებოდა, განსაკუთრებით პირველ ლექციას და ბევრჯერ მიმისწრია იმ დროს, როცა ჩემი მისამართით ხმა-მალა ყვიროდა ბატონი საშა:

- სად არის მერვე? მე თქვენ გეკითხებით, სად არის მეცხვარე?

- მოვა პატივცემულო, ხომ იცით, შორს ცხოვრობს, - იმხანად ნათესავთან ვცხოვრობდი ლოტიონის გორაზე.

- აგე, აგე მოვიდა, - ეუბნებოდნენ ჩემი თანაკურსელები და მეც დანაშაულში დაჭერილი, თავანაწილი ვჩერდებოდი კართან.

- რატომ აგვიანებ, ჰა! - მერამდენე მიყვიროდა ბატონი საშა.

- ავტობუსს დაავიანდა, ბატონო საშა და მეც ვეღარ მოვედი დროზე.

- ავტობუსი არ ვიცი მე, ავტობუსი არ სწავლობს ამ ინსტიტუტში და რა ჩემი საქმეა, სად დაავიანდა, შენ რატომ აგვიანებ, შენ, შე მეცხვარე შენა, რას მოელოდი მთიდან, თუ ინსტიტუტში დროზე მოსვლა არ შეგიძლია, ყოფილიყავი ცხვარში.

- მაპატიეთ, პატივცემულო, მეტს აღარ დავაგვიანებ.

- დაავიანებ და დაემშვიდობე, მოგიხსნი სტიპენდიას! - მეშუქებოდა ბატონი საშა. მაშინ სტუდენტისათვის სტიპენდია, განსაკუთრებით რაიონებიდან ჩამოსულთათვის, ყოფნა-არყოფნის ტოლფასი იყო და ყველა ვცდილობდით, როგორმე არ დავეგვიანა, რომ ბატონ საშას თავისი მუქარა მართლა არ შეესრულებინა. მასხოვს, ერთხელ ერთ ქუთაისელს როგორ დაემუქრა:

- ქუთაისი, მოგიხსნი სტიპენდიას!

- არ მაქვს, პატივცემულო! - ნიშნისმოგებით და ღიმილით შეეპასუხა ქუთაისელი.

- დაგინიშნავ და მოგიხსნი! - თავისი პრინციპიდან არ გადაუხვია ბატონმა საშამ და რაც შეპირდა, მართლა შეასრულა.

ქუთაისელმა ბატონი საშასათვის სამაგიეროს გადახდა მონდობა და თავისი თანაკურსელი აყოლია. ბუტაფორიული საამქროდან თავისი სპექტაკლისათვის გამზადებული კუბო, სასახლეს რომ ეძახიან (ზოგისთვის მართლა რომ სასახლეა და ზოგისთვის მართლა კუბო) თავიანთ აუდიტორიაში შეიტანეს, შიგ ქუთაისელი სტუდენტი ჩაწვა, გულზე ხელები დაიკრიფა და ასე დაელოდნენ ლექციის დაწყებას. დაირეკა ხარი, იმათ აუდიტორიის კარი ჩვეულებებისამებრ შედო ბატონმა საშამ, დაითვალა სტუდენტები და იკითხა:

- სადაა, ქუთაისი?

- მოკვდა, პატივცემულო! - ტირილი მორთეს ქუთაისის თანაკურსელებმა.

ბატონი საშა შეცბა:

- როდის? როგორ? რა დამართა?!

- კითხულობდა შემოფოტებული.

- ლადიის წყლის დასაღვლად იყო შესვენებაზე გადასული, რუსთაველის პროსპექტი გადმობინდა და მანქანამ დაარტყა. იქვე დალია სული და ეს-ესა ჩავასვენეთ - ფარდის უკან სასახლეში ჩასვენებული ქუთაისი აჩვენეს სტუდენტებმა და ერთხანს ტირილი შეწყვიტეს; ყველას აინტერესებდა შემდეგი სცენა. ბატონი საშა თავზე დაადგა ქუთაისის და ეჭვით მიმოიხედა. მერე დაბალ ხმამაზე წამოიწყო:

- ქუთაისი!

ქუთაისი წევს, არ ინძრევა, არც სუნთქავს, გულზე ხელები აქვს დაკრეფილი.

- ქუთაისი, ადექი ზეზე! - ცოტა ხმას აუწია ბატონმა საშამ. ქუთაისმა უფრო შეიკრა სუნთქვა.

- ქუთაისი ადექი ზეზე! - ქუთაისი არ ინძრევა.

- ქუთაისი, ადექი თორემ ისევ დაგინიშნავ და ისევ მოგიხსნი სტიპენდიას.

ქუთაისი არ ჩუჩუნებს.

ბატონმა საშამ ჩამოხლდა, სასახლეში მწოლიარეს გულზე ყური დაადო, ჯერ თავზეწამოდგარ სტუდენტებს ახედა, მერე ქუთაისს ყურში უჩურჩულა:

- ადექი, შე ღვთის უბედურო, თორემ ემანდ მართლა არ გაიგუდო და მერე მე კი არა, ღმერთიც ვეღარ დაგინიშნავს სტიპენდიას.

„მკვდარი“ სასწრაფოდ წამოხტა ფეხზე.

ბატონი საშა მშვიდად გავიდა აუდიტორიიდან. იგი ჩია ტანის კაცი იყო, ასაკი არ ეტყობოდა, მე მგონი, თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან აქ იყო და მთელი ამ ხნის მანძილზე რუსთაველის პროსპექტზე მოსეირნე ხალხი ხშირად გაკვირვებულნი უყურებდნენ, სასტუმრო „თბილისის“ ქვეშ მდებარე სახინკლედან როგორ ფაცხაფუცხით მიჰყავდა ქუჩაზე გოლიათები: ხან ბატონი დოდო აბაშიძე, ხან ზურა ქაფიანიძე და რა ვიცი, სავსე იყო გოლიათებით ინსტიტუტი. ვინც არ იცოდა, ვინ იყო ბატონი საშა, გაკვირვებული იყო ამ სანახაობით, ვერაფერი გაეგოთ, რატომ ეშინოდათ

ამ გოლიათებს ასეთი ჩია ტანის კაცისა, მაგრამ ათეული წლების მანძილზე მორიდებოდა ასეთი სცენები და ბევრმა უკვე იცოდა, რაც ხდებოდა.

ერთხელ, ის-ის იყო გავცდი ოპერის შენობას, რომ ჩემი თანაკურსელი, კარგად მოსული, თეძოებიანი გოგო წამოძვწია, შემინებულმა ხელკავი გამოძლო და წამჩურჩულა: ჩქარა, ხარი უკვე დაირეკა, საშა მოგვდევს უკან.

ფეხს ავუჩქარეთ.

უკნიდან გვესმის ბატონი საშას კომენტარები:

- მეცხვარე, ისევ დაავიანებ, არა?

- არ მიიხედო, ვითომ ვერ ვხედავთ, - წამჩურჩულა გოგომ.

- ვითომ არ ესმით. ეს კიდე, ნახე, ნახე, როგორ მიაქანავებს! - გვეწევა ბატონი საშა. ჩემი თანაკურსელი აღშფოთებული სახით მიუბრუნდა და წინ გაუჩერდა.

- ჩანთას, გოგო, ჩანთას, - დაუყვავა ბატონმა საშამ და მერე სამივემ ერთად ავუჩქარეთ ნაბიჯს.

იმ დღეს გადავჩრჩი, რომ სტიპენდია არ მომიხსნა, მაგრამ ერთი კვირის მერე, ისევ ოპერის თეატრთან მომესმა ჩვენი ინსტიტუტიდან ხარის ხმა.

- მეცხვარე ისევ არ იშლი დაგვიანებას, არა?! - უკნიდან ბატონი საშას ხმა გავიგონე.

მივიხედე. მართლა ისაა. რა ვიცი, ამ ბოლო დროს თვითონ რატომ აგვიანებს. ეტყობა ავადა და მაინც დადის სამსახურში, თავს არ უტყდება. ელდანაცემი გავიქეცი ინსტიტუტისაკენ. ძირს არ ვიხედები, მემინია, არ დამეწიოს და აუდიტორიაში მინდა დავხედე შემოწმების დროს. ის-ის იყო, მივალწეი ინსტიტუტის შესასვლელს, რომ უცებ ასფალტი ჩაინგრა და მიწაში ჩავვარდი. ეტყობა, ამ ადგილას გამდინარე წყლები და რუსთაველის თეატრის შენობაც, რომელიც ჩვენს ინსტიტუტს ეკვრის, იმან დააზიანა. ცოტა ხნით გონება დავკარგე, მერე ბატონი საშას ხმა შემომესმა:

- მეცხვარე!

ავიხედე: ქვევრის პირივით პირმორღვეულ ასფალტს ზემოთ ბატონი საშა ჩამომჩერებია:

- რა გინდა მანდ?! მიწის ზემოთ არ გეყო გაცდენები და ახლა მიწაშიც მეშვლები, არა?! ამოდი ზემოთ! ამოდი ჩქარა!

მე წამოვიწეი, მაგრამ ღონე არ მყოფნის, ისე ვარ გაოგნებული.

- არ ამოდიხარ, ხომ? დაამცა, მოგიხსნი სტიპენდიას და იჯექი მანდ მეორედ მოსვლამდე, აღდგომას დაელოდე. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა სტიპენდიის მოხსნა! - ორმოში მესმოდა ბატონი საშას მუქარა, რომელიც უკვე ინსტიტუტში შევიდა.

ვიჯექი ბნელ ორმოში და ვფიქრობდი, ეს რა იყო?!

რა დამემართა?!

ან ეს ორმო საიდან გაჩნდა, მაინც დამაინც ახლა... ბედი არა მაქვს და ეგ არის... ახლა კი მართლა მომიხსნის სტიპენდიას და რა მეშვებება. სახლიდან ვინ რას გამომიგზავნის, თვითონაც უჭირთ. რას ავიტყებ ეს კინო და თეატრალური ინსტიტუტი, ვყოფილიყავი მართლა მეცხვარე. ყველაფერი იმის ბრალია, ვინც პირველად კინო მოიტანა გულდაწყარში. მაშინ შესამე კლასში ვიყავი, მთელ ხეობაში გავარდა ხმა, კინო მოიტანეს, ამ საღამოს უჩვენებნო, აუარება ხალხი შეგროვდა სკოლის შენობასთან, რომლის ერთ კედელზეც თეთრ ზეწრებს კი-

დებდნენ ეკრანის სანაცვლოდ. დაღმებას ელოდებოდნენ, სიბნელეში უფრო კარგად გამოჩნდებოდა. ერთმა ჩვენებურმა კაცმა შეგვაშინა, კინოს კი ნახავთ, მაგრამ თავიდან ფრთხილად თუ არ იყავით, კინოს ისეთი მჭახე ხმა აქვს, შეიძლება ყურის ბარანები დაგიხეთქოთ და დაყრუვდეთ.

ჩვენ შევშინდით.

- ნუ გეშინიათ, მე წინ დავდგები, ყურებში თითებს გავიკეთებ და თქვენც გაიკეთეთ, მერე მომენტს შევუჩრჩევ, როცა დაბალ ხმამ ილაპარაკებენ, ნელ-ნელა გამოვწევ თითებს და თქვენც ასე ქენით, ნელ-ნელა შეეჩვიეთ.

ყველამ თითები გავიკეთეთ ყურებში.

ჩამობნელდა.

დაიწყო კინო.

დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო, კინაღამ გადავირე ამ არაჩველებრივი სანახაობით. ვხედავ, ჩვეულებრივად დადიან იმ უჩვეულო მეორე სამყაროში ადამიანები, ლაპარაკობენ... მივიხედ-მოვიხედე, ყველას გამოღებული აქვს ყურებიდან თითები და გულიანად იცინიან. მეც მინდა მოვისმინო, რას ლაპარაკობენ კინოში, მაგრამ დაყრუებისა მემინია. მერე ჩემთვის გადავწყვიტე, მოდი, რაც იქნება, იქნება, ჯანდაბას, ერთი ყურით დავყრუვდები, ოღონდ მოვისმინო, რას ლაპარაკობენ, რაზე იცინის ეს ხალხი, მაგრამ კარგა ხანს იმაზე ვიჭოჭმანე, რომელი ყური გამეწიოდა, მარჯვენა თუ მარცხენა. ბებიჩემის ნათქვამი გამახსენდა: კაცს რასაც მარცხენა ყურში ეშვება ჩასმანებს, მიდი, ასე-ასე გააკეთე, ასე-ასე ქენით, მარჯვენაში კეთილი ანგელოზი ელაპარაკება და ჭკვავზე არიგებს. რაკი ასეა, მარცხენა ყურიდან გამოვწეი თითი და ეკრანიდან მახელი გავიგონე: გოდერძი! გოდერძი, შვილო! ვაი! მიცნო!

მე მეძახის! - გამიკვირდა მე, რა ვიცოდი, რომ ჯარისკაცის მამა თავის შვილს ეძახოდა. იმ დღიდან მოვიწამლე კინოთი და სხვა საქმეა, რა გადამხდა და როგორ ჩავაბარე ინსტიტუტში, როგორ დავწერე კინოს გარჩევის ნაცვლად ლექსი, რაკი რუსული არ ვიცოდი და გამოცდაზე რუსული ფილმი გვაჩვენეს. ვერაფერი ვერ გავიგე და შემრცხვა, ცარიელ ფურცლებს ხომ არ ჩავაბარებდი, ლექსი დავწერე: ირემზე, რომელიც ბარად ჩამოვიდა და დაჭრეს, არწივზე და მგონი კიდე შვლის ნუკრიც შევუჩრეე შიგ - ყველა ამათგანში ჩემს თავს ვგულისხმობდი.

სწორედ ამ ლექსმა გადაწყვიტა ჩემი ბედი.

გამიყვანეს მეორე გამოცდაზე. მოდიოდნენ ჩემს სანახავად: მთიდან ვილაც პატარა ვაჟა-ფშაველა ჩამოსულა და კინოფილმების გარჩევას გამოცდაზე ლექსად სწერსო. ერთი დარბაისელი კაცი შემოვიდა, გამომოკითხა, ვინა ვარ და საიდანა ვარ. მოუუყვევი, რატომ მიყვარს კინო. მერე იმ კაცმა მხარზე ხელი დამადო და მთხრა: შვილო, მივიღებ, ოღონდ ჩემი თხოვნა იქნება, თბილისმა არ გაგაფუჭოს!

წავიდა ის კაცი. მერედა გავიგე, რომ ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი იყო. აი ახლა, ინსტიტუტის წინ ფეხქვეშ ასფალტი ჩამენგრა, ვზივარ იმ ორმოში და თან იმ კაცის ხმა მესმის, თან საშას მუქარა, რომ მომიხსნის სტიპენდიას.

რა ვქნა, ჰა?

ამოვფოფხდი მალა და დარდინი შევედი ინსტიტუტში.

მერეც დარდინი დავდიოდი, ვი-

ცოდი, შემისრულებდა ბატონი საშა დანაპირებს.

დადგა სტიპენდიის გაცემის დღე. მე, რა თქმა უნდა, სალაროსთან არ მივსულვარ, მაგრამ ჩემმა თანაკურსელმა მითხრა, მოლარე გემანისო. გულში იმედი ჩამესახა. ორმოცი მანეთი მქონდა, რაკი ოთხები მეწერა საგამოცდო მატრიკულში. სუთოსნებს ორმოცდაათ მანეთს აძლევდნენ. ახმეტელის სახელობის სტიპენდიანტებს - სამოცს, მარჯვანშივილისას - ოთხმოცს, ხოლო ლენინურ სტიპენდიანტებს - ას მანეთს.

- ჩოხელო, რატომ არ იღებს სტიპენდიას, ჰა? - გამიღიმა მოლარემ.

- აღარა მაქვს, მომიხსნა ბატონმა საშამ.

- მოგიხსნა კი არა, მოგიმატა, აჰა

- მომაწოდა ფული მოლარემ.

დავითვალე და ასი მანეთია. სამოცს უკან ვუბრუნებ, შეგეშალათ-მეთქი.

- არაფერიც არ შემეშალა, ბატონმა საშამ ლენინური სტიპენდია დაგინიშნა - ისევ გამიღიმა მოლარემ.

წამოვედი გახარებული. რესტორან „თბილისში“ მაშინ კაცი ათი მანეთი ჯდებოდა.

მერე გავიგე, როცა ბატონმა საშამ ჩემზე ითხოვა ლენინური სტიპენდია დაუნიშნოთო, პროფესორ-მასწავლებლებს გაკვირვებით უკითხავთ, კი მაგრამ რა დამსახურებისთვისო?!

- ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ არ მინახავს, რომ ამოდენა თბილისში, ამდენი ხალხი რომ მიდი-მოდის, ვინმეს ფეხქვეშ მიწა ჩანგრეოდეს და მიწაში ჩავარდნილიყოს. მაინცდამაინც მაგ საწყალ მთის ბიჭს ჩაენგრა ფეხქვეშ მიწა და ვინ იცის, რა შიში ჰქამა. ეს ჩემი პირადი თხოვნაა თქვენადმი, რომ დაუნიშნოთ ლენინური სტიპენდია, - ასე უთხოვია მათთვის ბატონ საშას, ახლა უკვე ჩემს ძია საშას. კომკავშირის „ცეკლებისაგანაც“ ძია საშამ დამიხსნა. რაკი ლენინური სტიპენდიანტი ვიყავი, უნდოდათ დავაღებები მოეცათ და ინსტიტუტში მომდგენენ წასაყვანად.

- ვერ გამოვუშვებ! - მკაცრად განუცხადა ძია საშამ.

- რატომ?! - გაუკვირდათ იმათ.

- რეპეტიციები აქვს, როლს თამაშობს.

- რა როლს? - დაინტერესდნენ.

- მეცხვარის როლს! - არ დაიბნა ძია საშა.

- რა პიესაა?

- აღდგომა! - ეს სიტყვა რატომღაც დამარცვლით უთხრა ძია საშამ.

...ნაწყენი სახეებით წავიდნენ.

ძია საშაც წავიდა ამ ქვეყნიდან - და ახლა, როცა ძალიან მომენატრება, სულეთის ქვეყნისაკენ მივაპყრობ ხოლმე ცულაისყურს და მაშინ, თითქოს გულადმი, ისე ვხედავ ძია საშას: თან მიღიმის, თან თითს მიქნევს და რაღაცას მეძახის მკაცრი ტონით იქიდან. ალბათ მაიმედებს - ყოჩაღად იყავი, ჩემო მეცხვარე ბიჭო, არ ჩაუბუხლო წუთისოფელს!

- და მისი შემხედვარე, მეც იმწუთას ვმხნეველები, აღარ მემინია, რომ კიდე ჩამენგრევა ფეხქვეშ მიწა; ვიცი, თუ ასე მოხდა, ჩემი ძია საშა იმდენს შესძლებს, იქიდანაც მოახერხებს და მისი სულის ნათელი დამხმარება აქ, თანაც მჯერა მთელი სულით და გულით, მთელი ჩემი არსებით მჯერა იქნება, იქნება, აუცილებლად კიდე იქნება აღდგომა.

# ჩიხილი, ჩუხილუხა ჩიხილუხა ალსოვა

მართლმადიდებელი ქრისტიანული სამყარო წელს 1 მაისს აღნიშნავს აღდგომას უფლისას ჩვენისა ჩიხილუხისა.

# ქრისტე აღსდგა, დედა!

- ქრისტე აღსდგა, დედა!  
- რას არ გავიღებდი, ამ სა-  
აღდგომო მილოცვაზე ერთხე-  
ლაც რომ გამაგონა მისი დას-  
ტური -  
“ჭეშმარიტად, შვილო!”  
ვინც წლებად აღდგომას  
დღის გარეშე და ჩემსავით და-  
ობლებული ხვდება, დარწმუნე-  
ბული ვარ ის მწუხარებას ჩემ-  
სას გაიგებს და იქნებ ისიც მა-  
პატიოს, საკუთარ უბედურებაზე  
ხმამალა რომ მოვთქვამ!

\* \* \*  
დედაა!..  
სიკვდილმა ჩამოიარა, ობოლი  
დახვდა წინაო,  
სიკვდილო, მე წამიყვანე, სი-  
ცოცხლე მომეწყინაო...  
კეთილო მკითხველო!  
კიდევ ერთხელ ვიხდით ბო-  
დიშს, ამ სოლიდურ გახეთში  
ღობეს მომდგარი სოფელი ბი-  
ჭვით დედას რომ ვეძახი!  
არადა, ჩვევა მქონდა ასეთი -  
შინიდან გასულ დედას, ბავშვო-  
ბიდანვე, ამ ერთადერთი სიტ-  
ყვით ვუხმობდი!  
დღეს კი, სახლიდან გასვლის  
ათი თვის თავზე, პირველი აღ-  
დგომა თენდება, ასე გამწარე-  
ბით რომ ვეძახი და ის და-  
ლოცვილი აღარ მენიანება!  
როგორც ჩანს, ეს ოხერი სა-  
მარის ქვა ადამიანის ხმას აღარ  
ატარებს!  
ვიცი, მონატრებულ დედასთან  
შეხვედრას, აწი მხოლოდ სიკ-  
ვდილი თუ უშველის!

ამისთვისაც მზად ვარ, უფა-  
ლო!  
აღბათ, ამიტომაცაა, ამ ბო-  
ლო დროს სიკვდილთან დამო-  
კიდებულების ამსახველი სტრი-  
ქონები რომ ამეკვიპა და წამ-  
დაუწუმ ვიმეორებ:  
“სიკვდილო, მე წამიყვანე, სი-  
ცოცხლე მომეწყინაო!”...  
„მე რა მამოვალ,  
ვმხმობი მტკივნა!”  
მთელი კვირა - განსაკუთ-  
რებით კი ბოლო ორი დღე -  
დედა სიკვდილს ჩემს თვალწინ  
ებრძოდა! - ასე საცოდავი და  
ასე უმწეო, მე ჯერ თავი არ  
მასხოვს.  
ვხედავდი, სიკვდილი დედას  
როგორ მართმევდა და ვერაფერს  
ვშველოდი!  
ჩვენს უმწეობას რომ ხედავ-  
და, ავადმყოფი აქეთ გვაშვილებ-  
და -

„დედა, ახლა თქვენ დიდები  
ხართ და ჩემი სიკვდილის აღარ  
უნდა შეგეშინდეთო!”...  
ამასაც ჩვენს გასამხნეველად  
ამბობდა, თორემ, საწყალს სიკვდი-  
ლის თავდაც რომ შინებია - იმ  
ღამითვე გაირკვა!  
ნათლად გავიგონე, ძილში ვი-  
დაცას (აღბათ მიქელ-გაბრიელს)  
ტირილით რომ ეხვეწებოდა - „ვერ  
წამოვალ, ფეხები მტკივა“-ო!  
დილით, როცა ხუმრობა ვცა-  
დეთ და ეს ამბავი შევასხენეთ, გვი-  
თხრა: - „არა, დედა, ჩემი ხნის  
ქალისთვის რა დროს სიკვდილის  
შეშია - თუ ვინმეს იქ წასვლაზე  
გუძლიანდებოდი ეს მხოლოდ იმი-  
ტომ, თქვენთან ყოფნა რომ მინ-  
დაო!..“

„შვილო შუბლი  
გაქვს ცხელი!”  
იმ ლექსის ტექსტში, სადაც ეს  
ფრაზა წერია, ასეთი სტრიქონე-  
ბიც არის:  
ისე არ გავა ღამე,  
რომ არ დამხედოს დედამ,  
შვილო, შუბლი გაქვს ცხელი,  
რა გემართება, ნეტავ!..  
არადა, მთელი ცხოვრებაც მარ-  
თლაც ასეა - “დედას ვახსოვართ  
შვილები, დედა არ გვახსოვს შვი-  
ლებსა!..“

თვით გარდაცვალების შემდე-  
გაც კი, ჯერ ღამე არ გასულა -  
დედას არ დავეხედე!  
სიხმარში მოდის, შუბლს მინა-  
ხავს, თავს გაუფრთხილდო, მეტ-  
ყვის და, როგორც სიცოცხლეში,  
მამამ რომ არ უსაყვედუროს „ამ-  
დენხანს სად იყავიო” - მალე მი-  
დის!  
ერთხელ, მეც მოვიფიქრე და  
გკითხე - შენ თავად იქ როგორ  
ხარ-მეთქი!  
„ვერ ვარ კარგად, შვილო, ფე-  
ხები მტკივა“-ო!  
ამის თქმა და სიხმარში ჩემი  
ხმამალა აზლუქუნება, ერთი ყო-  
ფილა!  
თურმე, სულ ამას გავიძახდი  
- ღმერთო, მიშველე, დედა საფ-  
ლავეშიც ავად მყოლია-მეთქი!  
რა დაგიშავე, ღმერთო!  
ვიცი, ღმერთო, ცოდვილი რომ  
ვარ და, ვინანიებ!  
მშია და, ვითმენ!  
მცივა და, ვითმენ!  
მოთმინების ფილა ამეცსო და,  
მაინც ვითმენ!  
ერთადერთი, რაც დღეს ყველას  
სამყოფად გვაქვს - ჰაერია!  
ღმერთო, ამიტომ მწყდება შენ-

ზე გული - ისეთი რა დაგიშავე,  
დედა ჰაერის უკმარისობით რომ  
მომიკალი!..  
აპრილი  
მოვიდა დედა!  
შენ ეს თვე იმიტომ გიყვარ-  
და, შინ და გარეთ ყველაფერი  
ერთბაშად რომ იღვიძებდა!  
ქვაც რომ ქვაა, ამ დრომდე  
თუ კვირტი არ გამოიტანა, გამ-  
ხმარად ჩათვალეთო, - ბევრჯერ  
ვითქვამს. ახლა შუა აპრილია  
და ყველაფერმა კვირტი გამო-

ისხა!  
წელს ისე მოხდა, რიყეზე ქვე-  
ბიც ყვავიან!  
ეს რა გვიქენი, დედა, ან რო-  
გორ მოვივიდა - შენს გარდა  
ყველამ რომ გაიღვიძა!..  
“მოხვედი, შვილო!”  
დედა საფლავეში რომ ჩავას-  
ვენეთ, ირგვლივ ყველაფერი ჩა-  
მოღამდა და ვიფიქრე - სიხმა-  
რია-მეთქი!  
რადგან, აქამდე, დღის სიკვდი-  
ლი მხოლოდ სიხმარში განმე-  
ცადა!  
ამ ერთადერთ იმედს ჩაბლა-  
უჭებულნი, შინისკენ ბრმად გა-  
მოვიქეცი!  
დედის ოთახში შევარდნილს,  
რადაც მოლოდინი კიდევ მქონ-  
და, იქნებ ის ხმა გავიგონო, სახ-  
ლში მოსვლისას დედა რომ მეტ-  
ყოდა -  
„მოხვედი, შვილო!..“

რაკი ეს ვერ გავიგონე, აზ-  
ლუქუნებული გარეთ გამოვვარ-  
დი და, სიკვდილის რეალურო-  
ბაში ცხადად დავრწმუნდი -  
ათასამდე კაცი დღის გარდაც-  
ვალებისადმი მიძღვნილ პირველ  
სადღეგრძელოს სვამდა!..  
სასაფლაოზე  
ჩემი სოფლის სასაფლაო ხე-  
თა ტევრშია გაშენებული.  
კი, სასაფლაო ბალივით უნდა  
გააშენოს სოფელმა.  
როცა იქ მივდივარ, აუცილებ-  
ლად დედასა და მამას შუა ჩა-  
მოვჯდები.  
და მათთან უხმო საუბარში,  
სახლში წამოსვლა მაგიწყდება.  
ესეც, აღბათ, იმიტომ, იქაც ჩე-  
მი სახლია.  
მე ეს ადგილი სამუდამო გან-  
სასვენებლად ავირჩიე და სიკვ-  
დილის მერე, მუდმივი მაცხოვ-  
რებლის „სტატუსით” აუცილებ-  
ლად აქ დავესახლდები!..  
აქ ყოველთვის ისეთი გან-  
საკვიფრებელი სიმშვიდეა და  
საფლავეზე ამოტიფრული მშობ-  
ლების გადიდებული სურათებიც  
ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თი-  
თქოს ქვანე ანგელოზები მოფ-  
რენილან და ვიდაცის მოსვლას  
კიდევ ელოდებიანო...  
ნეტავ ყველაფერი ჩემი აქ  
მოსვლით დამთავრდებოდეს...  
\* \* \*

ქრისტე აღსდგა, ძვირფასო  
თანამემამულენო!  
ქრისტე აღსდგა, დედა!..  
თავაზ ვიზიზიავ

ძნელი წარმოსადგენია ეტებდა  
თუ არა გალაკტიონი ცხოვრება-  
ში იდეალურთან მიახლოებულ  
ქალს, მაგრამ პოეზიაში ქალური  
სრულყოფილების ფორმულად ბო-  
დლერის, გოტიეს, ვერლენის და  
ანრი რენიეს სტრიქონები მოიხ-  
მო: „მოულოდნელი მომხიბვლელო-  
ბა სამკაულისა - ვარდისფერის  
და შავის...“, „ცისფერი ქალწული  
ნაკადულის გრილ ნაპირზე...“,  
„ჩამავალ მხეთა მელანქოლია...“,  
„და ვარდები მეტად ტანმადალი...“  
„სადღაც შორს მუსიკა  
ქარავით კითხულობდა:  
ვინ არის ეს ქალი,  
ვინ არის ეს ქალი  
ასეთი ცისფერი...  
ჩახმანის წუთი, ბნელ  
სივრცეში აშლილი ბოლი,  
შავი ყვავილის  
სამუდამოდ მკვდარი ფოთოლი.

ცხადია, შეუძლებელია ამ სტრი-  
ქონების რეალური პერსონალებით  
დაკონკრეტება და არა მხოლოდ  
იმიტომ, რომ ლექსი 1916 წლი-  
თა დათარიღებული, ბიოგრაფი-  
ულ სიზუსტეებს თავიდანვე გა-  
მოვიციხავთ, როგორც ყველაზე  
მარტივ და მცდარ გზას, გალაკ-  
ტიონის სამყაროს ახსნის ამო  
მცდელობას... მის ყველა ლექსს,  
სადაც თუნდაც კონკრეტული აღ-  
რესატი დასახელებული, უფრო  
მეტეც, თავად პოეტიც რომ აღ-  
ნიშნავს: „მას მიუძღვნიო“, რეა-  
ლურ ფაქტებთან ვერ გავიგივებთ.  
ძალიან ძნელია და ალბათ, შეუძ-  
ლებელიც ამ რანგის პოეტის პი-  
რად ცხოვრებაში რეალურსა და  
წარმოსახულს შორის ზღვარის  
გავლება...  
\* \* \*

ისტორია ხშირად ლეგენდას  
უფრო სათუთად და მოკრძალე-  
ბით ინახავს, ვიდრე სინამდვილეს...  
ლიტერატურის ისტორიკოსები  
სხვადასხვა ვერსიებს გვთავაზობ-  
დნენ, თუ ვინ იყო ალექსანდრ პუშ-  
კინის, ანდრე ბელის, ჯორჯ ბაი-  
რონის, ალექსანდრ ბლოკის, პერ-  
სი ბისი შელის თუ მიხეილ ლერ-  
მონტოვის „მერი”... როგორ აიხ-  
სნება სახე-მეტაფორა „მერი”...  
„მას შემდეგ, რაც დაიწერა ჩე-  
მი ლექსი „მერი”, ხშირად მკით-  
ხავდნენ, თუ ვინ იყო ეს მერი...  
მაგრამ ყოველთვის უარს ვამბობ-  
დი პასუხზე... გალაკტიონი თე-  
ლის, რომ ამ უარის მოტივაცია  
არის ერთადერთი: „როგორც პო-  
ეტი, ესარგებლობდი უფლებით”,  
ანუ პოეტებს არ უნდა დაუსვან  
ასეთი შეკითხვები...  
“ო ვიხნი ღოგორეშედ ვ ხორე,  
ო ტომნთ დეკუშკას უ დვერი...  
ო დალქნედ მერი, სვეტლოდ მერი”  
(ა. ბლოკი)  
„სახელი „მერი” მე არ გამო-  
მიგონებია, თუმცა ლექსის ობიექ-  
ტად ეს სახელი პირველია სა-  
ქართველოში”... (გ. ტაბიძე).  
„და ერთადერთი ნახი დარაჯი  
გადიფრენს თვალწინ აჩრდი-  
ლი მერის...  
არამქვეყნიურ უზუნდარაში  
გაიყოლიებს სულის სიბერეს...”  
\* \* \*  
„მე არ ვიცნობდი გალაკტიონ  
ტაბიძეს” - ყოველთვის ხაზგას-  
მული დისტანციით იმეორებდა სა-  
ქართველოს ყველაზე დიდი ლი-  
რიკოსის მუხად აღიარებული მე-





მერი -  
მითი თუ  
სინამდვილე?

რი შარვაშიძე... (და არა შერვა-  
შიძე!) „სიშორის შენის სიახლო-  
ვე მარადის მძაფრი”... ეს გალაკ-  
ტიონის სიტყვებია... თავად მერი  
შარვაშიძე კი რუსეთის იმპერა-  
ტორის ყოფილი ფრეილინა, რუს  
არისტოკრატთა შორის გამორჩე-  
ულად პატივსაცემი „კნიაგინია”,  
შემდგომ კი ნიკოლოზ მეორის  
ფლიგელ-ადიუტანტის გიგუმა ერ-  
ისთავის მეუღლე (შენ ჯვარს  
იწერდი იმ ღამეს მერი...) 1921  
წელს, საქართველოს გასაბჭოების  
შემდეგ, ბათუმთან მიმავალ გემ-  
ზე აღის. კონსტანტინოპოლში მე-  
უღლე ეგებება და ისინი პარიზში  
მიემგზავრებიან.

„კნიაგინია მერი”, შემდგომ უკ-  
ვე ცნობილი კოკო შანელის მო-  
დელი და მანეკენი, პარიზის გა-  
რეუბნის მოხუცთა თავშესაფარ-  
ში გარდაიცვლება...  
მის სულზე მაინც სამშობლომ  
იზრუნა... ქალბატონ ბაბო დალია-  
ნის თხოვნით, საქართველოს პატ-  
რიარქმა სიონში გადაუხადა პა-  
ნაშვილი...  
\* \* \*

„წინათ უშენებდნენ ამ  
ქალებს ტადრებს,  
თავზე დამტკერის მერი  
შერვაშიძე,  
გიგო დიასამიძის შურნალიდან  
ამოხეული,  
ურია მხატვარმა სამ წელს  
რომ ხატა...”  
ეს სიტყვები კი უკვე ტიცინან  
ტაბიძეს ეკუთვნის... გიგო დიასა-  
მიძე ცნობილი ქუთაისელი გამოძ-  
ცემელია, ხოლო „ურია მხატვარდ”  
იგულისხმება საველი სორინი.  
სორინს ეს ნახატი საქართვე-  
ლოსთვის უჩუქებია, მაგრამ დღეს  
ის რატომღაც მონაკოს პრინცის  
პირად კოლექციაში ინახება.  
„ქუთაისში ამბობდნენ, რომ გა-  
ლაკტიონმა ლექსი „მერი” მე მიძ-  
ღვნა, მე კი მას არ ვიცნობდი”... -  
სიცოცხლის ბოლომდე იმეორებ-  
და მშვენიერი მერი შარვაშიძე, რო-  
მელსაც არასოდეს წაუკითხავს გა-  
ლაკტიონ ტაბიძის ლექსები, იმ უბ-  
რალო მიზეზის გამო, რომ ქართუ-  
ლი არ იცოდა... საუბრობდა და  
წერდა რუსულად და ფრანგულად.  
საქართველოში, ახლობლებთან გა-  
ზავნილ წერილებს კი ბოლოში  
ქართულად აწერდა თავის სახელს  
„მერი”...  
ნიკო სოფერიძე



სიღვთისმშობლის დღესასწაულის აღსანიშნავად, მამული გამოაქვეყნებს სპეციალურ გამოცემას, რომელიც მიძღვრულია მშობლის დღესასწაულს.

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

**პარტია დააკვირდით ამ ფოტოს!**

მამული გამოაქვეყნებს სპეციალურ გამოცემას, რომელიც მიძღვრულია მშობლის დღესასწაულს.


ქრისტიანული მემკვიდრეობის, სიღვთისმშობლის დღესასწაულის და სიღვთისმშობლის მონათესავეების მიხედვით.

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

**საქართველოს პრეზიდენტი**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.



**გაუთიქრათ**

ეხეა მამული!  
 ხელა ქეოიშ!  
 იხიოს ზუნშ  
 და აქვენ მამულს,  
 მაცა ხელქოიშ  
 მახიქელს ოსეზუნს  
 აქვნი ქელი ჯუნს  
 სიუ-იხიუ

მამული

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

თავისუფლება ხელს ისე მოსწყურდა,  
 ვით დაქურდილი ირმების გუნდს წყარო ასეარა!

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.


„მამულია საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.“

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.

**მამული**

საქართველოს პრეზიდენტის მიხედვით, მამული არის ქვეყნის სული.



რეზოლუციის  
**ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთი  
 უდიდესი რუსეთის იმპერიაში და  
 არა მთლიანი საქართველო**

„ზაკლიუჩონნი მექლე ევო იმპერატორსკიმ ველიჩესტვომ, ცარიონომ კარტალინსკიმ ირაკლიემ ტეიმურაზოვიჩემ ო პრიზნანი იმ ვერხონი ვლასტი, პოკროვიტელსტეო ევო იმპერატორსკოვო ველიჩესტვა ვსეროსისისკო I რაზმენიეი პოლნომოჩნი ევო ვ გეორგიევსკოი კრეპოსტი 24 გო ოულია 1783 გოდა ნა გრუზინსკომ იაზიკე ს პერევილომ სოსისისკიმ.“

რუსული ტექსტი ქართულიდან გადმოთარგმნილიაო, ნათქვამია, თუმცადა გაუწავავი თვალი (სხვათაგანც დადგენილია) პირიქითობას მიხვდება. ტექსტი რუსულიდანაა გადმოღებული ცუდი, ალბათ გაუგებარი ქართულით. თავად დოკუმენტი მარჯვედაა შედგენილი და ალბათ სრულად შეესაბამება რუსეთის იმდროინდელ პოლიტიკურ-იურიდიულ ამბიციებს.

ქართლ-კახეთის სამეფო უდიდოდა ერთმორწმუნე, ქრისტიანული ქვეყნის მფარველობაში და გეორგიევსკის ციხესიმაგრეში გაფორმდა და სარატიფიკაციოდ გამწადა და შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც თავიანთი ხელმოწერებით დაამტკიცეს შემდეგმა პირებმა: პავლე „პოტემკინმა“ (ასე წერია), იოანე ბაგრატიონმა და გარსევან ჭავჭავაძემ (მეფე ერეკლე მოგვიანებით დაჰკრავს ბეჭედს და დააფიქსირებს საკუთარ ხელხარტავს).

ბევრ წყალობას, სოციალურს, პოლიტიკურს, მეფურს, გამოელოდნენ მწყალობელთაგან წყალობილები; აღიარებდნენ უმაღლესობას რუსეთისას, იმპერატორისას, სამაგიეროდ, სანუფქოდ ინარჩუნებდნენ მეფობას საკუთარი ტერიტორია-სამფლობელოებისას და მემკვიდრეობითობას - სამეფო დინასტიის შენარჩუნებას. მრავალჯერ დასჭირდა შესწინება ამ პირობებისა ერთ მხარეს მეორისათვის უშედეგოდ. დაყრუვდნენ თუ თავი დაიყრუეს, ცნობილი არ უნდა იყოს.

სამეფო ინსიგნიების შენარჩუნებას ივდრებოდა მეფე გეორგიც მამის მიცვალების შემდეგ. უკვანტო საკვანტოდ ჰქონდა გამხდარი, თავად სხვისი დასამტკიცებელი მემკვიდრის აღიარებას ითხოვდა.

პავლე I კი აღარავის დამტკიცებას აღარ აპირებდა, „ყოვლად უგანათლებულესი, უთვითმპრობელესი დიდი ხელმწიფე იმპერატორი ეკატერინა ალექსივნა“-ს მსგავსად, არადა, იწურებოდა წელიწადი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან. გეორგი ითხოვდა სამართალს სხვისაგან, თუმცადა თავს მეფედ იწოდებდა და გეორგი XII-ის ნაცვლად, „გეორგი მეათსამეტეს“ წერდა. მისი სამეფო-საბრძანებლის არეალი კი მტკვრის ორთავ სანაპიროს - მეტეხისა თაბორის-ჩრდილებს - არ სცილდებოდა.

ხოჯა-ხან საჭურისის ლაშქრის შემოსევამდე რუსეთიდან არც ავი ისმოდა, არც კარგი, „იმპერატორი ეკატერინა ალექსივნას“ სამინაო, საგარეო და ქალური პრობლემები აწუხებდა და არ ეცალა. სანამ ხან-ხოჯა საჭურისმა თბილისი არ მისარგალ-მიახრესილა, საქართველოსკენ არ გამოუხედავს. მხოლოდ 1799-სა შემოვიდა ქა-

ლაქში პოლკი რუსის ჯარისა დროებით და სამუდამოდ. ამას საბჭოთა საქართველოს მეისტორიებმა „ტრაქტატის განახლება“ უწოდეს. ტრაქტატი ავადსახსენებელი კი ღრმად განისვენებდა საიმპერატორო საარქივებში. სულთმობრძე მეფეს აღარც ბრძოლის, აღარც მტერ-მოყვრის (მოყვარე მტერზე მტრად გაუხდა) და აღარც რუსის სალდათის მოყვანილი დედალ-მამალი ინდაურის ჭამის თავი ჰქონდა; აღარც ის ახსოვდა, გეორგი მეცამეტე იყო თუ გეორგი მეორემეტე. დაწერა თუ დააწერინეს, გაგზავნა თუ გაგზავნიეს „აზრი-მოხსენებანი იმპერატორ პავლე პირველისადმი“, საიდანაც აზრის გამოტანა კი შეიძლებოდა, შინაარსს თუ გაიგებდი. რაცა მაქვსო, წერდა, წაიღე, რაცა მყავს, წაიყვანე, წამიღე მეც და თუ რაიმე გემეტება, მიბოძეო. პავლე იმპერატორით არც არაფრის წაღებას აპირებდა, არც არაფრის გაცემას; მანიფესტი - ქართლ-კახეთის (პერსპექტივაში დანარჩენი საქართველოს სამეფო-სამთავროების) გაუქმებისა და რუსეთის ტერიტორიებთან მიერთებისა - დაწერილიც იყო და გამოქვეყნებულიც; პავლე I ელოდა საქართველოს ბოლო, ალბათ არა უკანასკნელი, მეფის გარდაცვალებას. ამ ლოდინში მიახრჩევს თვითონვე და გეორგი მეფის ტანჯულმა სულმაც მოისვენა. დაიდგი გვირგვინი, აქეხებდნენ მემკვიდრეს, რუსეთის გენერალ-მაიორს - დავითს. არც შეიძლო და არც შეიძლებოდა; ყველაფერთან ერთად, გართულებული ჰქონდა ურთიერთობა ბებიაწაცვალთან, ბიძებთან, ცოლთან - სომეხი ვაჭრის ასულთან. უნდა გაგვაცლოთო, მიმართავდა „დეკასტერიას“: მაგ დედაკაცთან თანაცხოვრება აღარ შემიძლია, ყოველ საღამოს ამოღესილ ლობიოში საწამლავს მიყრისო...

და იდგა 1983 წელი, რუსეთის იმპერიის აღმასვლისა და ამოტრიალების ხანა. საქართველომ, უფრო ზუსტად, საქართველოს ცეკას პირველმა ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა (გულში როდის ამოიჭრა, იმის გაგებაც შეიძლება), დიდი სახალხო დღესასწაულით აღენიშნა გაუქმებული ტრაქტატის 200 წელი, რომლის არც ერთი პუნქტი, არც ერთი პარაგრაფი და არტიკული რეალიზებული არ ყოფილა, სანამ გაუქმდებოდა, მანამდეც კი. მაინც უნდა გვეხეიმა. სწორიც იყო, თუმცადა ორიგინალობით, პირველადმოქმენის პრიორიტეტით ვერ დაიკვეხნიდა. მართალია, უფრო მარტივად, უფრო მოკრძალებულად, მაგრამ პრაქტიკულად მიუღებენ (უმაღლესი არასოდეს ვყოვილვართ) ჩვენი ძველები ამ საკითხს გასული საუკუნის დასაწყისში. მოეუხმინოთ იმდროინდელ მოღვაწეს, ლიტერა-

ტორსა და მამულიშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს:

„1901 წ. თავად-აზნაურობამ სულისა და გულის აღტყინებით გამოაცხადა, რომ ენკენისთვის 15-ს გადახდილი იქნება ასის წლისთავის იუბილე რუსეთთან საქართველოს შეერთებისა. ამ ჩვენი გათასხირებისა, დამონებისა, მიწასთან გასწორების დღესასწაულს ბევრნი, როგორც მოგახსენეთ, აღტყინებით შეხვდნენ. ხომ მოგეხსენებათ, მონა შეცაცქანებით გამოელის ზვიადი ბატონისაგან სუფრაზე დარჩენილს ნახორხლებს, რომელსაც ბატონის ლაქია ხანდახან ძალღებსაც არ აკადრებდა. საქართველო ძაბითა და თავზე ნაცრის დაყრით უნდა შეხვედრიყო თავისი უბედურების ასის წლისთავსა“.

იქ ასი იყო, აქ - ორასი. ერთი ფუძვლო ტრაქტატს ეხებოდა, მეორე ფაიხად ფაქტს, თუმცადა ჩანაფიქრი, მნიშვნელობის, ავის თუ კარგის, მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ერთი და იგივე გამოვა. ისე კი ყოველნაირ მოვლენას ორი სახე, ორი რისხვა და ორი გამართლება აქვს!

ჩვენი ამბავი 1983 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა. მოხდენილს მოხსენი, შესაბამისად, დიდი სამზადისი უძღოდა წინ. საქმეს, რომელიც ამინდის რყევაზე და ანდროპოვის ჯანმრთელობის ამპლიტუდაზე იყო დამოკიდებული, ხან კაი, ხან ნამეტნავად ცუდი პირი უჩანდა.

ლონისძიების თარიღი, დრო (ადგილი გარკვეული იყო) ამინდით და იმ ადამიანის ჯანმრთელობასავით ცვალებადობდა. თუ იმას თავისი უჭირდა, ამას, ჩვენსას, სხვა დარდი კლავდა: ნერვიულობდა სულისჩამდგმელი იმ ყველაისა, საშვიდნომებრო მზადება იყო დაწყებული და ტრაქტატი კრემლში ვიღას გაახსენდებოდა. ამდენი თავის მტვრევაც არ იყო, ალბათ, საჭირო. ტრაქტატს ხელი მოეწერა 24 ივლისს ასი წლის წინათ. წელს წელზე, თვეს თვეზე ხომ არ დასვამდით, შუა ზაფხულიც, ივლისი, აგვისტო, დაკარგულად შეიძლებოდა ჩათვლილიყო. სექტემბერში ისევ გაუარესდა იმ კაცის ჯანმრთელობა, 24-მა ოქტომბერმაც ჩაიარა...

შეიძლებოდა გადადებაც, 1984-ში გადახაბაკება. სწორედ 1784 წლის 24 იანვარს მოაწერა და დაამტკიცა მეფე ერეკლე, რასაკვირველია, ცალმხრივად, წინა საუკუნის დოკუმენტი. იანვარი არ გამოდგებოდა - ლენინის დამარხვის დღეს დაემთხვეოდა ტაშფანდური. თებერვალი ცივია, მარტი - ჭინჭყლი, არაპროგნოზირებადი. 24 აპრილი? დავით კლდისშვილის გარდაცვალებისა და ჩემი დაბადების დღე? არა? მაინც მაინი? მაშინ 24 და არა 26... იქამ-

დე სული გაძვრებოდა იმ კაცს. მაინც რა მოურჩენელი გრიპი ჭირდა დღენაკლულს. გრიპის ნარჩენი მოვლენებით, უცხადებდნენ მოსახლეობას. არ რცხვენიათო, წამოიძახა ერთმა ჩემიანმა, ამხელა იმპერიის მეთაურს სურდო ვეღარ მოაშორეს! თქვან - რა ჭირს. მოურჩენელი მტერს და ავს. ჩამოდგება მაშინ ოცდამეერთე საუკუნე, წელი პირველი - 2001. „ჩვენი გათასხირებისა, დამონებისა, მიწასთან გასწორების“ 200 წელი და ვიზეიმოთ! მთლად მასეც არაა საქმე, ბატონო სოფრომ. ასეცაა და ისეცაა, კი, მედალს ორი მხარე აქვს-მეთქი, მეგონა, შევთანხმდით, თანაც იქამდე სულ 18 წელი იყო დარჩენილი. კი არ მეჭორობა, მაგრამ შემოვბოლო, ნათქვამია. 2001 წლამდე ბარე ორი ტურა იკვილებდა. კიდევაც რომ შეენარჩუნებინა პოსტი იმჟამინდელი სტატუსით (ეს გამორიცხული იყო) ტრაქტატს ტერაქტი შეცვლიდა და „საქართველოს გათასხირების, დამონების, თავზე ლაფის დასხმის“ ახალი, ულტრათანამედროვე საშუალებები გამოიძებნებოდა. ადვილი გასათვლელი იყო. მეორე: ბედშავი იური ანდროპოვი მაისამდე თუ გააღწევდა, რაც ფრიად საეჭვო გახლდა, უტრაქტატოდ, რუსი ხალხის სადიდებელი აქციის მოუშველვლად, საქართველოს იმჟამინდელ ხელისუფლებას და პირადად მას ადვილზე არ დატოვებდა, უკეთეს შემთხვევაში, ან დატოვებდა, ან - არა. აქ მან ზუსტად გაარტყა. იური ანდროპოვი გარდაიცვალა მომდევნო წლის თებერვალში. იმ დროს კი, სექტემბერ-ოქტომბერში, ოქტომბრის ბოლო დღეებში მომჯობინებულიც ჩანდა და ალბათ კიდევ იყო მიზეზური იმედი მისი თბილისში გამომგზავრებისა.

29 ოქტომბერს საქართველოს მოსკოვის საქალაქო პარტიული კომიტეტის პირველი მდივანი, პოლიტიკურს წვერი ამხანაგი გრიშინი გამოეცხადა დელეგაციასთან ერთად. ჩამოვიდა ტრაპიდან დამხედურთა სიმრავლით არშექვიფებული, თავახანად ყურადღებადაფანტული, ტანმორჩილი, პატარა თავით, ზომიერი ბაკებით, საგულდაგულოდ აკრეჭილი თმით, - სამთავრობო სანატორიუმის რიგითი თერაპევტი. ჩამოჰყვნენ: კოსმონავტი პოპოვი, საკავშირო კომკავშირის რომელიღაც, არა პირველი შვიდეულის, მდივანი ორჯონიკიძე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი პირველი მოადგილე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თენგიზ მენთემაშვილი, წასული თუ იყო, რომ არ ახსოვდათ. შემდეგ: ფესსაცმელების ფაბრიკის „პარიზის კომუნის“ ბრიგადირი ლ. ლ. ოდინოკოვა, სტავროპოლის სატრიკოტაჟო გაერთიანების „მაშუკის“ მოწინავე მკერავი ნ. მ., თუ მესხიე-

რება არ მალატობს, ჯერეშტოვა. გამართული სიტყვა თქვა ნოდარ დუმბაძემ საღამოს. თავის გაუნძრევლად გაატრიალა ამოთერთებული თვალები შევარდნაძემ გრიშინისაკენ - აინტერესებდა, როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა საპატიო სტუმარზე გამართული სიტყვა. სამწუხაროდ, ვიქტორ ვასილინი არ ისმენდა. ზოგიერთს რომ ტანში ზრინავდა, იმას სხვა საფიქრალი აწუხებდა, როგორც ჩანდა.

...ამ კაცმა შარშან, 6 ნოემბერს, კრემლში, ყრილობათა სასახლეში საშვიდნომებრო მოხსენება გააკეთა. პატარა ამბავი არ ვგონოს ვინმეს... იქნებ ეს ისაა... ესაა და არა სხვა... ერთ-ერთი ესაა, რა მარჩიელობა უნდა... რა აქვს ამდენი სალაპარაკო მენტემაშვილს, არ მესმის, აღარც მეზობელი იცის, აღარც უფროსი, ტაშს კი მაგრად უკრავს, ერთი სიტყვა ყურში არ შეუშვია, სხვებიც მოწყვიტა...

დუმბაძე პრეზიდიუმს უახლოვდებოდა, მის ნაცვლად სასიტყველთან სხვა ორატორი იკავებდა ადგილს... იმ ქალს, რა გვარია, ფესსაცმელების ფაბრიკის მუშას ცრემლები მოადგა თვალებზე. თამბაქოს ფაბრიკის ბრიგადირი, მეგონი, ასე გამოაცხადეს, საიდანააო?.. სტავროპოლი... ვასილინი გლახად იხედება უკან, შესვენება ხომ არ გამოვაცხადებინო, ამ მენტემაშვილს ფეხებზე, სხვა ორგანოზე რომ არაფერი ვთქვათ, ჰკიდა ეს ყველაფერი...

სახეიძო საღამოზევე წაიკითხეს, ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოსა და პრეზიდიუმის სახელით მოსკოვიდან მოსული შევარდნაძის მოხარებით, თითქო ცალ-ცალკე გამოგზავნილი, მოსალმება ხალხთა მეგობრობაზე, სოციალისტური წყობის უპირატესობაზე, საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერეზე, სხვაზე და ტრაქტატზედაც იყო გაკვრით ნათქვამი. შევარდნაძემ განაცხადა (დაიბეჭდა კიდევ რუსულ-ქართულად): მისალმების ტექსტი გამოქვეყნებულია, დილითვე გაეცნო მას ჩვენი ქალაქის მოსახლეობა და ამიტომო:

„...ახლა არ მომყავს მისალმების სრული ტექსტი, არა იმიტომ, რომ იგი გუშინ საღამოს გადაიცა რადიოთი და ტელევიზიით და დღეს კი გამოქვეყნდა პრესაში, არამედ უმთავრესად იმის გამო, რომ თითოეული სიტყვა უკვე შეპირად იცის მთელმა საქართველომ!...“

ტაშის გრიალში ჩაათავა მოხსენებაც, ერთი შეხედვით, სტანდარტული, თუმც გონივრული, ტყუილ-მართლით შეზავებული, მტრისა და მოყვრის დამაკმაყოფილებელი. უზარმაზარი რომ არ გამოსვლოდა, შეფასებაც ადეკვატური იქნებოდა, არ ჩაემინებოდა მაინც ზოგიერთს, მთქნარებაზე აღარ ვილაპარაკებ.

31 ოქტომბერი. წიფობისთვე. რესპუბლიკის მოედანი. სამთავრობო ტრიბუნის საპირდაპიროდ ლითონკონსტრუქციებით აჩონჩხილი დასაჯდომები საუსე იყო შავთეთრ-წითლად აფერადებული მყურებლით, მოდიოდნენ დემონსტრაციის, პარადის მონაწილენი მუსიკით, ყვავილებით, ტრანსპარანტედასასრული მე-20 ვერგზე >>>>

ინტელიგენტი

სარკის ნამსხვრეები მარად იქნება ჩემი

ანდერსენის ერთ-ერთ ზღაპარში ტყედა სარკე და ვისაც მისი ნამსხვრეები გულში მოხვდება, ბოროტებად იქცევა. აქ კი სრულიად საპირისპიროა: ვისაც თათიას სარკის ნამსხვრეები მოხვდება და გულში ჩარჩება, არ შეიძლება სიკეთეს არ ემსახუროს... და ამ ნამსხვრეების რაღაც ნაწილი არ გადასცეს სხვას...

მე მიმუშავია თათიასთან... მაშინ "კაკასიური ცარცის წრე" უკვე დადგმული მქონდა, მაგრამ მიღებული აღზრდისგან გამოძინარე, გრანდიოზულ რეჟისორად სულაც არ ვთვლიდი თავს. ახალგაზრდაც ვიყავი. თათია ჩემზე უფროსად მეჩვენებოდა. ამავე დროს ის არაჩვეულებრივად ლამაზი ქალი იყო.


ჩემი რეპეტიციების მერე, სადაც მე ყოველთვის ძალიან ვიღლები, მას მაინც სიამოვნებით ვუთმობდი ერთ ან ორ საათს. ეს ჩემი საქველმოქმედო სურვილი არ იყო, არამედ სანამ მუშაობას გადავწყვეტიდი, მის წაკითხულს მოვუსმინე და ძალიან მომეწონა. ამიტომაც დაეთანხმე ამ ექსპერიმენტს.

მე საერთოდ, ეჭვის თვალთვალს მხატვრულ კითხვაში რეჟისურას, რეჟისორის ჩარევას მხატვრული კითხვის ოსტატის საქმეში. ძირითადად კომპოზიციას ვემუშაობ. ჩემებურად ვამცირებ, რაღაცნაირად ვაბრუნებ ტექსტებს, რომ აზრი უფრო გამოიკვეთოს. შეიძლება მსახიობი ასე მკვეთრად ვერ გრძნობდეს აზრის მიმართულებას. ჩემთვის მისი ემოცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტელექტი.

საერთოდ, რეჟისორები თავის ძველ საქმეებზე ისე ექცევიან, როგორც მამალი კატა კნუტებს: უპატრონოდ ყრიან... მეც ძირითადად ასე ვუპყრობი ჩემს ძველ საქმეებზე... ერთხელ, დადგმიდან შეიდი წლის მერე, სადაც სამეგრელოში ვნახე ჩემი და თათიას საერთო ნამუშევარი და სრულიად შეცვლილი იყო. იმიტომ, რომ ვერ ვუპატრონე...

ცხოვრებაშიც ასეა ყველაფერი მოწყობილი: თუ რამეს არ მოუარე, ის იშლება... სახლი, რომელშიც შენ არ ცხოვრობ, ინგრევა... თანაც შეიძლება განგებ არავინ ანგრევდეს, მაგრამ ის თავისით ინგრევა... როგორც ჩვენი სამყარო, რომელსაც შინაგანი სიცივისგან ნელ-ნელი სიკვდილი ელის.

რა უნდა ვთქვა... ძალიან მწყინს, რომ უკანასკნელ გზაზე ვერ დავეშვიდობე თათიას... და მჯერა, რომ იმ სარკის ნამსხვრეები მუდამ იქნება ჩემში... ასევე ყველა მათში, ვინც ნახა ჩვენი ერთობლივი პატარა საღამო, ერთი კვირის მანძილზე რომ გადიოდა რუსთაველის თეატრის სცენაზე...  
ესაუბრა ნინო სოფრია.



ბატონ რობერტ სტურუას ერთი მსახიობი ქალის ბედზე სასაუბროდ შევხვდი, ვის შესახებაც წიგნს ვამზადებ. ის ქალბატონი, მესამე თაობის ინტელიგენტი, მეჩვენებოდა, რომ ცხოვრებაში დაუცველი იყო, დახლოებით ისე, როგორც ჩვენს დროებაში ცნება „ინტელიგენტი“...

ვინაიდან, ჩვენშიც და სხვაგანაც, ინტელიგენციის ფენა სხვადასხვა კლასისგან ყალიბდება, თავის განსაკუთრებულ მყარ საყრდენს და ადვილს ვერასდროს პოულობს, არც ინტელიგენციის ერთობა ხდება შესაძლებელი, განსხვავებით მორჩილებით აღვსილი ან ანგაჟირებული ბრბოს ერთობისაგან...

ოდესღაც რობერტ სტურუა ამ თითქმის სასოწარკვეთილებამდე მისულ ქალბატონს გვერდით დაუდგა და არა მხოლოდ, როგორც რეჟისორი მსახიობს, არამედ როგორც პიროვნება პიროვნებას, ინტელიგენტი ინტელიგენტს... „მე მან გადამარჩინა, - იტყვის მოგვიანებით მსახიობი თათია ხაინდრავა, რომელსაც აღარაფერი გააჩნდა თავისი სიფრიფანა სხეულის და სულის გარდა, როცა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გადაშლილ ფრესკასავით იდგა, რობერტ სტურუას დადგმულ მონოსპექტაკლში „მხეო თიბათვისა“...

ბატონი რობერტ სტურუას დაბალი ტონალობის საუბარს ყოველთვის ქვეტექსტი და გამუდმებული ფიქრი ახლავს. ლექსიკა უადრესად სადაა. არასოდეს ხმა-რობს აღმატებულ ეპითეტებს და მეტაფორებს. იშვიათად შემხვედრია სიტყვების ნამდვილ მნიშვნელობაზე და არა გარეგნულ ეფექტებზე ორიენტირებული ასეთი მოსაუბრე. საგნის შესახებ ყოველთვის ყველაზე არსებითს ამბობს. არაარსებითი არ არის მისი ამბოხა...

აქ მინდა მცირე გამოცდილება გაუზიარო იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ჩემს მერე შეხვდებიან რობერტ სტურუას: მისი საუბრის გამოიფრისას, არასოდეს გამოიყენონ საკუთარი ლექსიკა, ზუსტად დაიცვან სტურუასეული სინტაქსი, პუნქტუაცია, პაუზა (მრავალწერტილი)... გაითვალისწინონ, რომ მის მიერ წარმოთქმული სიტყვების გადაადგილებითაც იცვლება აზრი...

ჩვენი საუბრის დაწყების შემდეგ არცერთი შეკითხვა არ დამისვამს. მან თავადვე განავითარა თემა და ლოგიკური დასასრულისკენ წაიყვანა. თქვენს წინაშეა რობერტ სტურუას მონოლოგი მსახიობ ქალზე. სტილი მთლიანად დაცულია. \* \* \*

“თუ არ ვცდები, ნიცეში ამბობდა: თუ ღმერთი არსებობს, ეს ხომ უფრო გაუგებრობაა, რადგან უსამართლობაა ირგვლივ... ბუნებრივია, რომ შენც დაფიქრდეს სამართლიანობაზე... თათიას შემთხვევაში, ბუნებამ

მას ყველაფერი მისცა: სილამაზე, შესანიშნავი ხმა, ნიჭი და ერთში დაჩაგრვა - არ მისცა ბედი. ეს უკვე ისეთი რამ არის, რომ ვერაფერს შესძლებს. თავისთავად ბედთან შებრძოლება ძალიან რთულია. მე პირადად არასოდეს ვებრძვი მას... ვექცევი, როგორც „კაპრიზ“ ქალს... სადაც წამიყვანს, წამიყვანოს... მსახიობებისთვის ძალიან მძიმეა, სხვანაირად რთულია ეს ყველაფერი... ისინი ხშირად ფარ-ხმალს ყრიან, ანუ უბრალოდ ეგუებიან ბედს და უფერულად ამთავრებენ თავის ცხოვრებას...

თათია მძაფრად გრძნობდა ამ უსამართლობას. ცდილობდა დინების საწინააღმდეგოდ წასულიყო... აქაც დიდი დარტყმები მიიღო... და მაინც ის არაჩვეულებრივად ოპტიმისტი გახლდათ. ჩემთვის სასწაული იყო ის ფაქტი, როცა მოსკოვში გადატანილი მძიმე ოპერაციის შემდეგ ისევ დაუბრუნდა აქტიურ ცხოვრებას და კიდევ შესძლო რაღაც გაეკეთებინა სცენაზე...

იცით, როცა სტანისლავსკი ძალიან ავად იყო და საკუთარ სახლში ატარებდა ლექციებს, კურსდამთავრებულებს უკითხავთ: რა განაპირობებსო მსახიობის მომავალ კარიერასო. სტანისლავსკიმ მოულოდნელად თავისი ცხოვრების და აზროვნების სტილისგან განსხვავებული, უჩვეულო პასუხი გასცა: „ორმოცდათხუთმეტი პროცენტი ბედისწერა და ხუთი პროცენტი ნიჭი“...

ამ შემთხვევაშიც, ამიტომაც მგონია, ძალიან დიდი სახელი ვერ მოიხვეჭა თათიამ... მით უმეტეს, იმ თაობამ, რომელიც ახლა მოდის, შესაძლოა, არაფერი იცოდეს მის შესახებ, მაგრამ ის, ვინც იცნობდა, სამუდამოდ დაიმახსოვრებს მას.

მე-19 გვერდიდან ტრაქტატი რატიფიცირებული არ ყოფილა

ბით, პეპლის საჭერ მოწყობილობაზე დამატებული პოლიტიკური ფერითა სიფრიფანა სურათებით, სპორტსმენები - სამოსელშენაკლულებული გოგონები, ვაჟები, მამები ბავშვებით, დედები ხელჩანთებით, ჩოხოსნები, ცხენოსნები...

სამთავრობო ტრიბუნაზე ბეტონის კარდიოგრამის ძირში იდგნენ: გრიშინი, შვეკარდანი, ინაური, გილაშვილი, მენთეშაშვილი, ორჯონიკიძე, სხვები, სხვა სტუმრები. მათ თვალთახედვას მორკალული ლითონკონსტრუქციები, ხალხი, ხალხს ზემოთ აღმართული ვეებერთელა პორტრეტები - ფერწერული ტილოები ავიწროებდნენ. ნიავი ტილოებს ბერავდა, პარტიისა და მთავრობის წევრების სიფათებს ბრიცავდა, გაურანდავი, თხელი ფიცრის ჩარჩოებს ღუნავდა. იდგნენ და ირხეოდნენ უზარმაზარი სურათები: ანდროპოვი, ალიევი, კუნაევი, უსტინოვი, უსტინოვიჩი (უსტინოვი სხვაა, უსტინოვიჩი - სხვა. ერთმანეთში არ აგვერიოს, შევრცხვებით), გორბაჩოვი, რომანოვი, გრომიკო, შერბიცი, გრიშინი - მოსკოვის გარეუბნის სამთავრობო-სარეაბილიტაციო სახლის რიგითი ექიმი, ბაკებით, ალოკილი ლოყებით, პატარა თავით, - ვოროტნიკოვი, კაპიტონოვი... რიგითი გრიშინი ორგან იყო: უკან ნამდვილი, წინ და ცისკენ - ხელთუქმნილი. თავისივე პორტრეტი უფარავდა ხედს, ქალაქს ვერ ხედავდა და გრძნობდა...

სასტუმრო „ივერიის“ სალათისფერი, ოცდარსართულიანი შენობა მთლიანად ძირიდან, ერთობაანამდე ტრაქტატის გადიდებულ (მასშტაბი 1:1001) სიგელშია გახვეული, ბეტონის კარდიოგრამიდან ხელმარცხნივ საცხოვრებელი სახლის ფასადი, მთელი სამი სართული ლენინის მკვრივი ელექტრონული თავითა დაფარული. მობინადრენი, სასტუმროს მდგომარეობა მოხემ-მოხემშიმე მოედანს ფარულად, უნებართვოდ გახვრეტილი სიგელ-ელექტროწრებიდან დასცქერიან...

გერე იყო. ტრაქტატს ზეიმობდნენ, ტრაქტატის მონაწილე მხარეები (წევრები) არ ჩანდნენ, ისინი არ ახსოვდათ, არც გახსენებიათ. „იმპერატორია ეკატერინამ“, სხვათა რჩევითა და მეცადინეობით, ტრაქტატი დაასამარა, სიგელი არ დააფიქსიმილა ლამაზი ხელწერით, მაგრამ „იდელოფა“, „იმიპერატორა“ და საქართველოს საკითხები არ დავიწყებია. „დიდი ხელმწიფე იმპერატორია ეკატერინა ალექსიანა, მყრობელი ყოვლისა რუსეთისა, მოსკოვისა, კიევისა, ვლადიმირისა, ნოვოროდისა, მეფა (არა მეფე - რ.ჭ.) ყაზანისა, მეფა...“ ამისა, იმისა, დიდისა, მცირისა, „ყოვ-

ლისა ჩრდილოეთისა“ და „...ხელმწიფა ივერიის ქუეყნისა, ქართლისა და საქართველოსა“...

ჩაბარებული ჰქონდა და არ ჩაიბარა იმავე ხელმოწერული ტრაქტატი. „საქართველო“, არა მარტო ქართლ-კახეთი - ერეკლე მეფის ნობათი. სხვა რომ არაფერი, იგი, ეკატერინა ნათლია იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ნათლიედგა გარსევან ჭავჭავაძისა, იმ ტრაქტატისა და სხვა ხელშეკრულებათა შემდგენელ-გამგებლისა. თუ მოყვრობას ვეშურებოდით, ამაზე, ნათელიმ-რონობაზე, დიდ მოყვრობას სად ვეძებდით! მერე? მერე ისა, რომ „იმიპერატორია ეკატერინას“ ერთი სურათიც გამოგველო სადმე. მეფე ერეკლემ, ცალმხრივად იყო თუ სხვა მხრივად, ხომ დამტკიცა ის ავადსახსენებელი ტრაქტატი. გამოგვეტანა იმ ბელუკუმართი მეფის პორტრეტი და თუ ცალკე არა, ამოგველო ალიევის, კუნაევის, კაპიტონოვის და სხვათა შეიდეტრია-ნი პორტრეტების ჩრდილში. რას ვერჩოდით ივანე მუხრანბატონს, დავით ორბელიანს, ქაიხოსრო ჩოლოყოვს (დაწყებული ყოფილა გვარების გარუსულება და დაგვეწყო ბარემ იქიდან!). იმ ნახევრად სულელ პოტიომკინს დაგნატავდი საბას არაკისადავად თოფით, დაუხუტავდი დაფსილ თვალს, საღს სამიხნედ გავულებდი, ვითომ სანადიროდ იყო გამოსული. შევარდნადის მოხსენებისდარად არც მწვადს დაეწვავდი, არც შამფურს.

ტრაქტატის მიხედვით, ქართლ-კახეთი შედიოდა რუსეთის მფარველობაში და არა მთლიანი საქართველო, როგორც მოხსენებაშია. ტრაქტატი რატიფიცირებული არ იყო და იგი არ შედგა, არ შესრულდა. არაფერი იცოდნენ იმის შესახებ: ლენინმა, ლიგაჩოვმა, რაშიდოვმა, კუნაემა, ალიემა, კაპიტონოვმა, უსტინოვმა, უსტინოვიჩმა და სხვებმა.

დროის ბრალია ყოველიფერი და არა ადამიანების, თუმცადა ადამიანები ცხოვრობენ დროში და ჰქმნიან დროს.

ქალაქ თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, 1983 წლის 31 ოქტომბერს, წიფობისთვეს გათამაშდა დიდი წარმოდგენა-ფარსი, დაიწყო და დამთავრდა იქვე სიზმარივით. ისროლეს, ხმა არკი გამოვიდა. მეორე დღესვე ჩამოგორგლეს სიგელი სასტუმრო „ივერიიდან“, გამოახინეს სალათისფერი შენობა, დაშალეს ლითონკონსტრუქციები, განვეტეს ნაფხრეწები, ჩააქრეს ლენინის უზარმაზარი თავი. ჩვენ რა დავგრჩა, შემოდგომის პირველი, ყვითელი ფოთლების მეტი? ანდროპოვის ყბი. ყურები, რასაკვირველია, ანდროპოვის ყურები!



ალრა

# ბრძოლა ღმერთისგან ბოძებული სისოცხლის ნასართმევად!



ახლა

ფლორიდას შტატის სასამართლომ ნება დართო უიმედო ავადმყოფის ქმარს, ხელოვნურად მაცოცხლებელი აპარატურიდან გამორთვის მეუღლე. მართალია, სასამართლომ მსგავსი გადაწყვეტილება უკვე მესამედ მიიღო, მაგრამ ავადმყოფი ქალის მშობლები კვლავ აპირებენ ზედა ინსტანციის სასამართლოში გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

ფლორიდას შტატის სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, უიმედო ავადმყოფის მეუღლეს ნება დართო, განაჩინოს გამოქვეყნებიდან სამი კვირის შემდეგ გამორთვის აპარატურა, რომლითაც მისი მეუღლის სასიცოცხლო ფუნქციებს ხელოვნურად ინარჩუნებენ.

ტერი შიავო, რომლის სიცოცხლის გამოც რამდენიმე წელია, სასამართლო დავა მიმდინარეობს, უკვე 15 წელია, უგონოდაა. ასეთ მდგომარეობაში ის გულის შეტყევის შემდეგ ჩავარდა და ექიმებს არავითარი იმედი არ აქვთ, რომ ის, არა თუ როდესმე გამოჯანმრთელდება, არამედ საერთოდ გონს მოვა.

სასამართლო დავა მისი ევტანაციის შესახებ უკვე შვიდი წელია, მიმდინარეობს. ამ დროის მანძილზე საქმეში სხვადასხვა დანიტერესებული მხარეების ადვოკატების გარდა, მონაწილეობა მიიღეს როგორც შტატის, ასევე ფედერალური დონის სასამართლო ინსტანციებმა, ფლორიდას შტატის საკანონმდებლო ორგანომ და შტატის გუბერნატორმა ჯეკ ბუშმა. საქმეში ორჯერ ჩაერია შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლო. შესაბამისად, იყო ბევრი წინააღმდეგობაც, მათ შორის, სასამართლომ რამდენჯერმე მიიღო გადაწყვეტილება ავადმყოფის ტანჯვის შეწყვეტის შესახებ.

პირველად ტერი შიავოს ევთანაციის შესახებ გადაწყვეტილება 2001 წელს იქნა მიღებული, თუმცა, ამას მალევე მოჰყვა სასამართლოს სხვა გადაწყვეტილება და ხელოვნური კვების შეწყვეტა ვერ მოასწრეს. 2003 წლის ოქტომბერში კიდევ ერთხელ იყო მცდელობა, გამოერთოთ აპარატურა, მაგრამ კვლავ წარუმატებლად. მაშინ ამას ფლორიდას შტატის გუბერნატორი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის უმცროსი ძმა ჯეკ ბუში შეეწინააღმდეგა. ფაქტობრივი მკვლელობა რომ არ დაეშვა, მან ხელი მოაწერა სპეციალურ საკანონმდებლო აქტს, რომლითაც ეს იკრძალებოდა.

სასამართლოს უკანასკნელი გადაწყვეტილების თანახმად კი, პაციენტისთვის საკვებისა და

წყლის ხელოვნურად მიწოდება 18 მარტის 1 საათზე უნდა შეწყდეს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ამ თარიღამდე დარჩენილი დრო საკმარისია, როგორც ახლობლების განწირულთან გამომშვიდობების ცერემონიის ჩასატარებლად, ასევე სხვადასხვა იურიდიულ საკითხთა მოსაგვარებლად, რომლებიც, სავარაუდოდ, აუცილებლად წამოიჭრება.

საქმე ის გახლავთ, რომ ტერი შიავოს ახლობლების აზრი იმის შესახებ, უნდა გამოასაღონ თუ არა ის სიცოცხლეს, წინააღმდეგობრივია. ევტანაციის ინიციატორი მისი მეუღლე მაიკლ შიავო გახლავთ. მან შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო, რომ მის ცოლს არ ენდომებოდა მსგავსი მდგომარეობაში სიცოცხლის გაგრძელება და ამით ევტანაციაზე თანხმობასაც მიაღწია.

„მონარული ვარ, რომ სასამართლომ ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა, წერტილი დაუსვას ამ წამებას, - განაცხადა მაიკლ შიავომ სასამართლო პროცესის შემდეგ, - თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად ტერის სურვილია, აღარ აწვალონ მისი სხეული, იმედი მაქვს, რომ საკასაციო სასამართლოც იმავე აზრის იქნება.“

სამაგიეროდ, მაცოცხლებელი აპარატურის გამორთვის წინააღმდეგნი არიან ავადმყოფი ქალის მშობლები - რობერტ და მერი შინდლერები. ისინი დარწმუნებული არიან, რომ მათ შვილს შენარჩუნებული აქვს ცნობიერება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია სწორად შერჩეული მკურნალობის კურსის ჩატარების შედეგად.

სწორედ მათი პოზიციის გათვალისწინებით გადაწია სასამართლომ აპარატურის გამორთვის ვადა სამი კვირით. აქედან გამომდინარე, ნათესავებს საშუალება აქვთ, გაასაჩივრონ გადაწყვეტილება ზედა ინსტანციებში. შინდლერების ადვოკატმა ჯეიმს ჯიბსმა განაცხადა, რომ ასეც მოიქცევა. მისივე თქმით, რობერტ და მერი შინდლერები ყველაფერზე მზად არიან, ოღონდ კი სიცოცხლე შეუნარჩუნონ თავიანთ ქალიშვილს. არ არის გამორიცხული, რომ მათ კიდევ ერთხელ მიმართონ უზენეს სასამართლოს.



სამტლანა სორკინა

მსახიობი ლევან უჩანეიშვილი თბილისში დაიბადა, აქვე დაასრულა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. 1976 წლიდან იღებენ კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“. კინოში ყველაზე ცნობილი მისი ნამუშევრებია „ოლიგარქი“, „შავი პრინცი“. ამჟამად ფილმში „კაცი-ამფიბია“ გადაღებითაა დაკავებული.

მოსკოვში ხმები აგორდა - ოლიმპიური ჩემპიონი ქალი შვილს ელოდებაო. მამა ნეტავ ვინ არისო, მარჩიელობდა ხალხი. თითქოს სპორტსმენს არ ჰყავდა საყვარელი მამაკაცი. ყოველ შემთხვევაში, ყოვლისმცოდნე თავშეყრებზე ამის შესახებ არაფერი სმენოდათ.

თვით სვეტლანა ხორკინა კატეგორიულად უარყოფდა ხმებს თავის ფენშიძობაზე. აი, საქმრო კი მართლაც ჰყავს. ერთ უქმე დღეს სვეტამ რჩეულის „დათვალიერებაც“ კი მოაწყო „კომსოლოლკასთვის“.

ოლიმპიურ ჩემპიონსა და მის მეგობარს ჟურნალისტი მოსკოვის ერთ-ერთ პრესტიჟულ ოტელში შეხვდა, სადაც სვეტლანას სატრფოს ნომერი უკავია - იმიტომ, რომ უცხოელი გახლავთ მცხუნვარე გარეგნობის მქონე კინომსახიობი ლევან უჩანეიშვილი. ის დიდი ხანია მონაცვლეობით ცხოვრობს ლოს-ანჯელესსა და მოსკოვში (საგულისხმოა, რომ ასევე ქართველი შალვა მუსელიანი, აღმოჩნდა მეორე სახელმძღვანელო ტანმოვარჯიშის, ოღონდ მხატვრულის, აღინა კაბაევას გულის მპყრობელი).

ახლახან ლევანი ნამდვილზე ნამდვილი ვარსკვლავი გახდა. აბა, როგორ! ფილმში „შავი პრინცი“ მან ხომ ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის როლი ითამაშა და ამის წყალობით ანასტასია ვოლოჩკოვას გაშიშვლებული ტუპუები დაუკოცნა. ასეთი რამ კი ყველას როდი მოუწევს...

ინტერვიუზე სვეტა და ლევანი ჩუსტებით მოვიდნენ და შიგადაშიგ მთქანარებას ძლივს იკავებდნენ. „გვაპატიეთ, მთელი ღამე არ გვიძინებია. ვსურვილობდით“, - დაუფარავად აღიარეს ახალგაზრდებმა.

მას ნასტიას მკერდი მოეწონა.

- ლევან, სად გაიცანით სვეტა?

შვილებზე ფიქრი მთავარია, მათგან მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე გადის. სახელგანთქმულმა ტანმოვარჯიშე ქალმა და მისმა ბულისსწორმა ეს ექსკლუზიური ინტერვიუში გაანდის „კომსოლოლსაჰი პრავდას“.

ლევანი: - ეს ორიოდ წლის წინათ მოხდა; თუ გახსოვთ, მაშინ მან თეატრში ამერიკელი მსახიობი ქალი ბრენდა ვენუსი ითამაშა. ამ სპექტაკლის სანახავად მივედი და შემდეგ ჩვენ პატარა სუფრა გავაწვევთ...

სვეტლანა: - მაგონდება, როგორ ვთხოვე ლევანს - გულახდილად მითხარი, რა არ მოგე-

ვასაგები-მეთქი. მაგალითად, „ვესტ ქოსთ“ - არის ასეთი ნიშანი, ჩვენთან, ლოს-ანჯელესში რომ იცინან. პოდა, შეგვრიბე ყველა ჩემი ამერიკელი მეგობარი ტელევიზორთან და ველი. ეგებ გახსოვთ, მანიშნა კიდევაც. ჰომი როცა უღერდა და ცრემლები სდიოდა, სვეტამ მე გამისხენა.

ვფიქრობ, მეოთხე ოლიმპიად-



# მრთს მკმრღს უკოცნის, უყვარს მემორე

წონათ ჩემს თამაშში-მეთქი. ყველანი ხომ მხოლოდ მაქებდნენ, მე კი პროფესიული აზრის მოსმენა მსურდა. ლევანმაც პატიოსნად მიმითითა ყველა ხარვეზზე.

ლევანი: - მას აქვთ ვართ ერთად, თუმცა სხვადასხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, ეს - რუსეთში, მე - კი ხან ლოს-ანჯელესში, ხან საქართველოში, ხან მოსკოვში.

- ერთმანეთს ხშირად ნახულობთ?

ლევანი: - ეს ძალიან პირადულია. ვნახულობთ და მორჩა.

- მაგრამ დაბადების დღე ხომ მიულოცეთ?

- რა თქმა უნდა, თუმცა, წლებს სიურპრიზი არ მომიწევია. უბრალოდ ჩამოვედი და, როგორც ხედავთ, მასთან ვატარებ დროს.

შარშან კი მოვუშხადე სვეტას სიურპრიზი. სწორედ მაშინ მიმთავრდებოდა „შავი პრინცის“ გადაღებები...

- გვსმენია იმ ფილმზე... იქ ისე ერთიკულად უკოცნიდით მკერდს ვოლოჩკოვას...

- ერთიკა ვოლოჩკოვასა და მე კი არა, პუშკინსა და გონჩაროვას ჰქონდათ და ნატალიას თამაშობდა ნასტიას!

- ლამაზი მკერდი აქვს ვოლოჩკოვას?

- მშვენიერი. ამის თქმა ნამდვილად შემიძლია

ოლიმპიადაზე

სვეტამ ნიშანი მომცა.

- ლევან, გამოტყდით, რისთვის გიყვართ სვეტა?

- ისეთი საქციელის ჩადენა შეუძლია!.. წარმოგიდგენიათ, ათენის ოლიმპიადის დროს ლოს-ანჯელესიდან დაუბრუნებდა ვთხოვე: კვარცხლბეკზე დგომის დროს რაიმე ისეთი ნიშანი მომეცა, რომელიც მხოლოდ ჩვენ ორისთვის იქნება



ანასტასია ვოლოჩკოვა

შიც შეძლებს მონაწილეობას. სვეტლანა: - არ ვიცი, მე ხომ უკვე გამოვეშვიდობე ყველას... აი, თუ გუნდში ლიდერი არ იქნება, ეგებ მარტო ამ საბაბით...

- კი მაგრამ, სვეტა, რას უშვრებით პირად ცხოვრებას. ნუთუ არ გინდათ ბავშვების გაჩენა?

სვეტლანა: - დელობა რომელ ქალს არ უნდა, მაგრამ დიდი სპორტი მსხვერპლს მოითხოვს.

ლევანი: - გაიგეთ, რომ ის არაჩვეულებრივი ვოლოჩკოვაა. მეოთხედი სიცოცხლე სპორტს შესწირა: ბევრი სპორტსმენი ხომ სპორტის გულისთვის გათხოვებასაც გადასდებს ხოლმე და შვილების გაჩენასაც.

- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ქორწილი?

სვეტლანა: - მოდით, ნუ ვიჩქარებთ ქორწილს. იცით, არ მიყვარს, როცა ხმამაღლა ყველას გასაგონად ლაპარაკობენ თავიანთ სიყვარულზე. საქციელი გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე გრძნობების გამხელა. ჩვენ ერთად ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, ოღონდ მომავალზე ჯერ არ ვფიქრობთ...



ოლიმპიური ჩემპიონი, ლევან უჩანეიშვილის სატრფო

მართალი ანაზი

# თავნანაშ და ჭიანჭველა?

ჩემი ორივე ბაბუა 1941-45 წლებში ომში იბრძოდა. ერთი საერთოდ არ მინახავს (ომს შეეწირა), მეორე სამიოდე წლის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან... მაგრამ ორივე ერთნაირად მიყვარს და მენატრება.

ჩემი მონატრებული ბაბუების სიყვარული კი ერთ-ერთის ფრონტულ მეგობარ თედოზე გადამოქონდა... მასაც უხაროდა ჩემი გამოჩენა. თავად სულ ბიჭები ჰყავდა შეილიშვილები. შეილიშვილებიც ერთიმეორის მიყოლებით ბიჭები იბადებოდნენ და როცა ხუთი ვაჟის შემდეგ ცისფერთვალა თათია გაჩნდა, ქული ჭერში აავლო სიხარულით და მთელი კვირა აქეფა მეზობლები. თან დაიქანა: ეგ ბაღლი ამ ოჯახის მარგალიტია... არც გავათხოვებ, აბა, ვინმემ მოტაცება დაუპიროსო!..

ყველაფერი მოსწონდა თათიას და რბალიც აბაზღუნა: - შენიშვნა ვერ მიმიცია, თედო ბაბუსთან მიჩვივის და ისიც განა ტყუელ-მართალს კითხულობსო!..

ოდესღაც შესანიშნავად მღეროდა თედო. ბაბუაჩემისგან ვიცი, რომ სიმღერას ომის დროს სიკვდილისგანაც უხსნია თურმე. მოგვიანებით თავდაცვით მიამბო იმ შემთხვევის შესახებ: „1944 წლის მიწურული იყო. ყოველდღე გამარჯვების მოლოდინში ვიღვიძებდით. უკვე გერმანიის საზღვარზე ვიყავით და ყოველი გოჯი მიწისთვის გაფთვრებით ვიბრძოდით ჩვენც და ისინიც. ღამით დაზვერვაში წავედი ორ თანამებრძოლთან ერთად. წინ მიმავალი ნაღმზე აფეთქდა. ნამსხვრევები უკან მიმავალთაც მოგვწვდა - მძიმედ დავიჭერით. მე ფეხებს ველარ ვგრძობდი და მივხვდი, გონს ვკარგავდი, რაც მოახლოებული სიკვდილის ნიშნად მივიჩნიე. თანაც გარდაცვლილი ბებიჩემიც „მოვიდა“ და... „მოვიდა“ ბებიჩე, დამიჯდა გვერდით, ჩემი თავი კალთაში ჩაიღო. მომეფერა და მითხრა - მე შენ ახლა იმ იავნანას გიმღერებ, ბავშვობაში რომ გიყვარდა, ტკივილი დაგიაძღვებო!..

ახლაც ცხადად მასსოვს ბებიასეული იავნანა: „იავნანა, ჩემს სიხარულს, ჩემი სახლის ნათელ იმედს, დაიბინე პაწაწინავ, უდარდელად დაიბინე! შენს ტკივილებს მე წავიღებ, დაგიტოვებ წუხილს განა, იავნანა, ვარდო-ნანა, იავ-ნანა, იავ-ნანა!..”

ტკივილს მართლა ველარ ვგრძობდი და გავიფიქრე, მოდი, სიკვდილს სიმღერით შევხვდები, ვინ იცის, იქნებ მტერს გულიც მოვუღობო-მეთქი. და ავმღერდი... არადა, ესეც სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო. მტრის ზურგში ვიყავი!.. ავმღერდი და ყურადღებაც მივიპყავი... გონს მკვეთრმა მოძრაობამ მომიყვანა. ვიღაც ჩემს გვერდზე გადართევას ცდილობდა და თან დამტყვრული რუსულით მეუბნებოდა, “Молчи, убьют тебя, солдат”-ო.

გერმანელის ფორმა ეცვა და გამოკვირდა, რომ ჩემს სიცოცხლეზე ზრუნავდა... ვკითხვე, ვინ იყო. სხვა დროს გეტყვი, ახლა მომეხმარე! იქვე დაგდებულ გარდაცვლილ გერმანელ ჯარისკაცს ტანსაცმელი გახდა, ჩამაცვა და მითხრა, - ხმა არ ამოიღო, ბევრ სისხლს კარგავ, სხვა გზა არა მაქვს, გერმანულ ჰოსპიტალში უნდა მიგიყვანო და ვიტყვი, რომ ლაპარაკი არ შეგიძლიაო!..

...დამიჯერებთ?! - გონდაკარგულსაც მასსოვდა, რომ ხმა არ უნდა ამომეღო. გერმანელმა ექიმებმა ყველაფერი გააკეთეს ჩემთვის და საბედნიეროდ, ფეხების ამპუტაციას გადავრჩი. როცა მოვიკეთე, ექიმებს ძალიან უკვირდათ, რომ არც ვლაპარაკობდი და არც რაღაც „მესმოდა“. მგონი

დაეჭვდნენ კიდევ. ჩემმა მფარველმა ერთ ღამეს მანქანაში ჩამისვა, შენი აქ დარჩენა აღარ შეიძლება, რაც შეიძლება ახლოს მიგიყვან რუსული არმიის ნაწილებამდე და შეეცადე, თავს უშველოო!..

- თუ არ მითხარი, რატომ გადამარჩინე, არსადაც არ წავალ-მეთქი!

უცებ გადამხვია და ატირდა: - მეც ქართველი ვარ, მაგრამ ქართული ენა არ ვიცი, მხოლოდ იავნანა მასსოვს და შენც ამან გადაგარჩინა... ბაბუაჩემი რევოლუციის დროს გამოქცეულა საქართველოდან. იმედი ჰქონდა, მალე დაბრუნდებოდა, მაგრამ... მამამ და მამიდაც იციან ქართული. მე კი ბავშვობაში ნასწავლი სულ დამავიწყდა, მხოლოდ იავნანას ვერ ვივიწყებ, რომელსაც ბებიჩე თვალცრემლიანი გვიმღეროდა მე და ჩემს პატარა ძმას!.. მხოლოდ ეს იავნანა დარჩა ჩემში ქართული. ოცნებად მექცა იმ სამშობლოში დაბრუნება, საიდანაც სამი წლისა წამომიყვანესო!..

- ძმა ყოფილხარ ჩემი, ახლაც წამოდი, მიგიღებთ-მეთქი!..

- ასე ადვილი არაა დაბრუნებაო! - მითხრა და დაწვრილებით ვინაობა გამომიკითხა. ჩაწვრილ ვერც ის ჩაიწვრიდა რამეს და ვერც მე. რომ ეპოვათ, მოკლავდნენ გერმანელები... ის ვიცი, რომ ოტო ერქვა. გვარად კამლაძე თუ კამკამიძე...

მოვალწიე საბჭოთა ჯარის ნაწილებამდე და ახლა მათ გამიშვეს ჰოსპიტალში... ამასობაში ომიც დამთავრდა. ამ ამბის გამხელას კარგა ხანს ვერ ვებედავდი...

...რაც მე იმ ოტოს სახელზე სანთელი ამინთია და მის გადარჩენაზე მიოცნებია, ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად გამოემხმებოდა, მაგრამ დაიღუპა ალბათ. ჩემდა სამარცხვინოდ, მისი გერმანული გვარიც ვერ დავიმსახოვრე, თორემ ჩემი შეილიშვილები მეუბნებოდნენ, რომ ახლა კაცის მოძებნა არც ისე ძნელიაო!..

თედო ბაბუს მეც დავპირდი დახმარებას და გერმანიაში საცხოვრებლად წასულ კოლეგას ვთხოვე ამ ამბის იქაურ პრესაში გამოქვეყნება... ვინ იცის, იქნებ მართლაც გამოგვხმებოდა ვინმე: თუ ოტო ცოცხალი აღარ არის, იქნებ მისმა შთამომავლებმა მაინც გვითხრან რაღაც საქართველოდან გაქცეულ კამკამიძეებსა თუ კამლაძეებსზე...

მე კი ჩემი სადარდელი ბოლომდე მინდა გითხრაო...

20 წლის ბიჭი იყო თედო პაპა 1941ში, ომში რომ წავიდა... შინ 26-ისა დაბრუნდა, თუმცა ერთიანად გაჭაღარავებული თმის გამო, 50 წლისას ჰყავდა!..

სექტემბრის დასაწყისში 82 წლისა გარდაიცვალა თედო ბაბუა.

იავნანამ კი კიდევ ერთი სასწავლი მოახდინა... იმ იავნანამ, პატარა თათიას რომ ასწავლიდა გულდაგულ მოხუცი და ანდერძად დაუბარა, - რომ მოგვკვდები, იავნანა მიმღერე და ვინ იცის, იქნებ გავცოცხლდე კიდევო!..

არა, არ გაცოცხლებულა, მაგრამ სიცოცხლეზე მეტი ძალა ჰქონდა თათიას სიმღერას, გულიდან ამოსულ იავნანას, როცა საყვარელ დიდ ბაბუას გულისპირზე მარგალიტით აბნევდა ცრემლებს...

ამისთვის უხაროდა მოხუცს გოგოს დაბადება: - მისი ცრემლები გულისპირზე რომ დამეყრება, სიკვდილი გამიადვილდებაო!

თათიას იავნანამ ღრუბლებს მიღმა მიმალულ მხესაც გაუთბო გული და მთელი კვირის წვიმების შემდეგ, დაკრძალვის დღეს შარავანდედად დაადგა დედა-მიწას!

ინგა ჯაყელი

ქვიშა. ქვეები. ლოდები. აუწერლად მწველი მზე. ალაგ-ალაგ, ტენიან ხეობებში თუ ხარობენ „გაქუცული ფსილოფიტები“.

საკვები მწირი... მთავარი პრობლემა - სუნთქვა.

ესაა უპრეცედენტო ხანა დედამიწაზე. მიწას, წყალს, ჰაერს განაგებენ გიგანტური ქვეწარმავლები. ისინი მბრძანებლობენ ყველგან - ბრახტოზავრები, ბრონტოზავრები, დიპლოდოკები, ტირანოზავრები, ტარბოზავრები. ორფეხები თუ ოთხფეხები. დიდები, უდიდესები, ზოგიერთი წყლიდანაც ვერ ამოდის, რადგან საკუთარი სიმძიმე ჭყლეტს.

აქ, სადაც ჩვენ დავაბიჯებთ, 120 მილიონი წლის წინათ ისინი დააბოტებდნენ და აზანზარებდნენ მიწას.

...ამ, თითქოსდა დაუჯერებელი ამბის რეალობაში დღეს ჩვენთან აღარავის ეპარება ეჭვი. ქუთაისის მახლობლად დინოზავრის გაქვავებული ნატერფალები უკვე შეიდა ათეული წელიწადია, აღმოჩენილია და მის აღმოჩენთან ერთად, განუყოფელი ნაწილია ჩვენი ცხოვრების.

პეტრე ჭაბუკიანი... უახლოესი წარსული: წარსული, რომლის მომსწრე, მხანველი თაობა დღესაც ცოცხალია.

პეტრე ჭაბუკიანი... თავისი უზარმაზარი, გამოუცნობი სამყაროთი, მოუღებლობით სავეს ცხოვრებით. ცხოვრებით, რომელიც ბუნებასთან ადამიანის, თუ პირიქით - ადამიანის ბუნებასთან შერწყმის უტყუარი დასტურია.

პეტრე ჭაბუკიანი... უჩვეულო მოხუცი, სიცოცხლეშივე აღიარებული... კაცი, რომელიც თავს ბედნიერს უწოდებდა (ისევე თავის საქმისა და მოღვაწეობის გამო, თორემ მისი ყოფა არც ისე იოლი იყო).

დაწყებითი განათლება სამრევლო სასწავლებელში მიიღო. ბათუმში ყოფნისას ბრწყინვალედ შეისწავლა რუსული და თურქული ენები. საშუალო სკოლა ფსკოვში დაასრულა და ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიულ ფაკულტეტზე შევიდა. წარჩინებით დაამთავრა.

გარდაიცვალა 1982 წელს, 93 წლის.

ერთხელაც, გიმნაზიაში საზოგადოებათმცოდნეობას ასწავლიდა. მაგრამ... იგი არ იყო მოწოდებით მასწავლებელი, „იყო ბუნებით მოხეტიალე, ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით; იყო ბუნებით მკვლევარი“. მოუხვენარი და მღელვარე, ეტებდა რაღაც სხვას.

მას შემდეგ, რაც თეთრამიწაზე (ქუთაისის მახლობლად) უძველესი ქვის საშუალო იარაღები იპოვა, მოსვენება დაკარგა. ეს უკვე დასტური იყო იმისა, რომ ქვის ხანის ადამიანები ამ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ, ეს ნათელს ჰფენდა პირველყოფილი კულტურის ბუნდოვან ხანას, რომელიც არც კი ისწავლებოდა მაშინდელ სასწავლებლებში მასალებისა და ფაქტების უქონლობის გამო... ქვის ხანის უამრავ იარაღთან ერთად აღმოაჩინა ქვის თოხები - ესე იგი, ნეოლითურ ხანაში აქ მიწას ამუშავებდნენ და მოსავალი მოჰყავდათ - ჩვენს ერამდე 8 ათასი წლის წინათ!

აქ, ამ ფერდობზე ველური ფუტკრები ბინადრობდნენ თურმე. თაფლით ახლო-მახლო მცხოვრებნი სარგებლობდნენ... ამ ადგილს სათაფლე, სათაფლია ერქვა.

თითქოს რაღაც უხილავი ძალა ეზიდებოდა „სკის ქალაქისაკენ“, ბოლო დროს ერთი ღელეც აფიქრებდა, მთის ძირში რომ იკარგებოდა, სადაც ჩაინთქმებოდა, მისი შორეული ხმა კი ზემოთ მაინც საკვირველად ამოდიოდა.

გამოჩნდა! ქვედაცარცულ ნაპრალოვან კირქვებში წარმოქმნილი კარსტული მღვიმე. უცხო, ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი სიღამაზე; გრანდიოზული ვრცელი დარბაზები, უნატიფესი, მბრწყინავი, სვეტებად თუ ფარდებად დამუშავებული სტალაქტიდები და სტალაგმიტები.



ასეთი იყო და არის სათაფლიის გამოქვაბული.

პეტრე კი... განუწყვეტლივ იბრძოდა (ესეც სჭირდება, ურწმუნონი და მოშურნენი მაშინაც იყვნენ), იცავდა სათაფლიას, ზრუნავდა მისთვის. თავისი ხელით გააშენა უზარმაზარი კოლხური ტყე-პარკი, მცენარეთა უნიკალური ჯიშებით. მისმა არსებობამ კი ხელი შეუწყო მრავალფეროვან ცხოველთა სამყაროს წარმოშობას.

ჭაბუკიანი... ბუნების მესაიდემლე, ყოველი ხის, ყოველი ბალახის ასაკისა და რაობის მცოდნე. სათაფლია სტუმრებს ვერ აუდიოდა, მათი მუღმივი მასპინძელი ბატონი პეტრე იყო.

ვეებრთელა ცხოველი ზღვიდან ნაპირზე გამოვიდა და შლამზე თავისი ნაკვალევი დატოვა- უამრავი კატასტროფების, ერების, პერიოდების, ასეულობით მილიონი წლის შემდეგ რომ ეპოვა შემთხვევით, ტოტის ასაღებად დახრილ პეტრე ჭაბუკიანს...

ეს იყო 1933 წელი. დაიწყო გამოკვლევა.

მანამდე ასეთი კვალი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში იქნა აღმოჩენილი 1843 წელს. აქვე ნახულობდნენ უძველეს ცხოველთა ძვლებს. საქართველოში ქვედაცარცული პერიოდის 300-მდე ნატერფალის აღმოჩენამ დაარღვია გაბატონებული აზრი, თითქმის კავკასია ახალი ხმელეთია. ამიტომ ამ ამბავმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დინოზავრის ნაკვალევი!..

„კვალი მოდის ზემოდან ქვემოთ, მეორე კვალი მიდის მარცხნიდან მარჯვნივ. ამ გადაკვეთის წერტილზე ისინი ერთმანეთს დაჯახებიან, შემთხვევით, შეიძლება საგანგებოთაც. მაგრამ ფაქტი ფაქტია და ერთი წაქცეულა, კუდი დაურტყამს შლამში, რომელიც შემდეგ, რასაკვირველია, წინამდებარე მარგველად გაქვავდა“ - ისე ჰყვებოდა, თითქოს ენახა;

„ქვეყანაზე არ არსებობს მეორე ადგილი, სადაც ქალაქის გვერდით ერთ პატარა მონაკვეთზე კომპლექსურად იყოს შერწყმული ადენი საოცრება“ (პეტრე ჭაბუკიანი). 1935 წელს ეს ადგილი სახელმწიფო ნაკრძალად გამოცხადდა.

კიდევ: წყალტუბოს სოფლებში, მელაურსა და ხომულში, ქვის ხანის ადამიანის უძველესი სადგომები აღმოაჩინა; კოლხეთის დაბლობზე 55 ყორღანი. ყველგან იყო - ბაგრატიზე, გელათში, გეგუთში, გახლდათ ამ განძების „პირველადმწერილი, მკვლევარი, დამცველი“, მთელი საქართველო მოეგლო.

დაინტერესებული იყო ხალხური ლექსითა და ზეპირსიტყვიერებით.

იმერეთში სხვადასხვა დროს შეუკრებია ქართული ლეგენდები, ნაკვესები, ანდაზები და დიალექტიზმები.

მასზე წერდნენ, იღებდნენ ფილმებს, ძერწავდნენ...

გამოიწერეთ  
**მამული**



სურვილი მაქვს გამოვიწერო გამბეთის:

- 12 ნომერი საერთო ღირებულებით 20 დოლარი
- 12 ნომერი საერთო ღირებულებით 24 კანადური დოლარი

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **MAMULI** სახელზე გაფორმებული უნდა გამოგზავნოთ შემდეგ მისამართებზე:

**აშშ-ში MAMULI კანადაში**  
 P.O. BOX 13121, 32 BARTON AVE  
 JERSEY CITY, NJ 07303 | TORONTO ON M6G 1P1

MAMULI DESIGN



**შეიძინეთ ქართული მუსიკალური ვიდეო კლიპების კრებულები DVD-ზე**

**პირველი დისკი:** მაია ჯაბუა, მერაბ სეფაშვილი, „ქუჩის ბიჭები“ და ნინი ქარსელაძე, დათო ხუჯაძე, „ფორტე“, თემურ თათარაშვილი და თიკა ხეცურიანი, ნინელი ჭანკვეტაძე, გია როინიშვილი, ზუკა ხუციშვილი, ბასტი-ბუბუ, უცნობი, მარიკა თხელიძე, სალომე გასვიანი, „ვაკის პარკი“, ანა ჯაკი..

**მეორე დისკი:** ჯგუფი „საუნდი“, თემურ თათარაშვილი, უცნობი, ლიზა ბაგრატიონი, ნატო მეტონიძე, მაია ჯაბუა, დათო ევგენიძე, მერაბ სეფაშვილი, ანრი ბასილაია, ნანი ბრეგვაძე, ეკა მამალაძე, ლელა წურწუშია, სოსო პავლიაშვილი, დათო ხუჯაძე, ზუკა ხუციშვილი, „ფორტე“, ბასტი-ბუბუ, სალომე გასვიანი...

გამოგზავნეთ **Check-ი ან Money Order-ი:**

გთხოვთ გადასახადთან ერთად ცალკე ფურცელზე მოგვაწოდოთ თქვენი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი!

**PEPELA LLC**  
 244 Fifth Avenue, suite 2721  
 New York, NY 10001

შეიძინეთ დღეს და დაზოგეთ! ერთი DVD \$15.00 ან ორივე DVD \$25.00, ორივე შემთხვევაში გამოგზავნა უფასოა!



**ქართველის სოლო კონსერტი ნიუ იორკის TOWN HALL-ში**

**მუსიკის მემკვიდრე**

BEJEVELED BRAND

26 აპრილი, 8 საათი

	შტატი ა.შ.შ.-ში					ჩვილის საწოლი
				ფუტკრის საწელი		
		სასმისი		განვსტერთა ქალაქი ა.შ.შ.-ში		
		ფოსტით გაგზავნილი ნივთი	ვალდებულ პერსონაჟი			
		მუხის ნაყოფი			ბაღმედიანი კრთვით	
მომხდურის ფირმა		შტატი ა.შ.შ.-ში	ფარგ ოფთოჯ და მუხტული ნაწილაკი	ქალაქი ბოლონიუში	ფარმა-ცემიქული ფირმა	
		კონსტრუქციული წინააღმდეგობა				
		იამონური ხალატი				
		ინვესტიციის წარმომადგენელი		თევზის სახეობა	სახელმწიფო აფრიკაში	
		იამონური ფირმა		საბურთი		
						ამაღლებული აფრიკის-თვის
		ტბა იტალიაში				
					გარეული ფრინველი	

# მამულის კალენდარი



**ნატაშა კოროლვა და ტარზანი კონცერტში გჰქერა თუ არა?**  
22 აპრილს, სალამოს 8 საათზე  
თეატრი „მილენიუმი“  
1029 Brighton Beach ave  
Brooklyn, NY 11235

**მღერის  
ქეთი ველუა**  
26 აპრილს, სალამოს 8 საათზე  
TOWN HALL  
123 West 43rd street  
Manhattan, NY 10036  
212-840-2824  
ბილეთის ფასი \$30



## სკექზაკლი

**თქვენ  
მამსიმა გაცინებთ  
გალპინი**  
21 მაისს, სალამოს 7:30 საათზე  
City Center  
130 W 55th St  
New York, NY  
212-581-1212



**რომანტიული გასეირნება  
საკაპრო გუბით**  
ხანგრძლივობა 1 საათი.  
მზის ამოსვლამდე ან ჩასვლამდე  
1 საათით ადრე, ვიდეოსერვისით  
1-800-462-3201  
ბილ.ფასი: \$165, \$195

## კუსიკა



**მღერის  
ირინა ალვროვა**  
3-4 ივნისს, სალამოს 8 საათზე  
თეატრი „მილენიუმი“  
1029 Brighton Beach ave  
Brooklyn, NY 11235  
718-615-1500



**ვებუხეგომ - ეს ეპოქაა  
შეხვედრა ეგვანი ვებუშენკოსთან**  
16 აპრილს, დღის 2 საათზე  
თეატრი „მილენიუმი“  
1029 Brighton Beach ave  
Brooklyn, NY 11235  
718-615-1500




**იურმალა  
ამერიკაში**  
7 მაისს, სალამოს 7 საათზე  
Casino TAJ MAHAL  
Atlantic City, NJ  
718-615-1515

**ანდრია  
ბონელი**  
10 აპრილს, 7:30pm  
Continental Arena  
Route 3 West  
East Rutherford, NJ




## სანახაობა



**ანა კარენინა**  
სანტ პეტერბურგის  
საბალეტო თეატრი  
24-29 მაისამდე  
City Center  
130 W 55th St  
New York, NY

**ჯორჯ ბალანჩინის  
შემოქმედებითი პროგრამა**  
ევჯეთ ვებ-გვერდს  
www.nycballet.com  
NYC Ballet Theatre  
New York State Theatre  
65th st at Columbus ave.  
212-870-5570  
ბილეთის ფასი: \$18-დან \$90-მდე



**EAGLES**  
8 აპრილს,  
სალამოს 8 საათზე  
Continental Arena  
Route 3 West  
East Rutherford, NJ



## გესგედრა

მითითებულია მხოლოდ ნოი იორკის დრო